



# ისტორიული მეგვიდროება

სამეცნიერო-პოპულარული ჟურნალი, 2012 წ. დეკემბერი, №4 (29), ფასი 2 ლარი



იოსებ  
სტალინი  
— 133

## მე პირადად ვიხსენებდი... 4

უინსტონ ჩერჩილი ამბობს — დარბაზში მის შემოსვლას უმაღლესი ვბრძნობდით და ყველა ფეხზე ვდგებოდით... თითქმის ვიღაცამ გვიბრძანაო.

გაბრაზებული სტალინის გამლება ყველას არ შეეძლო, წერს მარშალი მერეცკოვი, ისეთი თვალებით შეგხედავდა, ადგილზე გაგაშეშებდა, შენ უკვე დასჯილი იყავი.

ანდრეი ბრომიკო ამბობს — მას ჰაუზებით, თანაც, დინჯად ლაპარაკი სჩვეოდა, რა სასწრაფო საქმეც უნდა ჰქონოდა, ფეხს არ აუჩქარებდა, მებრამ ყველაფერს დროზე აკეთებდა, ყველაფერს ასწრებდა, გეგმონებდათ, მასთან ერთად დროც ჩერდებოო.

## გაგილის ტყვედნაგყოფი ოფიცრის ნაამბობი 26

გალაკტიონ  
8 ტაბიკის  
ნაამბობიდან

არ შეიძლება  
ორი მოქმე  
საღის  
დიდი

მეგობრობის  
დაულა  
9 აგარიკა-  
ლავის ან  
ეპროპელავის  
სასარგებლოდ

13 მიხეილ  
ნეკეთელი  
და თანამე-  
დროვეობა

გიორგი  
მჭედლიშვილი:  
ვინ ვართ  
ჩვენ,  
XXI საუკუნის  
ქართველები.  
ეპროპა  
15 ვართ  
თუ აზია?

ნიკო  
ნიკოლაჟის  
დაპირის-  
პირება  
22 ქეიგი  
ნოგელავის  
ნავთობ-  
გადაზიდვის  
მონოპო-  
ლიასთან

ნონა  
გაფრინდაშვილი:  
ჩემს ხსოვ-  
რებაში ვარ  
მოქაზნიან  
ვერავარს,  
40 რითაშ  
შეიძლება  
ზიანი  
მიყვანონ  
ჩემს სახელს



1962 წელს, ზუსტად 50 წლის წინათ, ქართული პრესა ამასად იუწყებოდა: „ღღეს, შუადღისას ელვის სისწრაფით ბავრცილდა ნონა ბაფრინდაშვილის დიდი ბამარჯვეზის ამბავი. საჭადრაკო სამყარო აღტაცებით შეიგება მსოფლიოს ახალ ჩემპიონს“.

# სარჩევი

■ <b>მამულიშვილი</b> <b>ღვანე რიქვანია: მე პირადად ვიხსენებდი...</b>	<b>4</b>
■ <b>გალაქტიონ ტაბიკის ნაამბობიდან</b>	<b>8</b>
■ <b>ქართველები საზღვარგარეთ</b> <b>გრიგოლ ლიპარტელიანი: არ შეიძლება ორი მოქმედი ხალხის დიდი</b> <b>მეგობრობის დასულა ამერიკელების ან ევროპელების სასარგებლოდ</b>	<b>9</b>
■ <b>თარიღი</b> <b>მისილ ნაკრები და თანამედროვეობა</b>	<b>13</b>
■ <b>თბილისის</b> <b>გიორგი მჭედლიშვილი: ვინ ვართ ჩვენ, XXI საუკუნის ქართველები.</b> <b>ევროპა ვართ თუ აზია?</b>	<b>15</b>
■ <b>ბანათლება</b> <b>ალექო ქუთათელაძე: ჩვენ გვეუბნებიან: შენ თუ განვითარებადი ხარ,</b> <b>დაგაფინანსებ, ოღონდ, შე სახმადავო, მე განსაველი</b>	<b>19</b>
■ <b>ისტორია</b> <b>ვაჟა შუბიტიძე: ნიკო ნიკოლაძის დაპირისპირება</b> <b>ქვები ნობელების ნავთობგადაზიდვის მონოპოლიასთან</b>	<b>22</b>
■ <b>ბრძოლა გადარჩენისთვის</b> <b>შაჰილის ტყვედნაფორი ოფიცრის ნაამბობი</b>	<b>26</b>
■ <b>შაჰილი – თურქეთის სულთნისა და ინგლისელი კოლონიზატორების</b> <b>მოკავშირე (მამხილებელი დოკუმენტები)</b>	<b>33</b>
■ <b>საოჯახო ალბომი</b> <b>ფოტოები, არასოდეს კვლავ...</b>	<b>37</b>
■ <b>სპორტი</b> <b>ნონა გაფრინდაშვილი: ჩემს ხსოვნებაში ვარ მოქაბნიან ვარაუარს,</b> <b>რითაც შეიძლება ზიანი მიყენონ ჩემს სახელს</b>	<b>40</b>
■ <b>ბანსენება</b> <b>«ოპონიოქის» თასი – სარგო კობრიკაძეს</b>	<b>43</b>
■ <b>ქართული პრესა 50 წლის წინ</b> <b>ქართული სოფელი გუბინ, ანუ წინ ნავედით თუ უკან</b>	<b>46</b>

გამომცემელი: არასამეწარმეო იურიდიული პირი „ისტორიული მემკვიდრეობა“  
სარედაქციო კოლეგია  
პასუხისმგებელი რედაქტორი ღარეჯან ანდრიასიძე  
მისამართი: თბილისი, დავით ბაქრაძის ქ. № 6 ტელ.: 234-32-95

# ლევან ჩიქვანაია

## მე პირადად ვიხსენებდი...

„იმდენი წამიკითხავს, მომისმენია და მიფიქრია ამ კაცის დასაბამიდან ბრძოლით გავლილი ცხოვრების წარ-ეკლიან გზაზე, რომ ასე მგონია, მართლა პირადად ვიცნობდი მას“, — ასე იწყებს სტალინზე თხრობას ბატონი ლევან ჩიქვანაია, ადამიანზე, რომლის წინაშეც თავს ხრიდნენ მსოფლიოს უდიდესი პოლიტიკოსები და რომლის პიროვნებაც იყო, არის და მუდამ იქნება განსჯის საგანი, რომლის ქცევები, პოლიტიკა ყოველთვის იწვევდა აზრთა სხვადასხვაობას. დღემდე იწერება მასზე, დღემდე იგრძნობა ცხოველი ინტერესი. ამ თემას ვერც ღვანლმოსილმა პედაგოგმა აუარა გულგრილად გვერდი და საინტერესო პუბლიკაცია შესთავაზა მკითხველს, რომელსაც ქვემოთ გთავაზობთ. სამწუხაროდ, ბატონი ლევან ჩიქვანაია სულ ახლახან გარდაიცვალა. ის გახლდათ საქართველოს განათლების მეცნიერებათა საზოგადოებრივი აკადემიის ერთ-ერთი დამფუძნებელი, მისი უცვლელი აკადემიკოს-მდივანი, ღვანლმოსილი საზოგადო მოღვაწე, განათლების დარგის გამორჩეული ორგანიზატორი და მოამაგე. მისი სახით ქართულმა პედაგოგიურმა საზოგადოებრიობამ დაკარგა გამორჩენილი პედაგოგი, საგანმანათლებლო საქმის ბრწყინვალე ორგანიზატორი, რომელმაც მთელი არცთუ ხანმოკლე სიცოცხლე ქართული განათლების სამსახურს შეაღწია.



იმდენი წამიკითხავს, მომისმენია და მიფიქრია ამ კაცის დასაბამიდან ბრძოლით გავლილი ცხოვრების წარ-ეკლიან გზაზე, რომ ასე მგონია, მართლა პირადად ვიცნობდი მას — ...საშუალო ტანის, სიმპატიური, უღვაშებით დამშვენებული, მამაპაპური ჩიბუხით ხელში. მუდამ ფრენჩი ეცვა, შარვალი ჩექმებში ჰქონდა ჩატანებული. ჭირვით ეზარებოდა პიჯაკი, კოსტიუმი, რომელიც, ფაქტობრივად, ქვეყნიერებაზე ყველა მამაკაცის სავიზიტო სამოსელია, არასოდეს არ ცმია. ეს ისაა, რაც თვალში გეცემოდათ. სიარულით ძალიან მაგონებდა ცნობილ ფრანგ მსახიობს ჟან გაბენს. სხვას ვერავის ვერაფერში ვერ ვამსგავსებდი, დანარჩენი ყველაფერი თავისი, განსხვავებული, გამორჩეული ჰქონდა; მან სიცილი არ იცოდა, მხოლოდ იღიმებოდა, მაგრამ ეს ღიმილი, როგორც ამბობენ, ბევრს ფასობდა. მეფური სიდარბაისლე, დინჯი მოძრაობა და ოლიმპური სიმშვიდე მოკრძალებასა და მორჩილე-

ბას იწვევდა. მარჯვენა ხელის მოზომილი აღმართვით მხედრული მისალმების გამოხატვა გატყვევებდა და შენი ხელებიც თავისით ინევდნენ მაღლა... ტაშის დასაკრავად; მისი, ყველასაგან განსხვავებული მოგუდული ხმის გაგონება რაღაც სიახლის მაუწყებელი იყო. ქართული აქცენტი მსმენელის ყურადღებას კიდევ უფრო ძაბავდა. ჩვენში, თანამემამულეებში კი რომელიღაც იდუმალ გრძნობებს აღვიძებდა... ბევრს მიაჩნდა, რომ სტალინს ჰიპნოზის უნარი ჰქონდა. აკი, ასე ძალიან ყოფილა დაახლოებული ისეთ ცნობილ ჰიპნოზიორებთან, როგორებიც იყვნენ მესინგი და გურჯიევი, რომელთაც აკრძალულ ზონებში არავითარი პრობლემები არ ექმნებოდათო, ამბობენ. მაგალითად, მესინგი კი არ იპარებოდა, არამედ თავისუფლად გადიოდა, თურმე, საკონცენტრაციო ბანაკიდან, ხოლო გურჯიევი ტიბეტის მისტიკურ სამყაროში ისე თამამად შეაბიჯებდა ხოლმე, თქვენი მოწონებული და, მგონი, კარ-

გა ხანი ცხოვრობდა კიდევ იქ. ამიტომ ყველას სჯეროდა მისი, ამიტომ უსიტყვოდ ასრულებდნენ მის დავალებებს, ყოველივე ამის გამო ლოცულობდნენ მასზე, ამიტომ უყვარდათ ასე ძალიან, ამიტომ ითმენდნენ ყველაფერს, ამიტომ ეთანხმებოდნენ უმალ. არა, არა, აქ ჰიპნოზი არაფერ შუაშია. მართალია, მას ბუნებრივად მომადლებული ჰქონდა დიდი ენერგეტიკა და ფართო ბიოველი, მაგრამ, ცნობილ ასტროლოგებს მიაჩნიათ, რომ ბევრი რამ იმ ადამიანური მონაცემებით აიხსნება, რასაც ქარიზმა ჰქვია. მას ჰქონდა ისეთი ქცევები, რომელიც შეიძლება მისტიკას, რაღაც ზებუნებრივს მიაწერო, მაგრამ არამინიერით გამონვეული არ ყოფილა ის. მარშალი ვასილევსკი ამბობს: დაინიშნებოდა თუ არა რაიმე თანამდებობაზე, უმალ ვგრძნობდით საქმეში მის ხელწერას არა მისტიკით, არა ჰიპნოზის შედეგად, არამედ, უბრალოდ, მასავით სხვა ვერავინ წერდა — ყველაფერი, რისი თქმაც უნდოდა, ქალალ-



დზე გასაგებად და ამომწურავად გადააჭონდა.

უინსტონ ჩერჩილი ამბობს — დარბაზში მის შემოსვლას უმაღლეს ვერძნობდით და ყველა ფეხზე ვდგებოდით... თითქოს ვილაცამ გვიბრძანაო. გაბრაზებული სტალინის გაძღება ყველას არ შეეძლო, წერს მარშალი მერეცკოვი, ისეთი თვალებით შეგხედავდა, ადგილზე გაგაშეშებდა, შენ უკვე დასჯილი იყავი.

ანდრეი გრომიკო ამბობს — მას პაუზებით, თანაც, დინჯად ლაპარაკი სჩვეოდა, რა სასწრაფო საქმეც უნდა ჰქონოდა, ფეხს არ აუჩქარებდა, მაგრამ ყველაფერს დროზე აკეთებდა, ყველაფერს ასწრებდა, გეგონებოდათ, მასთან ერთად დროც ჩერდებოო.

ისააკ დოიჩერს ჩაუწერია ერთ-ერთი ინგლისელი გენერლის ნათქვამი — ის ძალზე ხმადაბლა ლაპარაკობდა, მაგრამ, რაკი აუდიტორიამ იცოდა, რომ ის რაღაც მნიშვნელოვანს, საყურადღებოს იტყოდა, ყველა სმენად იქცეოდა და მისი არც ერთი სიტყვა არ იკარგებოდაო.

ამასთან ერთად, უცნაურიც იყო, რამდენადმე პარადოქსულიც.

ვიცოდით, რომ მკაცრი იყო, ზოგჯერ, ულმობელიც, დანაშაულის პატიება არ უყვარდა, მაგრამ ხანდახან ისეთ რამეზე დახუჭავდა თვალს, გაცდებოდიო, წერს გენერალი შტემენკო. ერთხელ პოლკოვნიკი პოპოვი დაუბარებია თანამდებობაზე დანიშვნასთან დაკავშირებით, მაგრამ, ის რაღაც შემთხვევის გამო, ორი წუთით გვიან გამოცხადებულა. ველოდებოდით საშინელ, სასტიკ განაჩენს, მაგრამ სტალინს გაუვლ-გამოუვლია, ჩიბუხი გაუბოლებია — შეც-

დომები ყველას მოგვდის, მთავარია, მხრებზე თავი გვებას, გააფორმეთ ბრძანებაო, დაუბარებია გენერალური შტაბის უფროსისთვის და ოთახიდან გასულა.

**კონსტანტინე როკოსოვსკი** იგონებს, როგორმა ჟრჟოლამ აიტანა, როცა ადიუტანტმა მოახსენა, სტალინი რეკავსო: ეს იყო 43-ის ზაფხული, როცა შეტევის გარდასხვა ოპერაცია უკვე წარმოუდგენლად ითვლებოდა. **უპასუხისმგებლობა გამოვიჩინე**, — ამბობს კ. როკოსოვსკი, — **მისი ნებართვის გარეშე ჯარი უკან დავხიე. მასთან დასაკავშირებლად დრო არ მრჩებოდა, რაც თითქოს საპატიო მიზეზი იყო, მაგრამ ფრონტზე, ისიც მასთან, ასეთი რამ შეუძლებლად ითვლებოდა. რა გზა მქონდა, ყურმილი უნდა ამელო. მოვახსენე, რომ მე, ამა და ამ არმიის სარდალი, ესა და ეს მარშალი მზად ვიყავი, მომესმინა უმაღლესისთვის. პასუხმა ოდნავ დაავიანა, რაც ჩემთვის საუკუნედ იქცა, მაგრამ მოულოდნელად მომესმა მისი ამჯერად უკვე საოცრად თბილი ხმა, მამაშვილური და მზრუნველი სიტყვები. ამის შემდეგ არაფერი მახსოვს, როგორც მითხრეს, კარგა ხანი ხმა არ ამომიღია.**


ეს გახლდათ ის სიმამაცით ცნობილი კ. როკოსოვსკი, რომელსაც სტალინი მოფერებით ბაგრატიონს ეძახდა და ყოველთვის სახელითა და მამის სახელით მოიხსენიებდა. ცნობისათვის, ეს პატივი ჰქონდა კიდევ ერთ პიროვნებას — მარშალ შაპოშნიკოვს. მეტს არავის.

სტალინის თანამებრძოლები ჰყვებიან მოსკოვის ცირკში ერთად ყოფნის დროს მომხდარ შემ-

თხვევაზე. სპექტაკლის დამთავრების შემდეგ ყველანი შესულან კულისებში, რათა წარმატება მიელოცათ შემსრულებლებისათვის. აღმოჩნდა, რომ ვოლიერში ვერ შეუყვანიათ ერთი გაავებული ვეფხვი და სტუმრები გაღიზიანებული მხეცის წინ აღმოჩნდნენ. ყველანი უკან გაცვენილან, მარტო სტალინი დარჩენილა ერთ ადგილას ნადირის პირისპირ. ბედზე, მალე მოუხწრია მომთვინიერებელს და ვეფხვიც ღრენა-ღრენით შეუყვანიათ გალიაში. იქ მყოფთ სახეზე ფერი არ ედოთ, სტალინმა კი ხელი გაუნოდა დამფრთხალ მწვრთნელს და თბილად მიულოცა წარმატება, მაგრამ ამ უკანასკნელს ხელის ჩამორთმევის თავი არ ჰქონია, ალბათ, არც მილოცვის სიტყვები გაუგონია. აქ თითქოს არის ჰიპნოზის ნიშნებიო, ამბობენ, მაგრამ, ალბათ იმიტომ, რომ ისინი ამ ეპიზოდის თხრობის დროს ცოტას აჭარბებენ, თითქოს ბელადმა თვალებით მონუსხა მხეცი და იმიტომ არ დაესხა იგი თავს დაუპატიჟებელ სტუმრებს. ცხადია, ასე არ ყოფილა — თანამებრძოლები უარყოფენ ყოველგვარ მისტიკას და ამბობენ: **მას საკუთარი თავის კონტროლის საოცარი უნარი ჰქონდა, ალბათ, თავი ხელში აიყვანა და არ გაინძრა**, რამაც ნადირზე უთუოდ დამამშვიდებლად იმოქმედაო (მაგრამ იმ გამძვინვარებული ნადირის ყურებას გაძღება არ უნდოდა?).

ერთხელაც **მარშალი გოლოვანოვი** სუფრასთან მოხვედრილა, სადაც მხოლოდ სტალინი და ჩერჩილი ისხდნენ. ინგლისელს ბელადი სმაში ჩაუთრევია და კარგა ბლომად მიურთმევიათ. ბოლოს, როცა უზომოდ მთვრალი უინსტონი ოთახიდან გაუყვანიათ, სტალინს უთქვამს — თქვენ ტყუილად არ მაშორებდით თვალს ამხანაგო გოლოვანოვ, მე ღვინო არ მეკიდება, როცა ვიცი, რომ არ უნდა დავთვრეო.

საინტერესო აზრს გამოთქვამს მისი დაცვის უფროსი **ვლასიკი** დავალებათა ოპერატიულობასა და სიზუსტეზე — **ის თვითონ აძლევდა დავალებას შემსრულებელთ**





ისეთნაირად, რომ შეუსრულებლობის შანსს არ უტოვებდა.

— მთავარბანაკის ერთ-ერთ სხდომაზე ირკვევა, რომ ფრონტს ვერ აწვდიან სანავაგის სათანადო რაოდენობას. სტალინი კითხულობს; რა უშლის ხელს. ბაიბაკოვი ამას ბურლების დაბალი ხარისხის გამო ნავთობის ამოღების შეფერხებით ხსნის.

— რატომ არის ბურლი დაბალი ხარისხის?

**მეტალურგიის მინისტრი უპასუხებს:** — ბურლს სიმტკიცე აკლია და ამიტომ მალე იმსხვრევა, ამხანაგო სტალინ!

— რატომ აკლია სიმტკიცე?

**მეტალურგიის მინისტრი:** — ლითონში მოლიბდენის ნაკლებობის გამო, ამხანაგო სტალინ.

— რატომ არ ვუმატებთ მოლიბდენს?

**ვოზნესენსკი:** — გეგმით გამოყოფილი მოლიბდენი არ ყოფნის.

— გვაქვს თუ არა მოლიბდენი?

**ვოზნესენსკი:** — დიახ, გვაქვს, მაგრამ მხოლოდ ხელუხლებელ ფონდში.

აქ სტალინს მწარედ ჩაელიმება და ჩაილაპარაკებს — „ხელუხლებელი“.

— მაშ, ასე: მეტალურგიის მინისტრი დღესვე კონსტრუქტორებთან დაახუსტებს მოლიბდენის საჭირო რაოდენობას, მალენკოვი გააფორმებს მინისტრთა საბჭოსა და თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტის ერთობლივ დადგენილებას და ხვალ დილით ის ექნება ამხანაგ ვოზნესენსკის. ბურლების დამამზადებელი ყველა მეტალურგიული კომბინატი ხვალ დღის ბოლომდე მიიღებს იმ „ხელუხლებელ“ მოლიბდენს. ფრონტზე სანავაგის მიწოდების საკითხს მოაგვარებს ამხანაგი ბაიბაკოვი. ხელუხლებელი ფონდის შევსებას სამ თვეში უზრუნველყოფს ამხანაგი ვოზნესენსკი. ამხანაგი ბერია ერთ კვირაში გაარკვევს, ვინ დაადგინა ბურლში მოლიბდენის შემცველობა, კონტროლი — კაგანოვიჩს. თავისუფლები ხართ, დარჩება ვოზნესენსკი (ყველასთვის გასაგები იყო, რისთვის დაიტოვა მონარაგების უფროსი).

საინტერესო ფაქტია, რომ ხელკვეითებთან სტალინის დამოკიდებულებაში შეინიშნება დიდაქტიკის ელემენტებიც: დავალების მიცემისას, ვისაც ავალებდა, ყოველთვის ბოლომდე როდი უხსნიდა ყველაფერს, საფიქრალს უტოვებდა. 1940 წლის შემოდგომაზე შტაბის ერთ-ერთი გენერლისთვის დაუვალბია, გაეგო ამ ბოლო დროს გერმანიაში გაიფადა თუ არა ცხვრის ხორცი. ეს მთელი შტაბის თავსატეხად ქცეულა — რაში დასჭირდა ცხვრის ხორცის ფასი. მეორე დღესვე მოუხსენებიათ, რომ ცხვრის ხორცის ფასი გერმანიაში წელიწადზე მეტია, არ გაიფადა. სტალინს ჩაულაპარაკია — ე. ი. ის ამ ზამთარს ომს არ აპირებს. ბევრი ფიქრის და სჯა-ბაასის შემდეგ შტაბში დაუდგენიათ — რუსეთის სუსხიანი ზამთრის პირობებში, ჯარისკაცებისთვის ცხვრის ტყავის ტყაპუჭების გარეშე ჭკუათა მყოფელი ომს ვერ გაბედავსო.

ასევე დილემის წინაშე დააყენა მან ცნობილი გენერლები ვორონოვი, ერიომენკო და გადაზიდვების უფროსი ნესტეროვი, რომლებმაც შესჩივლეს, რომ ნავთი ვერ გადააქვთ აფშერონიდან ურალში, რადგან გერმანელები თავს ესხმიან და ყოველი მესამე გემი იძირებაო.

— მე ერთი შეკითხვა მაქვს თქვენთან, ამხანაგო ნესტოროვ. როგორც ვიცი, თქვენ ტექნიკუმი გაქვთ დამთავრებული. დიახ, ამხანაგო სტალინ. კარგია, მოზრდილი პაუზის შემდეგ უთქვამს მთავარსარდალს, თუ იცით, წყალი უფრო მძიმეა თუ ნავთი? გაოგნებულ გენერლებს ვერაფერი უპასუხნიათ. ახლა კი წადით და მოიფიქრეთ, რა უნდა მოიმოქმედოთ, უთქვამს და გაუსტუმრებია დაბნეული სარდლები. მეორე დღეს დაურეკავს ვორონოვს და მოუხსენებია, რომ ყველაფერი გაირკვა, ნავთით სავსე ალუმინის ცისტერნები წყალში ჩაუშვით და უკვე მშვიდობიანად მიცურავენ ასტრახანისკენო.

გენერალი ჟადოვი კურსკის შვერილზე მისულ სტალინს აღ-

ელგებული მივარდა თურმე და სასონარკვეთილმა შესჩივლა: ჩამომაქვეითეთ, ამხანაგო სტალინ, მე მეთაურად არ ვვარგვივარ, იმ გორაკს ვერაფერი მოვუხერხეო.

— რომელ გორაკს, ამხანაგო ჟადოვ?

— აი, იმ გორაკს, რომელიც პროხოროვის ველს იცავს.

სტალინს დაუმშვიდებია: — ნუ ცხარობთ, ამხანაგო ჟადოვ, წყალი დალიეთ, ისეთი არაფერი მომხდარა. სხვათა შორის, ომამდე თქვენ ხუტორში, მგონი, ზეინკლად მუშაობდით.

— დიახ, ვმუშაობდი, ამხანაგო სტალინ.

— მაშინ, როცა ჩაქუჩით ვერ ერეოდით ლითონს, რას შვრებოდით?

— უროს ვურტყამდი, ამხანაგო სტალინ.

— ჰო და, ძალიან კარგი, აქაც ასე უნდა მოიქცეთ. ფრონტიდან გაქცევა კი არ უნდა მთხოვოთ, ურო უნდა მთხოვოთ. თქვენ მალე გექნებათ იგი.

ჟადოვს იმ დღესვე მიუღია ერთი სატანკო კორპუსი და რამდენიმე საარტილერიო ბატარეა. მეორე დილას გათენებამდე სიმაღლეს აღებული ყოფილა და პროხოროვის ველიც დაბრუნებული.

ცნობილი რუსი ისტორიკოსი იური ემელიანოვი სიტყვა-სიტყვით გადმოგვცემს პოტსდამის არქივიდან ამოღებული ერთი სტენოგრამის ამონაწერს გერმანიასა და პოლონეთს შორის სახელმწიფო საზღვრის თაობაზე მწვავე დავის შესახებ. ამას წინ უსწრებდა ის ფაქტი, რომ ფრანკლინ რუზველტის მოულოდნელი გარდაცვალების შემდეგ ამერიკის შეერთებული შტატების ახლად გაპრეზიდენტებული ჰარი ტრუმენი და კოალიციის ახალი შემადგენლობა (დიდი ბრიტანეთის ახალარჩეული პრემიერი ეტლი და დელეგაციის სხვა წევრები) პირდაპირ თუ ირიბად უკმაყოფილებას გამოთქვამდნენ, თუ რატომ წყდებოდა კონფერენციაზე საკითხები უმეტესწილად საბჭოთა კავშირის ინტერესების სასარგებლოდ. კერძოდ, ჰარი ტრუმენის უკმაყოფილება გამო-



უნველია იმ ფაქტს, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სრულყოფილებიან სუბიექტებად საბჭოთა კავშირის გარდა, მიღებულ იქნენ უკრაინა და ბელორუსიაც, თუმცა, ეს საკითხი კენჭისყრით უკვე გადაწყვეტილი იყო და არაფერი შეიცვლებოდა. ალბათ, ამანაც გამოიწვია დიდი ბრიტანეთის დელეგაციის ხელმძღვანელის შეცვლის მიუხედავად, კონფერენციის მუშაობაში პრემიერ ეტლისთან ერთად ექს-პრემიერ უინსტონ ჩერჩილის მონაწილეობაც. გარდა ამისა, ეს ჭირვეული პრეზიდენტი, რომელიც გათამამებული იყო ატომური ბომბის წარმატებით გამოცდის შედეგით, ვერ შეგუებოდა იუგოსლავიისა და პოლონეთის ახალი მთავრობების საბჭოთა კავშირისათვის მისაღები შემადგენლობით დაკომპლექტებას. ვერ ურიგდებოდნენ პოლონეთ-გერმანიის საზღვრის საკითხის სტალინის წინადადებით გადაწყვეტასაც, ამიტომ კიდევ ერთხელ წამოიჭრა გერმანიასა და პოლონეთს შორის საზღვრის საკითხი. ისინი აცხადებდნენ, რომ ხსენებული საზღვრის ოდერ-ნეისის ხაზზე გავლება გამოიწვევდა ბერლინის ეკონომიკურ „დამბლას“, რადგან სილეზია ექცეოდა პოლონეთის მხარეს და გერმანია რჩებოდა ქვანახშირის გარეშე. სტალინს კატეგორიული ტონით განუცხადებია, რომ ეს ასე არ არის.

**ჩერჩილი:** — რატომ არ არის ასე, მარშალო სტალინ?

**სტალინი:** — ბერლინი ქვანახშირს იღებს არა სილეზიიდან, არამედ ტორგაუდან (საქსონია).

**ჩერჩილი:** — ტორგაუდან ისინი იღებენ დაბალი ხარისხის მურა ნახშირს.

**სტალინი:** — ტორგაუ იძლევა მაღალი ხარისხის ქვანახშირს და, გარდა ამისა, გერმანელებს აქვთ მურა ნახშირის ბრიკეტებად გადაამუშავებელი შესანიშნავი ფაბრიკები და გამოცდილება, რაც კარგად მოეხსენება ბატონ პრემიერს.

**ჩერჩილი:** — ბერლინი ქვანახშირის დიდ ნაწილს იღებდა სილეზიიდან.



**სტალინი:** — (ნიშნისგებით) დიას, დიას, ეს მაშინ, როცა თქვენს ჯარებს დაკავებული ჰქონდათ მთელი საქსონიის ტერიტორია და ბერლინი იძულებული იყო, ქვანახშირი სილეზიიდან ეზიდა, მაგრამ დღეს ჯარი უკვე გაყვანილია საქსონიიდან.

მონინალმდევე მხარემ დაინახა, რომ ამ თემაზე ამ კაცთან კამათი არ შეიძლებოდა და დიდი ბრიტანეთის ორივე — ძველი და ახალი პრემიერი დასავლეთ ევროპაში მუშახელის ნაკლებობაზე ალაპარაკდა.

— არც ამ საკითხში აქვს პრობლემა დასავლეთ ევროპას, — საუბარში ერთობ ხისტად ჩაერია საბჭოთა დელეგაციის ხელმძღვანელი, — თქვენ ნორვეგიის მთებში 400 ათასი გერმანელი ტყვე გყავთ გადამალული, რომელთა მუშებად გამოყენება თავისუფლად შეგიძლიათ. სხვათა შორის, ისინი კბილებამდე შეიარაღებულები არიან და არ ვიცი, რას ელოდებიან.

ბრიტანელები კედელზე მიყენებული აღმოჩნდნენ და თავის მართლების გარდა სხვა ვერაფერი მოახერხეს. ეტლი ამბობს, ჩვენთვის ეს ცნობილი არ იყო, აქედანვე დავიწყებთ ამის გარკვევას. ჩვენ მტკიცედ გვქონდა გადაწყვეტილი, გერმანელი ტყვეების განიარაღება.

ამ დროს სტალინს, როგორც ჩანს, ხაზგასმული ირონიით ჩაულაპარაკია: „ნე სომნევაისა“, რასაც დარბაზში გვარიანი სიცილი მოჰყოლია.

ამ მაგალითებით ვრწმუნდებით,

რომ ჰიპნოზმა კი არა, ყველა საჭირო ინფორმაციის ცოდნამ და ლოგიკურმა მსჯელობამ დააყრევინა დიდ პოლიტიკოსებს ფარ-ხმალი. ამ სუსხიანი დიალოგით ყველამ იგრძნო, რომ დასავლეთი უხეშად არღვევს სამოკავშირეო ვალდებულებებს და ისიც გაირკვა, რა ვერაგი ზრახვებით იყო ნაკარნახევი 400 ათასი შეიარაღებული გერმანელი ჯარისკაცის გადამალვა სკანდინავიის სიმყუდროვეში.

გოგლა ლეონიძე სტალინისადმი მიძღვნილ ერთ ლექსში თავის გმირს მიმართავს, „რა ძალამ შეგკრა ძალადაო“. აქ იმ ძალაზე არ არის ლაპარაკი, აღმართს რომ ხნავს. მტერს შეიძლება აჯობო, პოლიტიკურ ოპონენტსაც გაუსწორდე, მოლაღატესაც თავისი მიუზლო, კბილებამდე შეიარაღებული ურდოს დამარცხებაც შეძლო, მაგრამ ყველგან „ძლევაი საკვირველი“ მართლაც ძნელად ასახსნელია. ხომ შეიძლება არ დაიჯერო ან რაღაც ზებუნებრივს მიაწერო, მაგრამ მისი საერთოდ დაუნახაობა, უბრალოდ, შეუძლებელია. თუ მეხსიერება არ მალაგტობს (ეს სტალინს არ მოუვიდოდა), ერთი იაპონელი ძალოსანის მწვრთნელი ამბობს — „როგორც ნიჭის დაუფასებლობა არის უნიჭობა, ისე ძალის დაუნახაობაც უძლურებააო“.

რომელ დიდ ადამიანს არ აქვს აზრი გამოთქმული მასზე, მაგრამ, მოდი, თავი დავანებოთ მათ და მის პირველ მტერს, თვით ადოლფ ჰიტლერს მოვუსმინოთ: **„სტალინგრადის მაგალითზე კვლავ გამოჩნდა, რა მნიშვნელობა აქვს ერთ ადამიანს. იმ გამანადგურებელი დარტყმების შემდეგ, რომლებიც მათ იწვნიეს 1941-42 წლებში, რომელიც გნებავთ, ხალხი ფარ-ხმალს დაყრიდა, მაგრამ რუსეთში ერთი კაცის რკინისებურმა სიმტკიცემ, შეუდრეკელმა ნებისყოფამ და გმირულმა ხასიათმა ხალხი წინააღმდეგობის განევის აუცილებლობამდე მიიყვანა. სტალინი — ეს არის მრისხანე მონინალმდევე, როგორც მსოფლმხედველობით, ისე საომარი თვალსაზრისით და**

თუ ოდესმე ჩამივარდა ხელში, ვაგრძობინებ პატივისცემას და დავუთმობ მთელ გერმანიაში საუკეთესო ციხესიმაგრეს, მაგრამ... არასოდეს გამოვუშვებ იქიდან. თავად სტალინი უდავოდ ისტორიული პიროვნებაა, სრულიად უზარმაზარი მასშტაბის“.

ფაშისტური გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრი რიბენტროპი ამ ინფორმაციის მონოდებასთან ერთად თავის მოსაზრებასაც გვიზიარებს: **“ფიურერს სულაც არ ეთაჰილუგოდა თავის მოწინააღმდეგეზე ესოდენ აღმატებული საშუაარი, მგონი, ეამაჰუგოდა კიდეც — აი, ვისი წინააღმდეგობის გადალახვა მიწვევსო.**

მიმაჩნია, რომ პროპაგანდისტული მოსაზრებით ჰიტლერის ლაფში ამოსვრა, გიჟად და პარანოიკად

გამოცხადება, რასაც ადგილი ჰქონდა ომის პერიოდში, სერიოზულად არ იყო მისაღები. **მართალია, გაუნათლებელი კი იყო, მაგრამ ნიჭიერებით, მასების მართვის უნარით და ხასიათის სიმტკიცით მსოფლიო ისტორიაში ერთერთ თვალსაჩინო სახელმწიფო მოღვაწედ და მხედართმთავრად მიიჩნეოდა.** ამდენად, საგულისხმოა მისი ზემოთ მოყვანილი მოსაზრება სტალინზე.

ცხადია, სტალინის ესოდენ დიდ პიროვნებად ჩამოყალიბებაში, მის ფიზიკურ თუ პოლიტიკურ წრთობაში უმნიშვნელო როლი არ უთამაშია ადრეული ასაკიდანვე სხვადასხვა ხასიათისა და მასშტაბის ბრძოლებში უშუალო მონაწილეობის გამოცდილებას, მის საოცარ მეხსიერებას (რაც ჩვენ ვეთებოდა, არ იშლებოდა მისი

ტვინიდან), ინტერვენციასთან შერკინებას და სტიქიასთან უთანასწორო ბრძოლას, მაგრამ, ჩემი ღრმა რწმენით, ამ მხრივ გადამწყვეტი ფაქტორი მის ირგვლივ შემოკრებილი პოლიტიკოსების წინააღმდეგობის გადალახვა გახლდათ. ის ათი თუ თხუთმეტი პოლიტიკური ფიგურა ქუჩიდან მოხვეტილი ბრბო კი არა, მრავალ პოლიტიკურ, ტერორისტულ ქარტეხილებში გამობრძმედილი პროფესიონალი რევოლუციონერები იყვნენ, რომლებიც კარგად ხედავდნენ, მათ თვალწინ როგორ იზრდებოდა და უზარმაზარი მასშტაბის მოღვაწედ ყალიბდებოდა ეს შორეული პროვინციიდან ჩამოხვენილი შავტუხა ბიჭი.

გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“, 13 მარტი, 2010 წელი

## გალაკტიონ ტაბიძის ნააგზოზიდან

3 თვის მოყვანილი მყავდა ოლია ცოლად, რომ უშიშროებამ ღამით წაგვიყვანა ორივე, ვაგონებში ჩაგვყარეს და ციმბირის გზას გაგვიყოლესო, — იგონებს გალაკტიონი, — ახლაც არ ვიცი, სად გავჩერდით, მაგრამ უკვე რუსეთის ტერიტორიაზე ვიყავითო. ვილაც ქალი მიდი-მოდიოდა ვაგონების წინ, სასწრაფოდ დავნერე წერილი და იმ ქალს დავუძახე. ვთხოვე, ეს წერილი ჩაედო კონვერტში და გაეგზავნა. მისამართიც დავუწერე ცალკე ფურცელზე.

ქალი გაშრა, როცა წაიკითხა, რომ სტალინს ვწერდი, ვებვენე, აუცილებლად გაგზავნე, გემუდარები, ჩვენი გადარჩენის ეგ ბოლო იმედია-მეთქი. კიდეც კარგი კალამი და ბლოკნოტი თან მქონდა, „ჩეკისტებმა“ დამიტოვეს — პოეტია, რამეს დაჯლაპნისო. მგონი, 3 დღე, შეიძლება მეტიც, იმ ვაგონებში ვეყარეთ. წარმოიდგინე, ჩემო არჩილ, ერთ საღამოს მოვიდა ვილაც ფორმიანი და ყველა ვაგონი ჩამოიარა — გალაკტიონ ტაბიძე რომელიაო.

მე ვარ-მეთქი, ვუთხარი და ვაგონის კარი გამიღო. მოწინებით მეპყრობოდა, მანქანით წამიყვანეს, აბანოში გამაქანეს და ახალთა-

ხალი სამოსი მომცეს. მოკლედ, მატარებლით მოსკოვში ჩამიყვანეს, კრემლში, სტალინთან. ჩემს წერილს მიეღწია სტალინამდე. შევხვდი სტალინს, გაუგებრობა მოხდა, ჩემო გალაკტიონ თორემ შენისთანა უწყინარ ადამიანს და შენისთანა პოეტს, ნორმალური ადამიანი როგორ დაიჭერსო?! ოლია მოვიკითხე. სტალინი დადუმდა, შუბლი შეიჭმუხნა, ახლოს მოვიდა და მითხრა — შენი მეუღლე აღარ არის ცოცხალი, სამწუხაროა და ვიზიარებ შენს ტკივილს, რა ვქნა, ღმერთი არ ვარ, რომ ცოლი გაგიცოცხლო, შენ კი უბატონოდ ხმას ველარავინ გაგცემსო.

თან პირადი ტელეფონი მომცა, ამ ყაჩაღებმა და გარენრებმა თუ შეგანუხეს, პირადად დამირეკე და ტყავს გავაძრობო. მერე თავის მდივანს, პოსკრებიშევს, ჩემი გვარ-სახელი ჩაანერინა და გააფრთხილა — თუ დაგირეკა ამ კაცმა, რაც უნდა გთხოვოს, შეუსრულე და თუ შენ ვერ გადაწყვეტ საკითხს, სადაც არ უნდა ვიყო, მომძებნე და შემატყობინე, რომ გალაკტიონ ტაბიძე გეძებსო.

სწორედ იმის მერე დავინწყე სმა, ოლიას სიკვდილის მერე და აბა, რა მექნა, ამხელა დარტყმას ვერ გავუძელი.



გ

გრიგოლ ლიპარტელიანი:

# არ შეიძლება ორი მოქმედი ხალხის დიდი შეგობრობის დაშლა აპერიკალების ან ევროპელების სასარგებლოდ

გრიგოლ ლავრენტის ძე ლიპარტელიანი სვანეთის ბუმბერაზი მთების შვილია. აქ დაიბადა და გაიზარდა, სამხედრო სასწავლებლის დამთავრების შემდეგ კი 30 წელი არმიაში სამსახურს შეაღია.

კადრის ოფიცერმა გადადგომის შემდეგ შექმნა გამომცემლობა „მეცენატი“ და სწორედ მაშინ მოუვიდა აზრად, თავადაც აელო კალამი ხელში. პირველი წიგნი „მეცენატი — საკუთარი სახელი“ ავტობიოგრაფიული გამოუვიდა, შემდგომ იყო შრომები ისტორიულ-პატრიოტულ თემებზე, მაგრამ მწერლის შემოქმედების მთავარი თემა მაინც მისი თანამემამულეებია.

იგი რამდენიმე წიგნის ავტორია, რომელთა შორის არის წიგნი „დიდი სტალინი“. სამშობლოდან შორს, სანკტ-პეტერბურგში მცხოვრები მწერალი და საზოგადო მოღვაწე დარწმუნებულია, რომ ქართულ-რუსული მეგობრობა საუკუნეების განმავლობაში გამოინართო და ვერც ერთი პოლიტიკოსი მას ზიანს ვერ მიაყენებს. ჩვენ დაფუკავშირდით მას სანკტ-პეტერბურგში და ინტერვიუ ვთხოვეთ.



— ბატონო გრიგოლ, თქვენ სამხედრო პირი ბრძანდებით, რამ გადაგანყვეტინათ კალმის ხელში აღება?

— ჩემი ცხოვრების მანძილზე ძალიან ბევრს ვკითხულობდი და ვწერდი. ვეცნობოდი საქართველოს, რუსეთის, რომის იმპერიის, ეგვიპტის და სხვა იმ ქვეყნების ისტორიას, რომლებმაც საფუძველი დაუდეს კაცობრიობის ცივილიზაციას.

როცა ჯარში ვმსახურობდი, ვწერდი სტატიებს არმიის გაზეთებში, მაგრამ განსაკუთრებული წინსვლა ამ საქმეში არ მქონია, რადგან ძირითად დროს სამხედრო სამსახურს ვუთმობდი.

გავიდა წლები. 46 წლის ასაკში გადავდექი და სამოქალაქო საქმეებს მოვკიდე ხელი. აი, მაშინ

ვიგრძენი, რომ ცოდნა, რომელიც წლების მანძილზე დავაგროვე, თვითრეალიზაციას მოითხოვდა. 1995 წლიდან ჩემთვის დავიწყე ჩანაწერების წერა, მემუარების სახით. თანდათან შევიძინე რა გამოცდილება და შევავსე გარკვეული მასალა, განვიზრახე, უფრო სერიოზული სამუშაო შემესრულებინა. წლების განმავლობაში ვავსებდი მასალებს სერიოზული წიგნის დასაწერად, როგორ გამომივიდა, ჩემი განსასჯელი არ არის, ამაზე უკვე მკითხველმა თქვა თავისი სათქმელი, როცა ჩემი პირველი წიგნი მალაზიებიდან დაიბეჭდა.

— ფუნდამენტური შრომისთვის „დიდი სტალინი“ აგირჩიეს მეცნიერების, კულტურისა და ხელოვნების მსოფლიო აკადემიის ნამდვილ

წევრად. ეს დიდი აღიარებაა, მაგრამ საინტერესოა, როგორ მიიღო წიგნი მკითხველმა, რადგან სტალინისადმი დამოკიდებულება არაერთგვაროვანია — მას ან აგინებენ, ან ცამდე აჰყავთ.

— ჩემი პირველი ნაშრომია „დიდი სტალინი“, რომელიც 2000 წელს სანკტ-პეტერბურგში გამოიცა. ამ წიგნმა ხალხში დადებითი ემოცია გამოიწვია. მკითხველები მირეკავდნენ და წიგნის გაგრძელებას მოთხოვდნენ, ამის შემდეგ მოსალოდნელი იყო მოვამზადე წიგნის მეორე შეკვეთული ვარიანტი, რომელიც 720 გვერდისგან შედგებოდა. წიგნი შევიტანე მკითხველთა რამდენიმე წერილიც. მისი გამოცემის შემდეგ დამაჯილდოვეს ორდენით და შემეყვანეს სანკტპეტერბურგის მწერალთა კავშირში.



**რა თქმა უნდა, რუსეთში სტალინის მიმართ დამოკიდებულება არაერთგვაროვანია.**

სხვაგვარად არც შეიძლება იყოს. სკკპ XX ყრილობაზე, 1956 წელს, ნიკიტა ხრუშჩოვი იყო პირველი და არც უკანასკნელი, რომელმაც გენერალისიმუსის ხსოვნას ჩირქი მოსცხო. ზუსტად მისი დახურული მოხსენების შემდეგ არა მარტო ჩვენს ხალხში, არამედ უცხოეთში დაიწყო განსხვავებული შეხედულებების გახშირება — ანტისაბჭოური გამოსვლები გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში, პოლონეთში, ჩეხოსლოვაკიაში, სისხლიანი პუტჩი — უნგრეთში. „ევროკომუნისმი“ ანტისტალინური, ანტიკომუნისტური თეორიის მარცხი, რომელსაც სათავეში ჩაუდგა ესპანეთის ყოფილი გენერალური მდივანი სანტიაგო კორილო, ესეც ამ სერიიდანაა.

ხრუშჩოვის ხელმძღვანელობით, საბჭოთა იდეოლოგიურმა მანქანამ დაიწყო ყველაფრის გაშავება, რაც სტალინის სახელს უკავშირდებოდა, რაც თანდათან ამზადებდა ნიადაგს 1991 წელს საბჭოთა სისტემის დასაშლელად.

ხოლო ჩემი „ჩამოყალიბება“ დაიწყო ჯერ კიდევ ლენინგრადის სამხედრო პოლიტიკურ სასწავლებელში ჩარიცხვის დღიდან, სადაც მისაღებ გამოცდაზე შემხვდა ასეთი საკითხი: „სკკპ XX ყრილობა პიროვნების კულტის შესახებ“.

პროფესორმა გრიგორევმა რამდენიმეჯერ მკითხა: „როგორია თქვენი აზრი, ამხანაგო ლიპარტელიანო, ამხანაგ სტალინის პიროვნების კულტის შესახებ?“. მე ვუპასუხე, რომ ის, რასაც ამბობდა ამხ. ხრუშჩოვი თავის გამოსვ-

ლაში. მაშინ მე რა განსაკუთრებული აზრი უნდა მქონოდა ჩამოყალიბებული?..

**წლების შემდეგ დავიწყე ფიქრი იმაზე, თუ როგორ მოხდა, რომ სტალინის ხელმძღვანელობით სსრკ განდაზიანდა სახელმწიფო, რომელმაც დაამარცხა მთელი ევროპული კოალიცია ჰიტლერის მეთაურობით, ომის შედეგად მოშლილი სახალხო მეურნეობა სწრაფად აღადგინა და, როგორც ჩარჩილი ამბობდა, „სტალინმა გაპარტახებული რუსეთი ჩაიბარა და ატომური ბომბით შეიარაღებული დატოვა“ და გოლმოს გარდაიცვალა დიდების ზანიტში...**

15 წელზე მეტხანს ვაგროვებდი მასალებს, მაგრამ, როცა ძველი არქივები გაიხსნა, უფრო გამარტივდა ამ ინფორმაციის მოპოვება.

რუსეთში და საზღვარგარეთ გაჩნდა დოკუმენტები, რომლებიც ადასტურებს, რომ ჩვენ სწორგზას ვადგავართ, მაგრამ ანტისტალინური მანქანა მუშაობდა და დღესაც აგრძელებს მუშაობას. ახლა უკვე რუსეთსა და საზღვარგარეთაც ისტორიკოს მეცნიერთა ახალი თაობა გაიზარდა, რომლებიც საგნებს თავთავიანთ სახელებს არქმევენ.

მაგალითად, ინგლისელი მეცნიერ-მწერლის ბროვიარის ბრწყინვალე წიგნი სახელწოდებით „XX ყრილობის ჩრდილები, ანუ ანტისტალინური სისაძაბლე“, რომელიც 2010 წელს გამომვიდა მოსკოვში. ავტორმა პირველივე გვერდზე დანერგა: სკკპ XX ყრილობაზე ხრუშჩოვის

**დახურულ მოხსენებაში სტალინისა და ბერიას გამამბყუნებელი მტკიცებულებებიდან არცერთი არ იყო მართალი. და ეს მან თავისი წიგნით დაამტკიცა. დღეს ასეთი მართალი წიგნი ბევრია და უფრო მათი იქნება. ისტორიკოსებს სიმართლეს დიდი ადამიანების შესახებ.**

— „ქართველები პეტერბურგში: ისტორიული მიმოხილვა და თანამედროვეობა“, რამდენადაც ცნობილია, თქვენ თვლით, რომ ეს წიგნი პასუხია მიხეილ სააკაშვილის ანტირუსული პროპაგანდის წინააღმდეგ, უფრო კონკრეტულად თუ შეიძლება...


— პირველი გამოცემა წიგნისა „ქართველები სანკტ-პეტერბურგში: ისტორიული მიმოხილვა და თანამედროვეობა“ გამოვუშვი 2008 წლის დეკემბერში. მისი პრეზენტაცია მოეწყო მოსკოვის წარმომადგენლობის კულტურის ცენტრში, 2012 წელს კი გამოვეცი მეორე შევსებული და შესწორებული გამოცემა.

წიგნის გამოსვლის შემდეგ ბევრი სამადლობელი წერილი მივიღე. იგი ემსახურება რუსულ-ქართული მეგობრობის განმტკიცებას, ასევე საქართველოს ისტორიის პროპაგანდას რუს მკითხველებს შორის.

**ღიას, მი მიაჩნია, რომ ოკუპაციის მუხაუმი ქართველებმა პეტერბურგში უნდა განსწავლან, რამეთუ ქალთან ბევრი ღირსეული ქართველის გედი დაკავშირებულია რუსეთთან, კერძოდ კი სანკტ-პეტერბურგთან.**

— თქვენ ერთ-ერთ სატელევიზიო ინტერვიუში განაცხადეთ: მე რუსულ-ქართული ურთიერთობების პატრიოტი ვარო. თქვენი აზრით, დღეს ამ ურთიერთობების გამოკეთების გზა თუ არსებობს და თქვენს წვლილს თუ ხედავთ მასში?

— განვერიანებული ვარ რამდენიმე ორგანიზაციაში, მათ შორის ვარ ქართული დიასპორა „ივერიის“ პრეზიდენტის წევრი, ერთ-ერთი დამფუძნებელი „გეორგიევსკის კავშირისა“, „სანკტ-პეტერბურგის



**„რუსეთში სტალინის მიმართ დამოკიდებულება არაერთგვაროვანია. სხვაგვარად არც შეიძლება იყოს. სკკპ XX ყრილობაზე, 1956 წელს, ნიკიტა ხრუშჩოვი იყო პირველი და არც უკანასკნელი, რომელმაც გენერალისიმუსის ხსოვნას ჩირქი მოსცხო“**



ოქროს წიგნის“ აღმასრულებელი კომიტეტის წევრი, ქალაქის მწერალთა კავშირის წევრი, მთელი რიგი აკადემიების წევრი და ასევე ოლქის ვეტერანთა საბჭოს წევრი.

უნდა ვთქვა, რომ, მიუხედავად იმისა, საქართველო-რუსეთის სახელმწიფოებრივი ურთიერთობები გამწვავდა განსაკუთრებით 2008 წლის შემდეგ, მაგრამ რუსეთსა და საქართველოს შორის ურთიერთობა ყოფით დონეზე დღესაც შენარჩუნებულია. თითოეული ქართველის ავტორიტეტი განისაზღვრება მისი კონკრეტული ადამიანური ფასეულობებით, დამსახურებებით ქალაქის, საზოგადოებისა და სახელმწიფოს წინაშე.

ორ ხალხს შორის სრული ნდობის, მეგობრობის აღდგენის პერსპექტივა დამოკიდებულია დიპლომატიურ ურთიერთგაგებაზე, როგორც სახელმწიფოებრივ დონეზე, ასევე საზოგადოებრივზე. აქვე მინდა ვთქვა კეთილი სიტყვა თქვენი მისამართით, რამეთუ თქვენ ამ მიმართულებით ბევრ კეთილ საქმეს აკეთებთ. **არ შეიძლება ორი მოქმედი ხალხის დიდი მეგობრობის დაშლა ამერიკელების ან ევროპელების სასარგებლოდ.**

**— რა როლი შეასრულეს პეტერბურგელმა ქართველებმა პეტრე ბაგრატიონის ძეგლის გახსნაში?**

— ჯერ კიდევ 10 წლის წინ საქართველოს საკონსულოს წარმომადგენელი პეტერბურგში, გიზო კუხალაშვილი, ცდილობდა, წინა პლანზე წამოეწია პეტერბურგში პეტრე ბაგრატიონის ძეგლის დადგმის საკითხი. დღეს იგი თბილისში ცხოვრობს. მისი ინიციატივა ჩვენ ავიტაცეთ ქართული დიასპორის პრეზიდენტის წევრებმა — ბ. კაკაბაძემ, ბ. ბერულავამ, დ. ქარჩავამ, მე და სხვებმა. ჩვენი საერთო ძალისხმევა დასრულდა დიდი ზღვის ქუჩაზე ერთ-ერთ სახლზე მემორიალური დაფის (ავტორი მარლენ ცხადაძე) გაკეთებით, რომელსაც აქვს წარწერა: „ამ სახლში 1801 წლიდან 1803 წლამდე ცხოვრობდა 1812 წლის მსოფლიო ომის გმირი, თავადი ბაგრატიონი (1765-1812)“.

2009 წლის 25 სექტემბერს, 1812-1814 წლების სამამულო ომში რუსეთის გამარჯვების 200 წლის იუბილესთან დაკავშირებით, გამოვუშვი წიგნი სახელწოდებით „თავადი ბაგრატიონი“.

2009 წლის იანვარში ა. ებრალიძემ მიმართა გუბერნატორ მატვიწიკოს თხოვნით, ფრანგების რუსეთზე გამარჯვების 200 წლისთავზე დაედგათ ძეგლი ბაგრატიონისთვის. შეიკრიბა კომისია სანკტ-პეტერბურგის ისტორიკოსებისა, რომლის სათავეში იდგა ვიცე გუბერნატორი ს. ტარასოვი, მან მოამზადა და ჩაატარა კონკურსი ბაგრატიონის საუკეთესო ძეგლის პროექტზე. ორჯერ გამართული სხდომის შემდეგ გამარჯვება მოიპოვა მოქანდაკე იან ნეიმანმა, მეორე ადგილი — მოქანდაკე მ. ცხადაძემ და გაჩაღდა მუშაობა.

მეცენატმა ებრაელიძემ თავისი დანაპირები შეასრულა და 2012 წლის 7 სექტემბერს ბოროდინოს ბრძოლის 200 წლისთავის აღსანიშნავად დაიდგა ძეგლი მარატის ქუჩაზე, სადაც ადრე „ეგერთა“ პოლკის ყაზარმები იყო, რომელთაც ბაგრატიონი ხელმძღვანელობდა. გახსნას ძალიან ბევრი ხალხი დაესწრო — სახელმწიფო მოხელეები, ქალაქის სამხედრო პოლიტიკური ელიტა, ჟურნალისტები, მათ შორის საქართველოდან ტელეკომპანია „მაესტროც“.

სექტემბრის ბოლოს ბელარუსებთან და უკრაინელებთან ერთად მოვანყვეთ „მრგვალი მაგიდა“, რომელიც მიეძღვნა ზემოაღნიშნულ თარიღს და რომლის თემა იყო „ფელდმარშალები და გენერლები“. არ შემიძლია არ ვთქვა ორიოდ თბილი სიტყვა ჩემი ათივე წიგნის გამომცემელზე, არაჩვეულებრივ ადამიანზე — ალექსანდრ სეზანოვზე, მწერალსა და პოეტზე, სახელმწიფო მოღვაწეზე, რომელთანაც, უკვე 19 წელია, ლიტერატურული ტანდემი მაქვს. ის იცნობს საქართველოს ისტორიას, მის კულტურას, ქართული ლიტერატურისა და ხელოვნების საუკეთესო ნიმუშებს.

**— თქვენ მონაწილეობდით საზღვარგარეთის ქართული დიას-**

**პორების მსოფლიო კონგრესის მუშაობაში, კონკრეტულად რა საკითხებს მიეძღვნა იგი?**

— საზღვარგარეთის ქართული დიასპორების მსოფლიო ფორუმი, რომელსაც ესწრებოდნენ ქართული დიასპორის 200-ზე მეტი წარმომადგენელი მსოფლიოს 42 ქვეყნიდან, 2010 წლის 23 აპრილს სანკტ-პეტერბურგში გაიმართა.

კონგრესი ეძღვნებოდა საქართველოს დამოუკიდებლობის, დემოკრატიის, ნეიტრალიტეტის საკითხებს.

საზგასმით ითქვა, რომ:

**ჩვენ მხარს ვუჭერთ მებრძოლებს ამერიკასთან, ევროპასთან, ჩინეთთან და სხვა ქვეყნებთან, მაგრამ, პირველ რიგში, მომხრენი ვართ, აღვადგინოთ მეგობრული ურთიერთობები რუსეთთან, სადაც დღესდღეობით ცხოვრობს მილიონამდე ქართველი.**

**ჩვენი მიზანია, დავუბრუნოთ საქართველოს ოქუპირებული ტერიტორიები, გამოვიყვანოთ ის კრიზისული მდგომარეობიდან და დავაყენოთ დემოკრატიის გზაზე.**

**რუსეთი და საქართველო უნდა გახდნენ სტრატეგიული პარტნიორები. ჩვენ ვერ შევძლებთ ჩვენი პრობლემების მოგვარებას მოსკოვის ჩარევის გარეშე.**

როდესაც ჩვენ ვსაუბრობთ დემოკრატიაზე, თანამედროვე ცივილიზაციაზე, სხვისი აზრისა და შეხედულების გათვალისწინებაზე, თითოეულ ჩვენგანს უნდა ჰქონდეს პასუხისმგებლობის გრძნობა სამშობლოს წინაშე. დღეს 21-ე საუკუნეა და გლობალიზაცია პატარა საქართველოსაც შეეხო, ამიტომ ვალდებული ვართ, შევინარჩუნოთ ჩვენი უძველესი ტრადიციები. ეს ადვილი ამოცანა არ არის, მაგრამ გამოსავალი უნდა მოიხსნოს, თორემ 10 ან 20 წლის შემდეგ ქართულ კულტურასა და მენტალიტეტს დაღუპვა დაემუქრება.

მე ვთვლი, რომ საქართველო არ უნდა მონაწილეობდეს ერაყისა და ავღანეთის ომებში.

ჩვენ, საქართველოდან შორს მცხოვრებ ქართველებს, გვინდა, ჩვენი სამშობლო ვნახოთ გაბრწყინებული, ქართველი ხალხი კი — ბედნიერი.

— მთელი თქვენი შეგნებული ცხოვრება რუსეთში გაატარეთ, თქვენი შვილებიც რუსეთში დაიბადნენ, დღეს რა კავშირი გაქვთ საქართველოსთან და თუ სტუმრობთ მშობლიურ კუთხეს — სვანეთს?

— მიუხედავად იმისა, რომ ყოველთვის დაკავებული ვიყავი, არც ერთი წუთით არ დამვიწყებია ჩემი ფესვები და წარმომავლობა. ოჯახთან ერთად ყოველთვის ჩავდიოდი საქართველოში, სვანეთში — ხოფურში, რომელიც ლენტეხის რაიონი იყო. ჩემი შვილები ყოველწელს ისვენებდნენ ბებიასთან და ბაბუასთან სოფელში, მათ კარგად ახსოვთ იქაური თანატოლები და თითქმის იციან სვანურიც.

სამწუხაროდ, 1988 წელს წყალდიდობის შედეგად ჩემი მშობლების თვალწინ დაიბოროა მთელი სოფელი. მაშინდელი მთავრობა დაეხმარა ხალხს და დაზარალებულები გადაიყვანა ქსანში, შემდეგ კი ყველას 2-სართულიანი სახლები აუშენა სოფელ საკიდევანოში.

ძალიან ბევრი ქართველი ნაცნობი მყავს, როგორც საქართვე-

ლოში მცხოვრები, ასევე რუსეთშიც. ასევე კარგად ვიცი, როგორ და რით არსებობს ჩემი ქვეყანა. მიხარია მისი წარმატება და მწყინს მისი წარუმატებლობა, ვკითხულობ ქართულ გაზეთებს ინტერნეტის საშუალებით.

2012 წლის 3 სექტემბერს მე გავუგზავნე ყველა ჩემი წიგნი ლენტეხის პირველ საჯარო სკოლას, რომელიც დაფუძნდა 1956 წელს.

— დღეს ქართველი ხალხი ქვეყნის ცხოვრებაში რადიკალური ცვლილებების მოლოდინშია. როგორია თქვენი განწყობა?

— მე მინდა აღვნიშნო, რომ არც ერთ ქართველს არ გაუკეთებია იმდენი კეთილი საქმე, რამდენიც ბიძინა ივანიშვილმა გააკეთა. ფაქტობრივად, მან გააკეთა ის ყველაფერი, რაც სახელმწიფოს უნდა გაეკეთებინა.

დიდი იმედი მაქვს კოალიცია „ქართული ოცნების“, ვენდობი მის ლიდერს და მინდა მჯეროდეს, რომ ამ ახალი მთავრობის თითოეული წევრი აცნობიერებს პასუხისმგებლობას ხალხისა და ქვეყნის წინაშე. „ძალა ერთობაშია“ კარგი ლოზუნგია, რომელიც მხოლოდ სიტყვებს არ უნდა ეფუძნებოდეს. ჩვენ უნდა გავითვალისწინოთ წინა მთავრობის შეცდომები, მაგალითად მოვიყვან იმას, რომ საქართველოში ჩამოსული სენა-

ტორი მაკკეინი ლამის წმინდანად აღიარეს და დემოკრატიის მნათობად. თუმცა კარგად არის ცნობილი მისი ისტორია. მფრინავმა მაკკეინმა მთლიანად გადაწვა ვიეტნამში სოფლები, რის გამოც დაისაჯა — მან წელი გაატარა ტყვეობაში და შემდეგ შეწყალებით გამოუშვეს. აქედან გამომდინარეობს რუსეთისადმი მისი ასეთი სიძულვილი.

გარდა ამისა, ახლანდელი მთავრობა უნდა ამყარებდეს კარგ ურთიერთობებს რუსეთის ელიტასთან და არა ოპოზიციასთან, როგორც ეს წინა მთავრობის დროს იყო. ჩემი აზრით, ანტირუსულ ქვეყნებთან მიმართებაში საქართველოს კარგი არაფერი მოუტანა. რუსეთი და საქართველო მეზობელი ქვეყნები არიან და ჩვენ გამოვრავიან ვერაფერს მოვეუხერხებთ. მიგობრობის გარეშე არაფერი გამოვა, ამ მიგობრობამ ბევრი სიკეთე მოუტანა საქართველოს წარსულში და ბევრს მოუტანს მომავალშიც. და ეს შანსი ახალმა მთავრობამ ხელიდან არ უნდა გაუშვას. მხოლოდ ამ შემთხვევაში შეძლებს საქართველო პრობლემების მოგვარებას ტერიტორიული მთლიანობის აღდგენასთან დაკავშირებით.

საუბარი ჩაიწერა დიანა კახიკაძე

## უხსოვლი მოგზაურობი საქართველოს შესახებ

**შარდანი:** „ქართველები მთელ აღმოსავლეთში და, შეიძლება ითქვას, მთელ მსოფლიოში საუცხოო ჯიშის ხალხია. ამ ქვეყანაში მე არ შემხვედრია არც ერთი უშნო ადამიანი, კაცი იქნება ეს თუ ქალი, ვხვდებოდი მხოლოდ და მხოლოდ ანგელოზისებრ სახეებს. ქალების უმეტესობა ბუნებას ისეთი სინატიფით დაუფილდობია, როგორსაც ვერსად შეხვდებით. ვფიქრობ, შეუძლებელია მათ თვალი მოჰკრათ და არ შეგიყვარდეთ, ქართველ ქალზე უფრო მშვენიერი სახისა და ტანის დახატვაც კი შეუძლებელია“.

**იტალიელი მისიონერი დონ ჯუზეპე მილანი:** „ქვეყანა და განსაკუთრებით ქალე-

ბი მეტისმეტად ლამაზებია. ამ მხარეში უფრო მეტად, ვიდრე სხვა ქვეყანაში, დიდი თავშეკავებაა საჭირო, რომ ცდუნებაში არ ჩავარდეს კაცი“.

**ვინკაილმანი:** „ასეთი ბუნება, ასეთი ცა ქმნის ადამიანებს შორის უმშვენიერეს და უნატიფეს ქმნილებებს, ამასთან, სრულ თანხმობას ამ ქმნილებებს შორის. მშვენიერ ადამიანთა, ქართველთა ქვეყანა გვიმტკიცებს ამას“.

**სტრაბონი:** „არიან ქვეყნები, სადაც სილამაზე უპირატესობად არ ითვლება, რადგან ყველა ლამაზია. მოგზაურები ამას ერთხმად ამბობენ საქართველოზე“.



# მიხეილ წერეთელი და თანამედროვეობა

134 წლის წინ, 1878 წლის 23 დეკემბერს, ზემო იმერეთის ერთ ლამაზ სოფელ ცხუკვეთში დაიბადა მიხეილ წერეთელი. მიხაკო წერეთლის, ღრმა მეცნიერ-თეორეტიკოსისა და პრაქტიკოსის, ბრიუსელის ასირიოლოგიისა და ბერლინის ქართველოლოგიის საქვეყნოდ ცნობილ უნივერსიტეტთა კათედრების ხელმძღვანელის მემკვიდრეობა და ქართული სახელმწიფოებრივი აზროვნების განვითარებაში განუთელი ღვაწლი აღიარებულია მეცნიერებისა და კულტურის უთვალსაჩინოეს წარმომადგენელთა მიერ.

„უფლებააყრილ საქართველოში მისი სიტყვა მეხვიით ჰქუხდა და ეროვნულ ბრძოლას ცეცხლის ენერგიას აძლევდა. განა შეიძლება სხვა რომელიმე ან ვისიმე სიტყვა შეეძაროს მის სიტყვას, რომელიც მან ერის წინამძღოლს და ზრახვათა მფლობელ ილიას, ჩვენი წამხდრობისა და სიგიჟის მსხვერპლს, ტფილისში ჩამოსვენებისას რომ უთხრა?!“ — წერს ევროპის სამეცნიერო წრეების მიერ აღიარებული გამოცემის „ბედი ქართლისა“ დამფუძნებელი კალისტრატე სალია, პროფ. მიხაკო წერეთლის 70 წლისადმი მიძღვნილ მილოცვაში („ბედი ქართლისა“, 1948წ. №3).

„ერი და კაცობრიობა“ პირველი ქართულენოვანი სოციოლოგიური ნაშრომია, რომელშიც იწინასწარმეტყველა მიხაკო წე-

რეთელმა ქართული საზოგადოებრივი აზრის რეგრესი საბჭოთა პერიოდში. მხოლოდ ორმოცდათვრამეტი წლის შემდეგ(!) ბ-ნ ვენორი ქვაჩახიასა და მის თანამოაზრეთა ძალისხმევით მოხდა საბჭოთა კავშირში მანამდე არარსებული პრეცედენტი — ეს იყო ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში გამოყენებითი სოციოლოგიის კათედრის დაფუძნება.

„ერი და კაცობრიობა“-ში წარმოდგენილი მსჯელობები უმკაცრესი სამეცნიერო სტანდარტის ჩარჩოებში ვითარდება: ურთულეს თემატიკას შეჭიდებული ავტორი საკუთარ კალამს უფლებას და გასაქანს არ აძლევს ძირითადი თემის მომიჯნავე საკითხებზე განვრცობისა. უძლიერესი გონება მუდამ კონტროლქვეშ ჰყავს,



მოკლედ სჭრის: მართალია საკითხის ეს მხარე (ნახნაგი, ასპექტი) ჩვენთვის დიდი ინტერესის საგანს წარმოადგენს, მაგრამ ამ ნაშრომის მიზანს არ შეადგენსო. დიდი ივანე ჯავახიშვილის, მიხაკო წერეთლისა და მათ თანამოაზრეთა სამეცნიერო კეთილშობილებითა და რუდუნებით გამოიმუშავებული სტანდარტის დათმობამ მიგვიყვანა კიდეც სადღეისოდ არსებულ ვითარებამდე.

ქართული სახელმწიფოებრივი აზროვნების განვითარების, რბილად რომ ვთქვათ, არაკეთილმოსურნენი, ჩაძინებულებსა და გონებადაბინდულებს ყოველდღიურად, მეთოდოლოგიურად ნაბიჯ-ნაბიჯ გვაცლიდნენ და გვაცლიან „ისტორიული მეხსიერების ძაფს“. ილიას მემკვიდრეობისა და მის მიერვე დასახული, ერის სასიცოცხლოდ აუცილებელი განვითარების გზის თანამემამულეთა ცნობიერებამდე მიტანის დღემდე სწორუპოვარ მაგალითად რჩება „მიხაკო წერეთლის სიტყვა წარმოთქმული ილია ჭავჭავაძის

**კალისტრატე სალია:**  
**«უფლებააყრილ საქართველოში მისი სიტყვა მეხვიით ჰქუხდა და ეროვნულ ბრძოლას ცეცხლის ენერგიას აძლევდა. განა შეიძლება სხვა რომელიმე ან ვისიმე სიტყვა შეეძაროს მის სიტყვას, რომელიც მან ერის წინამძღოლს და ზრახვათა მფლობელ ილიას, ჩვენი წამხდრობისა და სიგიჟის მსხვერპლს, ტფილისში ჩამოსვენებისას რომ უთხრა?!»**

**ტფილისში ჩამოსვენებისას 1907 წლის 7 სექტემბერს** („ბედი ქართლისა“, 1952 წ. მაისი, №12) და ილიას მკვლელობის ნახევარი საუკუნის წლისთავისადმი მიძღვნილი ნაშრომი „ილიას მკვლელობა“ („ბედი ქართლისა“, 1957წ., №24-25), რომელიც ემიგრაციაში ყოფნისას დაწერა.

სულმნათი მიხაკოს მემკვიდრეობის ახალგაზრდა ქართული სახლმნიფორივი მშენებლობის ურთულეს საკითხებში ყოველდღიური, უპირველეს ყოვლისა, საგანმანათლებლო სივრცეში გამოყენება, თანამედროვე კულტურული ერის საზოგადოებრივი აზროვნების სიმნიფის უტყუარი საზომია....

სხვაგვარი ილიას გზა და განვითარება საერთოდაც არ არსებობს.



მიხეილ ნახუტაშვილი  
მეზობლებთან ერთად

თუ რამდენი „ენერგია ჩაჰკლა“ მიხაკო წერეთელმა ამ და სხვა, ერთი შეხედვით, თითქოსდა ანბანურ ჭეშმარიტებათა განმარტებაში და საერთოდაც ილიას გზის

სინმინდის დაცვაში, „ერი და კაცობრიობის“ უმკაცრესი — მათემატიკოსთათვისაც კი შესაშური ლოგიკით შედუღებული ნაშრომი ნათელყოფს.

# აპონარქიდი მიხაკო წერეთლის ნიბნიდან «ერი და კაცობრიობა»

მთელი საუკუნის განმავლობაში სცდილობდნენ, შეენყვიტად ძაფი მესხიერებისა ჩვენს ანმყოსა და წარსულს შორის, ამით სულიერი ცხოვრება ჩვენი ისეთ პირობებში ჩააყენეს, რომ შეგნება ჩვენი ეროვნული ორგანული ცხოვრებისა, მისი ზრდისა, მისი ანმყო მდგომარეობისა და მომავლის სასურველი მისწრაფებისა შეუძლებელი ჰყვეს, — და მრავალ ქართველსაც მარტო გვარიდა შემორჩა ქართული, ხშირად ისიც ბოლოში შეკვეცილი და „ოვად“ გარდაქმნილი; — იგი ცუდ ქართულად მოლაპარაკე და რუსულის არა მცოდნე რაღაც უცნაური, „არც რუსი და არც ქართველი“ შეიქმნა და ისე დამახინჯდა სულიერად, რომ ასეთი თავისი მდგომარეობა ნორმალურად ჩასთვალა; — მან ყველა თავის მსგავსად წარმოიდგინა, და ბევრი ვერც კი იგებდა, თუ რა განსხვავება იყო მასა და მაგალითად ფრანგს ან რუსს შორის, რომელთაც ეროვნულ-სოციალურ სფეროში მიუღიათ აღზრდა და ამით არიან მთლიანნი ბუნებისანი. მათ იდეალსა და მოქმედებას ღრმად აქვს ძირი გადგმული საკუთარ ეროვნულ სოციალურ ნიდადაგზე და ამიტომაც მათი სულის-კვეთება ნაყოფიერი და გულ-წრფელია.

მეორე მხრით, ქართველი ინტელიგენტიც კაცია, მასაც აქვს მოთხოვნილება რწმენისა და დიადი იდეალისა, რომელიც უნდა აღიაროს უმაღლეს ჭეშმარიტებად, მთელი თავისი მოქმედება ზედ დაამყნას და უმაღლესი, ადამიანური მიზანი დაისახოს ცხოვ-

რებაში. მისი სული რომ გადამახინჯებულია და დაშორებული სამშობლო ნიდაგს, სამშობლოს პრობლემებსაც ველარ აქცევს ყურადღებას, იგი მისთვის აღარც კი არსებობს, — იგი აღარ არსებობს მისი აზრით აღარც სხვისთვის, აღარც საზოგადოდ, — და მით უმეტეს იგი ითვისებს ან ისეთ იდეალებს, რომელიც პირდაპირ მავნებელია მისი სამშობლოსათვის, ან და, თუმცა დიადს, მაგრამ ბევრი მხრით შემცდარს ქართველიც მას კრიტიკულად ვერ მოპყრობია... არ განიხილავს იგი ქართული თვალთახედვით ამ თეორიებსა, რადგანაც ქართული ცხოვრებით არას დროს არ უცხოვრია, — და განა მარტო სოფელში ცხოვრება და გლეხებთან ლაპარაკია ქართული ცხოვრება: იგი სულიერად განცდაა ქართველი ერის მთელი ისტორიისა, მისი სულის კვეთებისა და მის მისწრაფებათა. რასაკვირველია, ასეთი ადამიანი იდეალს შეითვისებს იდეალისათვის, უფრო საკუთარ სულიერ მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად. უცხოეთში შეთვისებული იდეალიც მას ჭეშმარიტება ჰგონია ყოველი კერძო შემთხვევისათვის, და თუ ქართული წარსული და თანამედროვე ცხოვრება ოდნავ მაინც არ ეთანხმება ამ უცხოეთში შეთვისებულ იდეალს, — თამამად და გულწრფელად წამოიძახებს, — წარსული მეზიზღება და ანმყო მეჯავრებაო! გულ-წრფელადვე მას ასეთი ყოვლად უაზრო სიტყვა სოციალიზმის რწმენის განმტკიცებად მიაჩნია, იდეალის სამსახურად!



გიორგი მჭედლიშვილი,

ისტორიკოს-კულტუროლოგი, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი

# ვინ ვართ ჩვენ, XXI საუკუნის ქართველები, სივილიზაციურ კონფლიქტში თუ კულტურათა დიალოგში?

როცა ასეთ საკითხებზე ვმსჯელობთ, ბუნებრივია, იბადება კითხვა, როგორც გეოგრაფიული, ისე ცივილიზაციური იდენტურობის თვალსაზრისით – სად არის საქართველო? ევროპა ვართ თუ აზია? ეს საკითხი ჩვენი ინტელიგენციისათვის ინტენსიური მსჯელობის საგანი გახდა ჯერ კიდევ მეოცე საუკუნის დასაწყისიდანვე. ჩვენი საუკუნის ათიან და ოციან წლებში ამ პრობლემას დასტრიალებდა თავს მაშინდელ ქართველ ინტელიგენტთა ახალგაზრდა თაობა. განსხვავებულ პოზიციებზე მყოფნი აზრსაც ურთიერთსაწინააღმდეგოს გამოთქვამდნენ.

გაბრკელება. დასაწყისი ის. „ისტორიული მემკვიდრეობა“ №3

## მეორე ვართ თუ აზია?

სად არის საქართველო? ევროპელები ვართ თუ აზიელები? ამ შეკითხვაზე ვერც უცხოელები იძლევიან ერთმნიშვნელოვან პასუხს. აზროვნების მანერა აქ დასავლურია, ხოლო ყოველდღიურ ცხოვრებაში თვალშისაცემია აღმოსავლურ ელემენტთა სიჭარბე — ასეთია ჩვენში სტუმრად ჩამოსულ უცხოელთა პირველივე შთაბეჭდილება. კაცმა რომ თქვას, ასეთი პასუხი შეიძლება არც უნდა გაგვიკვირდეს, ვინაიდან ერთია შენი ნახვით მიღებული შთაბეჭდილება, ხოლო სულ სხვაა შენ შესახებ მათი ინფორმირებულობა, რაც დროდადრო ვლინდება ურთიერთობებშიც.

ჯერ კიდევ XV-XVIII საუკუნეებიდან ჩვენი ქვეყნის გარემოცულ ციხეებად გადაქცევამ, ქართული კულტურის განკერძოებულმა მდგომარეობამ, ხოლო XIX საუკუნეში სახელმწიფოებრიობის დაკარგვამ საქართველო მოსწყვიტა მსოფლიო კულტურის ცე-

ნტრს და გამოიწვია ის იგნორაცია, რომელსაც, სამწუხაროდ, დღესაც ვამჩნევთ ჩვენდამი დამოკიდებულებაში. საილუსტრაციოდ დავიმონმებ ცნობილ ამერიკელ ისტორიკოს რიჩარდ პაიპსს: „საქართველოს სურს ევროპის ნაწილი იყოს, მაგრამ მიმანია, რომ ეს შეუძლებელია. საქართველო შუა აღმოსავლეთს ეკუთვნის. ევროპისა და დასავლური ცნობიერების ნაწილი ის ვერ გახდება, მისთვის ეს არარეალურია“.

ინტერვიუდან ეს ამონარიდი ჩვენი ქვეყნის ისტორიის ერთ ეპიზოდს მახსენებს: როგორც ცნობილია, 1918-21 წლების საქართველოს დამოუკიდებლობა დიდ პოლიტიკას შეეწირა ისევე, როგორც თავის დროზე ქართული ტერიტორიის დაკარგვა. როდესაც საქართველო-სომხეთის ომის დროს, მართალია, ქართულმა ჯარმა გაიმარჯვა, მაგრამ დიდი ბრიტანეთისა და საფრანგეთის



დამსახურებით ეს გამარჯვება დამარცხებად გვექცა. მათი მხრიდან „არაკეთილმოსურნე“ დამოკიდებულება ემიგრაციაში მყოფ საქართველოს მთავრობასაც შეეხო. ეს განსაკუთრებით გამოჩნდა ნოე ჟორდანიასა და საფრანგეთის პრეზიდენტ მილიერანის შეხვედრისას. 1921 წელს ინგლის-რუსეთის სავაჭრო ხელშეკრულებაში კი საბოლოოდ გადაწყვიტა საქართველოს ბედი. პრაქტიკულად შეუძლებელი გახდა საბჭოთა რუსეთის წინააღმდეგ რომელიმე ევროპული ქვეყნის მოკავშირედ გამოყენება. მდგომარეობა კიდევ უფრო უიმედო გახდა მას შემდეგ, რაც ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრმა ლოიდ ჯორჯმა საბჭოთა რუსეთთან დაახლოებაზე აიღო ორიენტაცია. ამა-სობაში ჩქარი ტემპით მიმდინარეობდა რუსეთ-თურქეთს შორის



კავშირების გაღრმავება. ამ უიმედო ვითარებაში საქართველოს ემიგრაციულმა მთავრობამ სცადა საქართველოს საკითხი საერთაშორისო კონფერენციების მსჯელობის საგნად ექცია.

1922 წლის აპრილ-მაისში მიმდინარეობდა გენუის (იტალია) საერთაშორისო კონფერენცია. მიღწეული შეთანხმების საფუძველზე მასში მონაწილეობდა საბჭოთა რუსეთიც. **საქართველოს ემიგრაციული მთავრობა ცდილობდა, მიეღწია წარმომადგენლის დაშვებისთვის. ამის წინააღმდეგ ბაილაშქრა ინგლისმა. მისმა წარმომადგენელმა თავისი უარყოფითი პოზიცია იმით დაასაბუთა, რომ საქართველო აზიაში მდებარეობდა, ამ კი, მისი თქმით, ევროპული სახელმწიფოები იკრიბებოდნენ.** მიუხედავად ამისა, აკაკი ჩხენკელმა მაინც შეძლო იტალიაში გამგზავრება, რათა საჭირო მასალა მიეწოდებინა კონფერენციაში მონაწილეებისთვის.

საქართველოს ისტორიის ამ არცთუ სასიამოვნოდ გასახსენებელი ეპიზოდებიდან, ცხრა ათეული წელი გავიდა. რა შეიცვალა ამ მხრივ?

1999 წელს საქართველო ევროპის საბჭოს სრულუფლებიანი წევრი გახდა. ჩვენი ქვეყნის ევროსაბჭოში განწევრიანებამ, მართალია, დღის წესრიგიდან მოხსნა ისტორიული კამათი, რომელიც ათას წელზე მეტხანს გრძელდებოდა, არის თუ არა საქართველო აზიის თუ ევროპის ნაწილი, მაგრამ გვანიჭებს კი ეს უფლებას, რომ, რადგან მიგვიღეს ევროპულ ოჯახში, ამით ჩვენ „ევროპელები“ გავხდით. მაშ, კიდევ რა გვიშლის ხელს? რა ბარიერი არსებობს, რომ ე. წ. ძმური ქვეყნების სრულუფლებიან წევრად ვიგრძნოთ თავი? ვფიქრობთ, ასეთ შემთხვევაში, დროულია გავიხსენოთ, რომ მმართველობის თანამედროვე დემოკრატიული ფორმა, არსებული შეხედულებით, ისტორიულად ჩამოყალიბდა დასავლეთში და რომ ევროპის თანამეგობრობა

ემყარება ევროპული კულტურისა და დასავლური ცივილიზაციის საერთო საფუძვლებს, ე. ი. მათგან განსხვავებული ცივილიზაციისადმი კუთვნილება როგორც ჩვენთვის, ისე ყველა დანარჩენისთვის სწორედ ის მთავარი მიზეზია, რომელიც დასავლური ქვეყნების თვალში სხვათა მსგავსად საქართველოს აკუთვნებს არადასავლურ იერს.

ახლა ისიც ვიკითხოთ, — როგორია ჩვენი ურთიერთობა მათდამი. **დასავლეთთან დამოკიდებულებაში საქართველოს უკვე აქვს თავისი არჩევანი გაკეთებული. ეს არის მცდელობა, მიემხროს დასავლეთს და მიიღოს მისი ფასეულობანი და ინსტიტუტები.** ზედაპირულ დონეზე ამის კეთებას საერთაშორისო ურთიერთობათა ენაზე ჰქვია „მატარებლის კიბეზე შეხტომა“. არსებობს ჩვენი საზოგადოებისთვის პასუხგაუცემელი კითხვა: **რა არის ევროპა ჩვენთვის — პოლიტიკური თავშესაფარი თუ ისტორიული ადგილი?!** გამოთქმული თვალსაზრისებიდან ყველაზე უფრო გავრცელებული შეხედულება ემყარება რელიგიურ-სარწმუნოებრივ არგუმენტს, რომლის თანახმად, რადგან დასავლური სამყარო ქრისტიანულ ფასეულობებს ეფუძნება, ამდენად საქართველოც, როგორც ერთ-ერთი პირველი ევროპული ქრისტიანული ქვეყანა, მის ცივილიზაციას განეკუთვნება.

ასეთი ახსნა დამაჯერებლობას რომ არ უნდა იყოს მოკლებული, ჩანს იქიდანაც, რომ ცივილიზაციის თანამედროვე მკვლევართა (მათ შორის სემუელ ჰანთინგტონის) მტკიცებით: რელიგია იმაზე ბევრად მკვეთრად მიჯნავს ადამიანებს, ვიდრე ეთნიკური კუთვნილება, და რომ რელიგიური ერთობა გაცილებით ადვილად აყალიბებს საერთო ცივილიზაციურ ნიშნებს, ვიდრე სხვა რომელიმე ფაქტორი.

მაგრამ ჩვენთვის ეს რომ უფრო სასურველის რეალობად მიღების ცდუნებაა, ჩანს იქიდანაც, რომ, როგორც უკვე ითქვა, ამჟამადაც დასავლეთში გავრცელებული შეხედულებით, ისლამურ, კონფუცი-

ურ, იაპონურ, ინდუისტურ, ბუდისტურ და მართლმადიდებლურ კულტურაში, ხაზს ვუსვამთ მართლმადიდებლურ კულტურაში, თითქმის ვერპოულობს გამოძახილს ისეთი დასავლური იდეები, როგორებიცაა ინდივიდუალიზმი, ლიბერალიზმი, კონსტიტუციონალიზმი, ადამიანის უფლებები, თანასწორობა, თავისუფლება, კანონის უზენაესობა, დემოკრატია, თავისუფალი ბაზარი, ეკლესიის გამოყოფა სახელმწიფოსაგან და ა. შ.

ის, რომ შუა საუკუნეებში დასავლური ცივილიზაცია ზოგადად წარმოდგენილი იყო ქრისტიანულ სამყაროდ და რელიგიურმა ფაქტორმა მართლაც დიდი როლი ითამაშა ევროპის, როგორც ერთიანი გეოკულტურული სივრცის ფორმირებაში, დღეს ამაზე არავინ დავობს და არც არასოდეს ყოფილა დავის საგანი.

სოციალურ მენიერებათა უმეტესი წარმომადგენელი, ვინც მუშაობდა რელიგიურ საკითხზე, ერთი აზრისაა იმის თაობაზე, რომ **ქრისტიანობა თავისი კათოლიკური პროტესტანტული გამოვლინებებით შეთავსებადია დემოკრატიის ინსტიტუციონალურ და კულტურულ განვითარებასთან.**

მაგრამ რა ხდება ქრისტიანობის მეორე უდიდეს ნაკადში — მართლმადიდებლურ ტრადიციებში? დღემდე დემოკრატიის მკვლევარები, ისტორიასა და თანამედროვე გამოცდილებაზე დაყრდნობით მართლმადიდებლობას ან უგულვებელყოფდნენ, ან უარყოფდნენ, როგორც დემოკრატიასთან შეუთავსებელს და სეკულარიზმისა და მოდერნულობის მიმართ მტრულად განწყობილს.

ამდენად, გასარკვევია, თუ **რა დამოკიდებულებაშია ქართული მართლმადიდებლური ეკლესია იმ უმთავრეს ღირებულებებთან, რომელთაც ზოგადად დასავლურს უწოდებენ?**

ფაქტია, რომ ქრისტიანულმა რელიგიამ თავის დროზე საქართველოსა და აღმოსავლეთს შორის დიდი ნაპრალი გააჩინა. გაქრის-





ტიანების შემდეგ საქართველო საბოლოოდ გაემიჯნა ჯერ ცეცხლთაყვანისმცემლურ, ხოლო შემდეგ მუსლიმანურ აღმოსავლეთს. თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ საქართველოს ევროპული ორიენტაცია ქრისტიანობის შემოსვლამდეც ბევრად უფრო ადრე ჰქონდა და რომ ამ ტენდენციას გაცილებით ღრმა ფესვები აქვს.

ძვ. წ. IV საუკუნეში, ალექსანდრე მაკედონელის აღმოსავლეთში ლაშქრობის შემდეგ, საქართველო ელინისტური სამყაროს ნაწილი გახდა, ძვ. წ. I საუკუნიდან კი რომმა კავკასია მოაქცია თავისი გავლენის ქვეშ და ამ გზით ქართლი და ეგრისი აქტიურად ჩაერთო საერთო რომაულ ცივილიზაციაში.

**საქართველოს ტერიტორიაზე ქრისტიანული აღმსარებლობის დამკვიდრებამ უფრო ინტენსიური გახდა ევროპის ქრისტიანულ სამყაროსთან კავშირი.** ვინაიდან ქრისტიანობა მარტოოდენ აღმსარებლობა როდი იყო, იგი გახლდათ მთელი სისტემა კულტურული ფასეულობებისა. IV საუკუნეში ქართლის მეფის, მირიანის, გადაწყვეტილება, თანამედროვე პოლიტიკური ტერმინოლოგია რომ მოვიშველიოთ, ნიშნავდა საქართველოს ევროპულ კულტურულ სივრცეში ინტეგრაციას.

**ქართველობამ გამოკვეთილად პროდასავლური ორიენტაცია აირჩია და დაშორდა აღმოსავლურ ზოროასტრულ სამყაროს.**

მთელი ათას ხუთასი წელი ქრისტიანობა იმ პატრუქს წარმოადგენდა, რომელსაც ჩვენში დასავლური კულტურის სხივებით ანათებდა. და თუ ჩვენ საუკუნეთა განმავლობაში ევროპულ ცივილიზაციას ვიყავით ნაზიარები და პოლიტიკურად ევროპისკენ ვიციქირებოდით, ესეც დიდწილად ქრისტიანობის დამსახურება იყო.

სამწუხაროა, რომ ის, რაც სრულიად გასაგებია ჩვენი მკითხველისთვის, დღემდე გაუგებარია ჩვენი უცხოელი მეგობრებისთვის. არადა, აუცილებელია მათ იცოდნენ, თუ როგორ წარმოგვიდგენია სხვადასხვა ცივილიზაციათა წარმომადგენლებს და მათ შორის

ქართველებსაც საკუთარი კულტურის როლი და ადგილი მსოფლიო ცივილიზაციის დიდ ოჯახში.

ცოტა ძნელი დასაჯერებელია, რომ საბჭოთა წნეხისგან განთავისუფლების შემდეგ, დამოუკიდებლობის პირობებშიც, ასე თუ გაგვიჭირდებოდა ქართული კულტურის მიღწევების გატანა უცხოეთში, რასაც მანამდე, მართალია, შეზღუდულად, მაგრამ მაინც დროდადრო ვახერხებდით.

არადა, საბედნიეროდ, ჩვენი ისტორიის წყალობით, არ გვჭირდება მეფე არტურის გამოგონება, თავისი ლეგენდებით, ლოდში ჩარჭობილი ხმლით, რაინდების მრგვალი მაგიდით. მიუხედავად იმისა, რომ არ მოიპოვება არავითარი მტკიცებულება, რომ ასეთი ადამიანი მართლა არსებობდა, „პატრიოტი“ ისტორიკოსები ამ ფაქტის განხილვას მაინც არ იშლიან, რათა დაამტკიცონ, რომ მეფე არტური რეალური პიროვნება იყო. ჩვენ კი ვიხარებით რა ჩვენსავე წვენში, ჩვენი ისტორიის საკაცობრიო ღირებულებების მქონე ყველაზე თვალსაჩინო ნიმუშებსაც არათუ უცხოელთათვის, ჩვენთვისაც თანდათან დავინყებთ ვაძლევთ.

ეს მაშინ, როცა, თუ საფუძვლიანად შევისწავლით ქართულ კულტურას სხვა კულტურებთან მიმართებაში, რათა განვსაზღვროთ თუ რომელი ტიპის კულტურას მივაკუთვნოთ იგი, დავრწმუნდებით, რომ **ჩვენი ძველი ისტორიისთვის დასავლური იდეები და ფასეულობები არასოდეს ყოფილა უცხო და მიუღებელი. უფრო მეტიც, აღმოჩნდება, რომ ზოგიერთი მათგანის „აღმოჩენა“ ქართველებს ევროპელებისთვის ზოგჯერ დროშიც კი დაგვიწინია.**

რადგან არსებობს შეხედულება, რომ თანამედროვე დემოკრატიულ ევროპას საფუძველი ჯერ კიდევ შუა საუკუნეებში დაედო, რაშიც ძნელია არ დაეთანხმო, ამდენად, ჩვენც მოგზაურობა დროში აქედან შეგვიძლია დავინყოთ.

საამისოდ კი საქართველოს ისტორიისთვის თვალსაჩინო მაგალითად რჩება თამარ მეფის მმარ-

თველობისას კონსტიტუციონალიზაციის მიერ მოთხოვნილი საკანონმდებლო ორგანო — „კარავი“, საბოლოოდ სამეფო ხელისუფლებასთან ურთიერთშეთანხმებით ჩამოყალიბებული, გაფართოებული სამეფო დარბაზით, რომელიც უფლებრივად ბევრად უფრო მაღალი საფეხურისა იყო, ვიდრე თუნდაც 100 წლის შემდეგ ინგლისში ჩამოყალიბებული საპარლამენტო სისტემა.

არადა, როდესაც ევროპელები დასავლურ ფასეულობებზე საუბრობენ, მათ უწინარესად მხედველობაში აქვთ, რომ კონსტიტუციური უფლებებისათვის ბრძოლა, პოლიტიკური თავისუფლების მძაფრი სურვილი მათი მონაპოვარია და სრულიად უცხოა აღმოსავლური კულტურებისთვის. ამას ემყარება მსოფლიოში გავრცელებული შეხედულება, რომ **ძვეყანა, რომელმაც მსოფლიოს მისცა საპარლამენტო საშინაოება, ინგლისია, რაც არ შეესაბამება სინამდვილას.**

როგორც ცნობილია, ესპანეთში, კერძოდ კასტილიის სამეფოში, კორტესებმა, როგორც წარმომადგენლობითმა ორგანომ მოღვაწეობა ჯერ კიდევ 1188 წელს დაიწყო. ბევრად უფრო ადრე, ვიდრე ინგლისის პარლამენტმა და საფრანგეთის გენერალურმა შტატებმა, ხოლო საქართველოში მომხდარი ფაქტი, კონსტიტუციონალიზაციის მოძრაობა, რომელსაც 1184-1186 წლებში მეჭურჭლეთუხუცესი ყუთლუ-არსლანი ედგა სათავეში, კიდევ უფრო მეტ მნიშვნელობას იძენს. ყუთლუ-არსლანის დასის გამოსვლა თითქმის სამი წლით წინ უსწრებდა კასტილიის სამეფოში კორტესების მოწვევას, ხოლო რამდენიმე ათეული წლით 1215 წელს ინგლისელი ბარონების შეთქმულებას მეფის, ჯონ უმინანსლოს, წინააღმდეგ და მიზნად ისახავდა საქართველოში პარლამენტის მსგავსი პოლიტიკური დაწესებულების დაარსებას, ამით იგი აგნა ჩარტა-ს მსგავსი კი არა, უფრო მაღალი საფეხურისა იყო.



ეს კი ცხადად მიგვანიშნებს სრულიად ახალ და სულ უფრო მეტად გამოკვეთილ სწრაფვას საქართველოში პიროვნების თვითგანთავისუფლებისა და დამოუკიდებლობისკენ. სწრაფვას, რომელიც ქართულმა საზოგადოებამ ძლიერ ქარცეცხლში გამოატარა და ბოლოს გენიალურმა რუსთაველმა მხატვრული ხორცშესხმა მისცა. სწორედ მეთორმეტე საუკუნეში, უალრესად დიდი მნიშვნელობის სოციალურ-პოლიტიკური დუღილის ხანამ დაბადა არათუ საქართველოსთვის, იმდროინდელი მსოფლიოსთვისაც ერთობ უჩვეულო ე. წ. კონსტიტუციონალისტების მოძრაობა ყუთლუ-არსლანის მეთაურობით, რომელმაც მეფის უფლებების შეზღუდვა მოითხოვა ახალი ორგანოს, ევროპული პარლამენტის წინამორბედი „კარავის“ სახით.

**ქართული დარბაზის წევრი, დარბაისელი (დღევანდელი ტერმინოლოგიით პარლამენტარი), ყვირილში შეჯიბრებით კი არ წყვეტდნენ საქვეყნო საკითხებს, როგორც ეს ხდებოდა ისლანდიის ალტინგში ან ნოვგოროდის ვეჩეზე, არამედ ორატორული მჭევრმეტყველებით ასაბუთებდნენ და წინდახედულობით იღებდნენ გადაწყვეტილებებს.** თამარ მეფის სახელმწიფოებრივმა სიბრძნემ, ამბოხებულ ყუთლუს მომხრეებთან მეფის მიერ წარგზავნილ მანდილოსანთა: თამარის მამიდის — რუსუდანის, ხვაშაძე ცოქალისა და კრავაი ჯაყელის ბრწყინვალე დიპლომატიამ თავიდან აგვაცილა სამოქალაქო ომი, ხოლო მიღწეულმა კომპრომისმა ქვეყანას ოქროს ხანა დაუყენა.

ასეთი მიღწევა კი, როგორც რადიკალური სიახლე იმ დროის მსოფლიო სახელმწიფოებრივ-პოლიტიკურ აზროვნებაში, საქართველოს წარმოაჩინდა დიდი კულტურულ-ისტორიული მისიის მეურვედ. ცნობილია ისიც, რომ, „თუ ერს არ შეუქმნია მნიშვნელოვანი, თუ მას ოდესმე რომელიმე დიდი კულტურულ-ისტორიული მისიის მეურვედ არ უგრძვნია თავი, ამის გარეშე ყოველივე ეპიგონობაა და მსოფლიო პროვინციის უნიათო ლულული. არაფერი ეროვნული საყურადღებო არაა, რასაც უნივერსალური მნიშვნელობა არ მიერწყება“ (კონსტანტინე გამსახურდია).

ასეთი დანიშნულება ქვეყნისა კი იმაზე მიუთითებდა, რომ საქართველო პრეტენზიას აცხადებდა თავად ბიზანტიის ადგილის დაკავებაზე. ბიზანტია, რომელიც იყო არსებითად ნამდვილი ფორპოსტი დასავლური დიდი ცივილიზაციისა, გაცილებით უფრო დიდი და ნათელი კერა კულტურისა, ვიდრე მისი თანადროული ევროპა. ამაში უმაღვე დავრწმუნდებით, თუ ყურადღებით წავიკითხავთ „ალექსიადას“. მისმა ავტორმა, ბიზანტიის იმპერატორ ალექსი I კომნენოსის (1048-1118 წწ.) ქალიშვილმა ანამ აღწერა რა თავისი მამის მეფობა, ქედმაღლურად მოიხსენია უხეში და უვიცი ჯვაროსნები, რომლებიც ბიზანტიის დახვეწილი არისტოკრატის თვალში ისეთ ველურ მანერებს ამჟღავნებდნენ, როგორც სატახტო ქალაქებში შემთხვევით ჩამოხეტებული მთიელი. ამას კი თავად ევროპელებიც აღიარებდნენ.

მართალია, ბიზანტია კლასიკური ევროპული სახელმწიფო არასდროს ყოფილა, თუმცაღა 1000 წლის მანძილზე ის ქრისტიანული ცივილიზაციის უმნიშვნელოვანეს ნაწილს წარმოადგენდა. ამიტომ იყო, რომ ის დიდი ათინათი ბრწყინვალეებისა, რომელიც გააჩნდა მაშინ ბიზანტიას, ანათებდა მთელს წინა აზიას და მათ შორის საქართველოს. საუკუნეების განმავლობაში მეტოქეობა მსოფლიოს ამ უპირველეს სახელმწიფოსთან დიდი ასპარეზი იყო ერის საუკეთესო შვილთა პოლიტიკური, კულტურული და სტრატეგიული უნარის გამოსაჩენად. ხოლო თამარის მეფობისას წარმატებული საგარეო პოლიტიკის შედეგად საქართველო შეეცადა და კიდევაც შეძლო ბიზანტიისთვის ჩამოერთმია ქრისტიანული იმპერიის დიდი მისია. ბაგრატიონთა სამეფო ხელისუფლება თავს მიიჩნევდა ალექსანდრე მაკედონელისა და ოქ-

ტავიანე ავგუსტუსის საქმეთა მემკვიდრედ, ამიტომაც საქართველოს სამეფო დროშაზე „გორგასლიანისა“ და „დავითიანის“ გვერდით გაჩნდა „ალექსანდრიანიცა“ და „ავგუსტიანიც“. რა თქმა უნდა, არც ის იყო შემთხვევითი, რომ გელათის, ვარძიისა და ბეთანიის ფრესკებზე დავით აღმაშენებელსა და თამარ მეფეს გამოსახავდნენ წითელი წაღებით, რომელიც ბიზანტიის კეისრების რეგალიები იყო.

ქართველობამ, როგორც მემკვიდრემ იმპერიისა, ათინათი ბრწყინვალეებისა სხვა მხრივაც გამოამჟღავნა: **შუა საუკუნეების მსოფლიო ისტორიაში საქართველო ბიზანტიის შემდგომ იყო მეორე ძველანა, რომელშიც არათუ სიკვდილით დასჯა გაუქმდა, არამედ აიკრძალა ადამიანის დამასახიჩრებელი და ღირსების შემლახავი სასჯელები.**

და ეს მწვერვალები ქართული კულტურის სიდიადისა ჩვენ ერთ დღეს არ დაგვიღაშქრავს, მისკენ მიზანმიმართულად საუკუნეების განმავლობაში მივისწრაფვოდით.

იბადება კითხვა საქართველოს პოლიტიკური ცხოვრებისა და სახელმწიფოებრიობის ამ გასაოცარი და ფრიად საგულისხმო მოძრაობისა და პროგრამის სადაურობის შესახებ, სახელდობრ, **ყუთლუ-არსლანისა და „კარვისელთა“ დასის პოლიტიკური პროგრამა და იდეალები მაშინდელი ქართული ცხოვრების სინამდვილის ნაყოფი იყო თუ უცხო ხილს ან უცხოელთაგან შემოტანილი აზროვნების ანარეკლს წარმოადგენდა?**

**დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ მათი სადაურობის გზა მხოლოდ ქართული სოციალური ბრძოლის განვითარებაში სუფევს.** ივ. ჯავახიშვილის დაკვირვებით, შემდგომში მომხდარი დიდი ძვრები ჯერ კიდევ XI საუკუნის დამდეგამდე ქართული მონასტრების ცხოვრებასა და წესწყობილებაში მომხდარ ცვლილებებსა და მიღწეული შედეგის მაგალითს უნდა გამოენვიან.



ალეკო ქუთათელაძე:

# ჩვენ გვეუბნებიან: შენ თუ განვითარებადი ხარ, დაგაფინანსებ, ოღონდ, შე სასოდავო, შე გასწავლი

ბოლო ცხრა წლის განმავლობაში განათლების სისტემაში განხორციელებულ რეფორმებსა და მის შედეგებზე გვესაუბრება საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი, ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორი, ბატონი ალექო ქუთათელაძე.


— ბატონო ალექო, იმის მიუხედავად, რომ წინა ხელისუფლებამ განათლების მიმართულებით არაერთი რეფორმა განახორციელა და უამრავი ნოვაცია დანერგა, უმაღლეს სასწავლებლებში პროფესორ-მასწავლებლები მუდმივად სტუდენტთა ცოდნის დაბალ დონეზე საუბრობენ. თქვენი აზრით, რა არის ამის მიზეზი, არასწორი საგანმანათლებლო სისტემა თუ სხვა რამ?

— საქმე ისაა, რომ ეს ყველაფერი დამოკიდებულია არა უმაღლესზე, არამედ საჯარო სკოლაზე. იქიდან მოდის აბიტურიენტი, იქ იღებს საბაზო ცოდნას; ამ დროს სკოლაში ისე გააკეთეს, რომ საფუძვლიანად არ ასწავლიან შოთა რუსთაველს, ილიასა და აკაკის შემოქმედებას. არ ვიცი, ასეთი მოდელები საიდან გადმოაქვთ, მაგრამ ის, რომ ამ მიდგომის შედეგი მთლად სახარბიელო არ არის, ფაქტია. რაც შეეხება უმაღლესებს, ვერ ვიტყვი, რომ სწავლა დაბალ დონეზე მიდის. **რიგ უმაღლეს სასწავლებლებში ძალიან კარგი პროგრამებით სელმკვანაელოვან, ახალი მეთოდები, სპეციფიკური საბნები შემოვიდა. სწავლების პროცესი მიმდინარეობს ევროპაში აპრობირებული ბოლონის პროცესის მიხედ-**

**ვით. ასევე მივსალმები დღევანდელი მინისტრის განწყობილებას სწავლის დაფინანსების რეფორმასთან დაკავშირებით. ეს ამოასუნთქებს სტუდენტთა ერთ ნაწილს, რომ არაფერი ვთქვათ პროფესურაზე, ანუ ასპროცენტებიანი ბრანტი დაიყოფა ბარკვეული პრინციპით და ასევე იქნება 70, 50, 30 პროცენტებიანიც. ამით რაღაც დონეზე მოგვარდება ანაზღაურების პრობლემაც.** მართალია, ჯერჯერობით არაფერი შეეხო სწავლის გადასახადს, მაგრამ ეს მომავლის საკითხია და ამ ეტაპზე სამინისტროს ვერ მოვთხოვთ გადამჭრელი ზომების მიღებას. ამას ყველაფერს დრო სჭირდება, ამიტომ რეფორმასთან დაკავშირებული პროცესები განხორციელდება თანმიმდევრულად.

— წინა ხელისუფლების დროინდელი მინისტრები საბჭოთა განათლების სისტემას მუდმივად აკრიტიკებდნენ. რომ შევადაროთ მაშინდელი და დღევანდელი მოდელები, ხარისხის თვალსაზრისით განსხვავება რამდენად დიდია?

— ამ შემთხვევაშიც სკოლის თემასთან მივივარო. მე ძალიან კარგად მახსოვს მაშინდელი წიგნები, რომლებსაც ერქვა სკოლის



სახელმძღვანელოები და ვრცელდებოდა საქართველოს ყველა საშუალო სკოლაში. ისინი იყო ნამდვილად ჩამოყალიბებული და სერიოზული მეცნიერების მიერ დამუშავებული სახელმძღვანელოები. დღეს ყველა საჯარო სკოლა თავისი ამორჩეული სახელმძღვანელოებით ასწავლის. ეს რა უბედურებაა, ზოგი ასწავლის ასე, ზოგი — ისე და **არც ერთი არ არის სანიმუშო სახელმძღვანელო.** სხვათა შორის, ამასწინათ იყო იმაზეც საუბარი, რომ განათლების სამინისტროში მუშაობენ ამ თემაზე, რათა ბოლოს და ბოლოს გადაწყდეს ეს საკითხი. ასევე განიხილება საკითხი იმასთან დაკავშირებით, რომ საქართველოს ბევრ სოფელში დაიხურა სკოლები. იმედი მაქვს, მომავალი სასწავლო წლიდან ბევრი რამ სა-



სიკეთოდ შეიცვლება. ყოველ შემთხვევაში, პრობლემების რაღაც ნაწილი მაინც მოგვარდება.

— გარდა იმისა, რომ ყველა სკოლა სხვადასხვა სახელმძღვანელოთი ასწავლის, წიგნები ყოველწლიურად იცვლება. ბევრი ამაში კორუფციის კვალსაც ხედავდა.

— მე ერთი რამის თქმა შემიძლია: **წინა ხელისუფლების დროს პრიორიტეტები ენიჭებოდათ მხოლოდ ფავორიტ ადამიანებს, რომლებიც სახელმძღვანელოებს ადგანდნენ. აი, ასეთი პრივილეგიებით ხდებოდა სახელმძღვანელოების გამომშვებთა შერჩევა და არა მაცნობარული თვალსაზრისით.** ახლა თავად განსაჯეთ, იყო თუ არა ეს ფულის კეთების საშუალება; ჩემი აზრით, იყო.

— პირადად სააკაშვილი ხშირად აცხადებდა, რომ მისთვის პრიორიტეტული ტექნიკური საგნებია. ამის დასტურად ბათუმში ტექნოლოგიური ინსტიტუტიც ააშენა. რამდენად აისახა მისი ეს პოლიტიკა რეალურად უმაღლეს სასწავლებლებზე? ვთქვათ, მატერიალური ბაზის გაუმჯობესების კუთხით თუ დაგეხმარათ სახელმწიფო?

— არავითარი ხელშეწყობა არ გვიგრძენია, რაც შექმნილი გვაქვს, საუნივერსიტეტო სახსრებით შევიძინეთ (რამდენიმე გამონაკლისის გარდა). საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი ახლა არის კერძო სამართლის (არასამენარმეო, არაკომერციული) იუ-

**«ჩივ უმაღლეს სასწავლებლებში კალიან კარგი პროგრამებით ხელმძღვანელობენ, ახალი მეთოდებია, სპეციფიკური საგნები შემოვიდა. სწავლების პროცესი მიმდინარეობს აპროპაუი აპრობირებული ბოლონიის პროცესის მიხედვით»**

რიდიული პირი, ამ სტატუსზე შარშან გადავედით, ამიტომ ახლა ჩვენ, ასე ვთქვათ, თვითონვე ვუვლით თავს. ყველა ფაკულტეტს აქვს თავისი ბიუჯეტი და ამ ბიუჯეტიდან ხდება თანხის გამოყოფა ნებისმიერი ხარჯისთვის — დაწყებული ხელფასიდან, დამთავრებული სახელმძღვანელოების გამოშვებით, კომპიუტერული აღჭურვილობა და ინვენტარის შეძენით. სხვა ფინანსები ჩვენ არ გავაჩნია და, როგორც გითხარით, არანაირი მხარდაჭერა, გვერდით დგომა არავისგან მიგვიღია.

**ბათუმის ტექნოლოგიური ინსტიტუტი რომ ახსენათ, ის სასწავლებელი არ ფუნქციონირებს და ვერც იფუნქციონირებს, იმიტომ რომ პოპულარული იყო მისი ბაზსნის იდეა, ჩანაფიქრშივე მცდარი.**

— სწავლის დაფინანსების გაზრდასთან დაკავშირებით განათლების სამინისტრომ განცხადება რომ გაავრცელა, გიორგი მარგველაშვილმა ხაზგასმით აღნიშნა, თუ კი პროფესურას ანაზღაურება მოემატება, ლოგიკურად უკეთეს ლექციას წაიკითხავენო.

**რამდენად აქვთ დღეს პროფესორ-მასწავლებლებს ხარისხიანი მუშაობისთვის საკმარისი ხელფასები?**

— ლექცია ნებისმიერ შემთხვევაში ნორმალური უნდა წაიკითხოს პროფესორმა, როგორი ხელფასიც უნდა ჰქონდეს მას. ეს მისი მოვალეობაა, მაგრამ ცხადია, ანაზღაურებასაც დიდი მნიშვნელობა აქვს. ძალიან მცირეა ჯამაგირი. ამაზე მიდის მსჯელობა და ეს საკითხი უკვე დასმულია აკადემიურ საბჭოშიც, სენატშიც; რა გადაწყდება საბოლოოდ, ახლა ამაზე გადაჭრით გამიჭირდება საუბარი.

— **დაახლოებით მაინც რამდენია დღეს პროფესორის საშუალო ხელფასი?**

— გააჩნია — სად. მაგალითად, ჩვენთან, საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში, ვთქვათ, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტთან შედარებით, ორჯერ და კიდევ უფრო მეტჯერ დაბალია. ეს არის იმდენად მიზეზური ანაზღაურება, რომ არანაირად თანამედროვე სტანდარტებს არ შეესაბამება.

ახლა რაც შეეხება იმას, **თუ რის გაკეთება შეგვიძლია ხელფასების მოსამატებლად. ერთადერთი გზა, ამ შემთხვევაში, არის უნივერსიტეტის ბიუჯეტის სხვაგვარად განაწილება.** ანუ, ისე და ისე მივდივართ იმ საკითხამდე, რომ უნდა შემცირდეს პროფესორების რაოდენობა, რაც საკონტაქტო საათების რაოდენობას გაზრდის. მესმის, ეს ძალიან მტკივნეული მომენტი, მაგრამ სხვა შესაძლებლობას ბიუჯეტი არ იძლევა. ვნახოთ, მომავალში რა იქნება და როგორ აისახება რეალობაზე განათლებისა და მეცნიერე-

**«წინა ხელისუფლების დროს პრიორიტეტები ენიჭებოდათ მხოლოდ ფავორიტ ადამიანებს, რომლებიც სახელმძღვანელოებს ადგანდნენ. აი, ასეთი პრივილეგიებით ხდებოდა სახელმძღვანელოების გამომშვებთა შერჩევა და არა მაცნობარული თვალსაზრისით. ახლა თავად განსაჯეთ, იყო თუ არა ეს ფულის კეთების საშუალება»**



ბის სამინისტროს მიერ გატარებული რეფორმა.

— განათლების ხარისხისა და ხელმისაწვდომობის გაზრდის პროცესისთვის მთავარ ხელისშემშლელ ფაქტორად ბევრი განვითარებადი ქვეყნის სტატუსის ქონას მიიჩნევს. რამდენად სწორია ეს მოსაზრება?

— ცხადია, ამან შეაფერხა პროცესი, მაგრამ აქ მნიშვნელოვანი უფრო სხვა რამეა — **რატომ მივიღეთ ჩვენ ეს სტატუსი?**

ვფიქრობ, თავის დროზე ამას მმართველმა გუნდმა შეუწყო ხელი, რომ გარკვეული სუბსიდიები მიეღოთ. სამწუხაროდ, იგივე პოლიტიკა გაგრძელდა შემდგომი ხელისუფლების დროსაც — **2003 წლიდან ამაზე მუშაობდა სპეციალური ჯგუფი და ამიტომ ჩამოიყვანეს ის ინგლისური ენის მასწავლებლებიც ამერიკიდან. რაში სჭირდებოდათ ეს, როცა აქაც უცხო ენების შესანიშნავი მასწავლებლები გვყავს? სჭირდებოდათ იმისთვის, რომ, ვიბეჩორობ, ბრანტის სახით მილიონები მიიღოთ... სხვა, აბა, რა შედეგი მივიღეთ რეალურად? ვინმე იტყვის, რომ დღეს უფრო მეტმა მოსწავლემ იცის ინგლისური და უკეთესად, ვიდრე მანამდე იცოდა?**

— გინდათ, თქვათ, რომ ის ფული, რომელიც მასწავლებლების ჩამოყვანაში დაიხარჯა, ფაქტობრივად, წყალში გადაიყარა?

— მე არ ვიცი, კონკრეტულ პროგრამაში რა ოდენობის თანხები იხარჯებოდა და ამაზე გამიჭირდება საუბარი, მაგრამ შედეგით

უცხოელი ჰელპერები თბილისში



შეგვიძლია ვიმსჯელოთ. ვიმეორებ, ეჭვი მეპარება, დღეს უკეთესად ფლობდნენ საქართველოში ინგლისურ ენას, ვიდრე მასწავლებლების ჩამოყვანამდე. რაც შეეხება ისევ განვითარებადი ქვეყნის სტატუსს, ჩვენ გვეუბნებიან, **შენ თუ განვითარებადი ხარ, მაშინ მე მოგცემ გარკვეულ თანხას და დაგაფინანსებ, ოღონდ, შენაც მოგცემ, მე გასწავლი ყველაფერს.** ამ დროს ჩვენ ისეთი პოტენციური გვექონდა და გვაქვს, იქით შეგვიძლია ვასწავლოთ ბევრს ხელოვნების, მეცნიერების ნებისმიერ სფეროში.

— დაახლოებით ერთი წლის წინ კომპიუტერული ცოდნის გამავრცელებელი საზოგადოება დაფუძნდა. წინა ხელისუფლება ქვეყნის სათავეში მოსვლის პირველივე დღიდან აცხადებდა, რომ თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი განათლების სისტემის შესაქმნელად ორი რამეა უმთავრესი: **ინგლისური და კომპიუტერი. რამდენად სწორია ეს მიდგომა?**

— მოდი დავარქვათ ყველაფერს თავის სახელი. რა თქმა უნდა, **კომპიუტერის ცოდნაც აუცილებელია და ინგლისურიც მნიშვნელოვანია XXI საუკუნეში, მაგრამ ეს შეიძლება მეცნიერების დონეზე აიყვანო სასწავლო პროგრამაში?! რაც უნდა კარგად ფლობდე კომპიუტერს და ინგლისურ ენას, ამით უნდა განისაზღვრებოდეს ადამიანის ცოდნის ხარისხი?! ამგვარი მიდგომით საქართველოს საგანმანათლებლო სისტემამ, ფაქტობრივად, სახე და კარგა და ამის თავი და თავი წლების წინ იყო განათლების მაშინდელი მინისტრი ალექსანდრე ლომაია. ისეთი პროექტები ფინანსდებოდა და ისეთ პროგრამაზე განიცემოდა კოლოსალური ბრანტები, ამხელა ფული რომ მეცნიერებებს მოხმარებოდა, დღეს შეიძლება ასი ნაბიჯით წინ ვყოფილიყავით. ეს იყო ჩვენი ჭირი და იმედია, დღეს მაინც შეიცვლება რამე უკეთესობისკენ. ყოველ შემთხვევაში, მე დარწმუნებული ვარ ერთ რამეში, — ახალი ხელისუფლება ყველაფერს გააკეთებს, რათა აღსდგეს იმ პროცესის მსვლელობა, რომელიც თავის დროზე ჩაახშეს აქ. პირველ რიგში, ცვლილება უნდა შეეხოს სასკოლო სახელმძღვანელოებს, დანარჩენი კი დროსთან ერთად გამოჩნდება.**

ესაუბრა ჯაბა შვანია

**«კომპიუტერის ცოდნაც აუცილებელია და ინგლისურის მნიშვნელოვანია XXI საუკუნეში, მაგრამ ეს შეიძლება მეცნიერების დონეზე აიყვანო სასწავლო პროგრამაში?!»**



გაეა შუბითიძე,  
სტუ სრული პროფესორი

# ნიკო ნიკოლაძის დაპირისპირება ქვაბი ნობელის ნავთობადაზიადვის მონოპოლიასთან



დღეს, როცა მთელი მსოფლიოს წამყვან სახელმწიფოებში მტკიცედ ებრძვიან მონოპოლიების წარმოქმნას და ამ მხრივ საქართველოს ახალი ხელისუფლებაც აქტიური ნაბიჯების გადადგმას იწყებს, უთუო ინტერესს იწვევს უდიდესი ქართველი მოღვაწის, ნიკო ნიკოლაძის, დაპირისპირება ძმები ნობელის (ერთ-ერთის — ალფრედის სახელს დღეს ატარებს მსოფლიოში ყველაზე ცნობილი პრემია) მიერ შექმნილ ბაქოს ნავთობის გადაზიდვის მონოპოლიასთან.

130 წლის წინ, 1882 წლის 28 აგვისტოს ნიკო ნიკოლაძემ მოხსენება გააკეთა რუსეთის სამეცნიერო-ტექნიკური საზოგადოების წევრთა ყრილობის IV განყოფილების სხდომაზე, რომლითაც იგი ღიად დაუპირისპირდა ძმები ნობელის კომპანიას, რომელმაც ბაქოს ნავთის გატანის მონოპოლია იგდო ხელთ და სერიოზულ ზიანს აყენებდა სხვა, განსაკუთრებით კი ადგილობრივ კომპანიებს (ეს მოხსენება სახელწოდებით „ვ. ბ. აბრამოვიჩის ინფორმაციის გამო“, ინახება ნიკო ნიკოლაძის არქივში X-25-1, 26-14, ასევე დაიბეჭდა თბზულეხათა VIII ტომში 2003 წელს).

დასაწყისში ნიკო ნიკოლაძე მიუთითებს, რომ ბაქოს ნავთობისა და მისი დერივატების გატანა დღითიდღე იზრდება, მაგრამ ასეთი სიმდიდრით გიგანტური სარგებლობა სრულიად არ იგრძნობა ადგილობრივი მოსახლეობის, მშრომელი ხალხისა და თვით მენარმეთა ცხოვრებაში. ისმის კითხვა: **სად მიდის ამ ნაქაბი წარმოების სიმდიდრის რაზულტატი, მოგება?** ნიკოლაძეს აქვე მოაქვს ბაქოს ნავთობის წარმოების შედარება ამერიკის ნავთობის საქმესთან: **„შეხედეთ, რამდენი მსხვილი**

**და კოლოსალური კონკურენცია წარმოიშვა იქ (აშშ-ში. — ვ.შ.), ნავთობის რამდენი ლორდი გაჩნდა, რომელთაც ნამდვილი სიმდიდრე დააგროვეს? ნიკოლაძე სვამს კითხვას: სად არიან ბაქოს ნავთობის ლორდები? სად იმალება მათი კეთილდღეობა? და იქვე პასუხობს, რომ ამ „ლორდებმა“ ჯერ მხოლოდ ვალები მოაგროვეს და ოფლში გაქაფულნი, ძლივს ახერხებენ ამ ვალების პროცენტთა გადახდას. ნიკოლაძე ამას რუსული პოლიტიკურ-ეკონომიკური პირობების გავლენით ხსნის, რომელთა გამოც რუსეთში ყველაფერი, რაც უნდა აიღოთ, მაიორატსა და მონოპოლიაში გადაიზრდება.**

ბაქოელი მრეწველები იძულებულნი არიან, შესანიშნავი პროდუქცია, რაც ქარხნებს მეტისმეტად ძვირი დაუჯდათ, ნახევარ ფასად გაასაღონ, ვინაიდან მისი ადგილიდან დასაძვრელად ყველა გზა გადაკეტილი აღმოჩნდა, ხოლო მისი გასაღები „ერთ ფირმას“ ჩაუვარდა ხელში... ეს ფირმა ძმები ნობელის ამხანაგობაა, — წერს იგი.

ნიკოლაძე ინტერესდება და იკვლევს, თუ როგორ მოხვდა მათ ხელში ნავთობის საქმის გასაღები. მისი აზრით, არც ერთი წარმოება არ

შეიძლება განვითარდეს და გაძლიერდეს, თუ მას თავს მოვახვევთ მოსვლის საშუალებათა მონოპოლიასა და შენახვასაც: **„განა ჩვენი მიწათმოქმედება, მესაქონლეობა ან მეღვინეობა განმტკიცდებოდა, სოფლის მეურნეობა რომ თვითონვე ყოფილიყო ვალდებული, გაეკაფა თავისთვის გზა მთავარი სამომხმარებლო ბაზრებისკენ? ამ გზების გაყვანა მხოლოდ და მხოლოდ სახელმწიფოთა საქმეა, რადგან კერძო პირის ხელში ის აუცილებლად ქმნის მონოპოლიას, რაც ყოველგვარ წარმოებას კლავს** (მონოპოლია წარმოებაში კი არ აღმოცენდება, არამედ გადატანის დროს) — ჩვენ საშუალება მივეცით ჩვენსავით თავს, კერძო საზოგადოებას ჩავვარდნოდით ხელში, რომელმაც ისარგებლა იმით, რომ სახელმწიფომ მაშინვე არ შეასრულა იმ ამოცანათა ნაწილიც კი, რომელიც უშუალოდ მის კომპეტენციაში შედიოდა. როდესაც საჭირო იყო თანხა რკინიგზის მოძრავი შემადგენლობის ჩამოსასხმელი ვაგონებით გასაზრდელად, ხოლო ვოლგასა და კასპიის ზღვაზე ასევე ჩამოსასხმელი გემები, ყველა მექარხნეს, ვისაც კი მისწვდა, ნობელმა (ლუდვიგმა — ვ.შ.) თავისი სამსახური შესთავაზა. რა საჭიროაო, ამბობდა ის, ახალი ხარჯები, **რისთვის უნდა გავზარდოთ რკინიგზისა და გემთა საზოგადოების საობლიგაციო კაპიტალი? ეს ხომ ტვირთად აწვევა სახელმწიფო სახსრებს, გარანტიის დანამატს.** მე ვიკისრებ ყველა ამ ხარჯს, მე თქვენ შემოგიყვანთ შესანიშნავ გემებს, ბრწყინვალე ვაგონციტერნებს და



ეს სახელმწიფოს კაპიკი არ დაუფედება... ჩვენ მოგვეწონა ასეთი კეთილისმყოფელი და პირდაპირ წინ დავუდგით ტაბლა. ამიტომ შეძლო მან ასე ადვილად მილიონების მოხვეჭა; მაგრამ, ცნობილია, თუ ვინმეს ჯიბეში მილიონს დავინახავთ, თუნდაც სიზმრად, მაშინვე ფარ-ხმალს ვყრით მის წინაშე. ეს ძალაა! ყოველგვარი ძალის წინაშე ქედის მოხრის თანდაყოლილი თვისების გამო ჩვენ მალე ვიქეცით ყურმოჭრილ მონებად“.

ნიკო ნიკოლაძე ექვსის თვალით და ირონიით უყურებს ასეთი ხელოვნური გზით შექმნილ ავტორიტეტებს და კერპებს; **„ბ-ნმა ნობელმა ჩვენში ნავთობის საქმე განავითარაო, ნავთის პროდუქტები საზღვარგარეთ გააქვს; მან შეავინროვა ამერიკული ნავთი და სწორედ ასეთი ხალხი გვჭირდებაო!.. ბატონებო! მძიმე გრძნობა ეუფლება ადამიანს, როდესაც იგი აშკარად ხედავს ასეთ ბრმა მორჩილებას მთელი საზოგადოებისას მის მიერ თიხისგან შექმნილი კერპისადმი! მაგრამ კიდევ უფრო უსიხარულოა ეს გრძნობა, როდესაც ხედავ, რომ ამ კერპს ემორჩილება და თაყვანს სცემს არა მხოლოდ ბნელი მასა, არამედ მეცნიერებისა და მრეწველობის წარმომადგენელთა საუკეთესო ნაწილიც; როცა საქმის მუხრუჭი მის საყრდენადაა გამოცხადებული... ბაჟი რომ დავადოთ, უნდა შევეკითხოთ ბ-ნ ნობელს. ერთი სიტყვით, ბ-ნი ნობელის გარეშე უკვე ნაბიჯსაც ვერ გადადგამ. საქმე იქამდე მივიდა, რომ თვით ყველაზე სპეციალურ საკითხზე, ბათუმის პორტის მოწყობის საკითხზე მსჯელობის დროსაც კი, საგანგებოდ ამ საკითხის განსჯისათვის მონვეულ კომისიაშიც კი, მას ეკუთვნის პირველი ადგილი“.**

ამ კომისიაში ნობელმა განაცხადა, რომ ბათუმის პორტო-ფრანკო ძალიან პატარაა თავისი ფართობით, ხოლო მისი გაფართოება საშიშიც კია ხანძრის გაჩენის საშიშროების გამო, თუ დაუშვებთ მის ნაკვეთში ქარხნების მოწყობასა და ჩამოსასხმელ მოწყობილობათა დადგმასო. კომისიამ მისი ჩარევით დაადგინა, რომ შესწავლილ იქნას

საკითხი, თუ რამდენად მიზანშეწონილია პორტო-ფრანკოს საზღვართა გაფართოება, ხოლო მანამდე კი აიკრძალოს მის საზღვრებში ქარხნებისა და ჩამოსასხმელ მოწყობილობათა აგება.

ამით აღშფოთებული ნიკოლაძე წერს, რომ „პორტო-ფრანკოს გაფართოების თაობაზე კიდევ ათ და ოც წელს იმსჯელებენ (მართლაც ასე მოხდა — ვ.შ.), მანამდე კი ბ-ნი ნობელი თავისუფალია იმ მექარხნეთა კონკურენციისაგან, რომელთაც შეეძლოთ ეწარმოებინათ პორტო-ფრანკოს ნაკვეთში იაფი, უბაჟო ჭურჭელი ნავთის გადასაზიდად საზღვარგარეთ და შავი ზღვის სამხრეთ ნავსადგურებში“.

ნობელის საქმიანობის გამონვილვით შესწავლის შემდეგ ნიკოლაძე ასკვნის, რომ მათი მილიონები და დაგროვილი ცოდნა როდი ხმარდება პროდუქციის გაუმჯობესებას, ღირებულებების გაიაფებას, მათთვის ახალ-ახალი ბაზრების გახსნას. პირიქით ნობელის ამხანაგობა მოგვევლინა სპეკულიანტად და მთელი თავისი სახსრები მიმართა სხვა მწარმეთა გასანადგურებლად. მაშინ რუსეთის კანონებით აკრძალული იყო ერთი პროდუქტის შესყიდვის მონოპოლიზება. ნობელის ამხანაგობა კი შეისყიდდა ნავთსა და მის პროდუქტებს, რათა სხვა გემების მფლობელნი ეიძულებინა, გაეუქმებინათ ჩამოსხმით გადატანა, რომელიც კონკურენციას უწევდა მათ გემებს. **არსებობდა საბანკო კანონი, რომელიც მხოლოდ რუსეთის ქვეშევრდომებს აძლევდა კაპოტაჟური ცურვის უფლებას რუსეთის შიდა წყლებში და მკაცრად უკრძალავდა უცხოელებს ამ საქმის წარმოებას. მაგრამ ამ კანონმა სრულიად არ შეუშალა ხელი ნობელს, რომ გაენადბურებინა ქვეყნიერების სანავთობო კაპოტაჟი და დაეპყროთ მთელი ჩამოსხმით გადაზიდვა თავიანთი თაჟიანთი გემებისათვის, რომლებიც ფსევდო-რუსული ამხანაგობის ბაირალით დაცურავდნენ.** ხოლო იმისთვის, რომ არავის შემოეყვანა ჩამოსახ-

მელი გემები, იზრუნეს, რომ დაწესებულიყო 40%-იანი დამამძიმებელი ბაჟი შიდა წყლებში მოცურავე ყველა იმ გემისთვის, რომელიც საზღვარგარეთიდან შემოდის, რადგან მხოლოდ იქ შენდებოდა ჩამოსასხმელი გემები.

ყველაზე საყურადღებო იყო ის, რომ ამ ბაჟის დაწესების დროს ნობელმა განაცხადა, თითქოს მოტალას ქარხანას უკვე შეუკვეთა მ ჩამოსახმელი გემი, გარდა იმ ხუთისა, რომლებიც უკვე დაცურავდნენ მისი ბაირალით და ეს 8 გემი რუსეთში უბაჟოდ უნდა შემოსულიყო მაშინ, როცა ნობელის კონკურენტებს უნდა გადაეხადათ 40%-იანი ბაჟი. ნობელმა იზრუნეს იმაზეც, რომ მოტალას ქარხანა არ იღებდა შეკვეთებს სხვა მექარხნეებისაგან და იმიზეზებდა, რომ ნობელის სამუშაოთი ვარ გადატვირთულიო.

საბოლოოდ ნიკოლაძე დაასკვნის, რომ **„ძმები ნობელის ამხანაგობა სრულიად არ არის დაინტერესებული წარმოების შემდგომი წარმატებითა და გაუმჯობესებით, რადგან ნავთობის ტრანსპორტირების მონოპოლია უზრუნველყოფს მათ წარმატებას, როგორც არ უნდა იყოს მათი პროდუქციის ხარისხი და ფასი.** დანარჩენი მექარხნეები კი ბოლოს და ბოლოს სულელები ხომ არ არიან, რომ შევარდნენ ცეცხლში და გამოამზეურონ თავიანთი საუკეთესო კაპიტალი ყოვლისშთამთქმელი ამხანაგობისთვის. რით სჯობს ამ მილიონერი ამხანაგობის ყოფა, მათი საკვები ან მშრომელთა მდგომარეობა ვოლგელი ბურლაკის ან გაპარტახებული ქოხის უღარიბესი ბატრაკის მდგომარეობას? თქვენ დარწმუნდებით, რომ მონოპოლისტური სანარმოს ბრწყინვალე წარმატებას ერთი ბენოთიც არ გაუუმჯობესებია მუშათა ხვედრი“.

ნიკო ნიკოლაძემ რუსეთის სამეცნიერო-ტექნიკური საზოგადოების წევრებს შესთავაზა ამ მონოპოლიიდან თავდახსნის გზები და საშუალებები: „აუცილებელია, ყურადღება მიექცეს ნავთობის პროდუქტების გადასაზიდი გზების მოწყობასა და განთავისუფლებას (აქვე ნიკოლაძე მიუთითებს, რომ სრულიად შემთხვევით და წინასწარი განზრახვის გარეშე იგემა პირ-



ველი დარტყმა ნობელის მონოპოლიამ, როცა ამიერკავკასიის რკინიგზა გაიყვანეთ, რომელიც ვალდებულია ნავთის მრეწველის განკარგულებაში იქონიოს ჩამოსასხმელი ვაგონები. მაგრამ ეს თავდასაცავი სარქველი ძალიან მცირეა და ადრე თუ გვიან ძმები ნობელების ამხანაგობა შეეცდება, ასე თუ ისე, დაიწყება მისცეს იგი. პირველი საცდელი საცავები მან უკვე ჩადგა ბათუმის პორტო-ფრანკოში; ახალ, კიდევ უფრო მტკიცე საცავთა ჩადგმასაც უნდა ველოდეთ)

აუცილებელია, ვაიძულოთ ყველა რკინიგზა, რომელიც ვოლგასა და შავ ზღვას აკრავს და დაკავშირებულია მის აუზებთან, ჰქონდეს ჩამოსასხმელ ვაგონთა საჭირო რაოდენობა, ხოლო მთავარ სადგურებზე კი — საკმაო მოცულობის რეზერვუარებიც.

ასევე აუცილებელია ყველა მექარხნეს, მენარმესა და ვაჭარს მივცეთ ისეთივე შეღავათიანი პირობები ნავთის ჩამოსხმის სახით გადატანისა, ბ-ნ ნობელს რომ აქვს მინიჭებული, რკინიგზის სამმართველოსაგან... საერთოდ კი პრინციპულად უნდა დადგინდეს, პირველ ყოვლისა ის, რომ მთავრობის მიერ ზურგის შექცევას ნავთობისა და მისი პროდუქტების გადაზიდვის საქმისგან, სამიმოსვლო გზების გაუმჯობესებისაგან და ამ საქმეების მთლიანად გადაბარებას ნავთობის მენარმეებზე, მონოპოლიის შექმნისაკენ მივყავართ (ე. ი. ნიკო ნიკოლაძე ჯერ კიდევ 1880-იან წლებში მომხრე იყო სახელმწიფოს გარკვეული დოზით ჩარევისა ბიზნესის სამართლიანად დამრეგულირების, არბიტრის როლში, რაც დღეს მსოფლიო ეკონომიკის გაბატონებული ტენდენციაა და კეინსამდე გაცილებით ადრეა ნამოყენებული). მეორეც ის, რომ ნავთობისა და მისი პროდუქტების გადაზიდვის ყველა საშუალება ყველასათვის ხელმისაწვდომი უნდა იყოს თანაბარი პირობებით“.

ნიკოლაძე აქვე მიუთითებს, იმასაც, რომ თუ ნობელების მონოპოლია განმტკიცდება, მაშინ ნავთის ფასიც, გაიაფების ნაცვლად, სწრაფად აიწევს.



ნიკო ნიკოლაძე

ბოგს არა მარტო ნავთობის ექსპლოატაცია, არამედ საზოგადოებრივი აზრის ექსპლოატაციაც. იგი წერს, რომ ნობელმა „თავისი მიღწევების ჯადოსნური სურათი გადაბვიშლა, დაბაჟითებით ამტკიცებდა, რომ მიღწევს თავის მიზანს, რომ მას, ნაფოტებად რომ ექცია მეთლეთა, მქარხნეთა და მოშურნეთა მთელი არმია, სრულიად არაფრად უღირს მოეჩიოს „მარტო ერთ“ ნიკოლაძეს. პოლიტიკამ კი მომხიბვლელად დაამღერა გულისამაჩუყებელი რაფსოდია თავისუფალი კონსურენციის მშვენიერებაზე.

ყოველივე ეს მომხიბვლელიც იყო და საინტერესოც, მაგრამ გაქნილობა გაქნილობაა და საკითხი მაინც ღიად რჩება. ლაპარაკია ნო-

**ნიკო ნიკოლაძე ჯერ კიდევ 1880-იან წლებში მოხრა იყო სახელმწიფოს ბარკვეული დოზით ჩარევისა ბიზნესის სამართლიანად დამრეგულირების, არბიტრის როლში, რაც დღეს მსოფლიო ეკონომიკის გაბატონებული ტენდენციაა**

ნიკო ნიკოლაძის მიერ დაყენებული საკითხს სამეცნიერო-ტექნიკური საზოგადოების სხდომაზე კენჭი უყარეს და იგი გავიდა: 29 კაცი იყო ნიკოლაძის მომხრე, 9 კი — წინააღმდეგი.

ნიკოლაძის დაპირისპირება ნობელებთან ამით არ დამთავრებულა. მალე რუსულმა გაზეთმა „ნოვოე ვრემია“ ზემონახსენებ სხდომასთან დაკავშირებით დაბეჭდა ვასილ პოლეტიკას ცილისმწამებლური პასკვილი „დიდი საქმე“, რომელსაც პასუხი გასცა ნიკო ნიკოლაძემ სტატიაში „დიდი შეცდომა დიდ საქმეში“ (წერილი რედაქციას).

„ნოვოე ვრემიას“ ამ სტატიაში ლუდვიგ ნობელის მიერ დაქირავებული ჟურნალისტი ვასილ პოლეტიკა უპირისპირდება ნიკო ნიკოლაძეს.

ნიკოლაძე მინიშნებს, რომ არსა-

ბელის მონოპოლიაზე და სხვა არაფერზე, ხოლო ვისაც ნებავეს, იკამათოს ამ საკითხის თაობაზე, დეე ილაპარაკოს ან წეროს მასზე და არა რაღაც სისულელეებზე, რომლებიც ამ საკითხს სრულიად არ ეხება. მხოლოდ ამ გზით შეუძლია ჭეშმარიტებამდე მისვლა ყველას, ვისაც არ ესაჭიროება საქმის არე-დარევა“.

ნიკოლაძე კიდევ ერთხელ დაასკვნის, რომ ნავთობის დიდ საქმეში დაშვებულია დიდი პოლიტიკური შეცდომა: „დიდ მრეწველობას რომ ვნერგავდით, ჩვენ არ გვიზრუნია, გზა გაგვეხსნა მისი პროდუქტების გატანისათვის. ამის შედეგად მრეწველობას დაანვა გარეშე ვალდებულება — სამიმოსვლო გზების მოწყობა. ასეთი ტვირთი უმეტესობის ძალას აღემატება. ვისაც შეუძლია გზის გაყვანა, ცხადია, ის





თავისთვის გაიყვანს და არა ყველასთვის. ასეთ ვითარებაში შეუძლებელი იყო, არ აღმოცენებულიყო მონოპოლია და აღმოცენდა კიდევ. კერძო წამოწყებისთვის ახლა მისი თავიდან აცილება ადვილია ყოველგვარი დანაკარგის გარეშე: ამისთვის საჭიროა ნავთობის წარმოება, გადატანის მხრივ, ისეთსავე პირობებში ჩავაყენოთ, როგორშიცაა სახალხო მეურნეობის ყველა დარგი. **თუ ასე არ მოვიქცევით, მონოპოლია, ბოლოს და ბოლოს, დაკარგავს ნავთობის მთელ მრეწველობას**“. შესაბამისად, ბაქოს ნავთობის საბადოების ამ „ამოუნურავი სიმდიდრიდან“ რუსეთის ის მიკროსკოპული სარგებელიც კი აღარ შეხვდება, რომელსაც ახლა უწილადებს ბ-ნი ნობელი გადასაზიდი გადასახადის სახით (ერთი მეოთხედი კაპიკი 1 ფუთ ამოღებულ და გადატანილ ნავთობზე). ამგვარად, „თვით ნავთობის გაყვანილობის შესანიშნავი საქმე უეჭველად დაილუპება ნავთობის წარმოებაში ურჩხული მონოპოლის (იგულისხმება ნობელების მონოპოლია — ვ.შ.) გაჩენის გამო, რომელსაც უკვე ვერაფრით ვერ დაძლევე, თუ ამ საქმის განხორციელების დროს გაყვანილობა ყველასთვის ხელმისაწვდომი არ იქნება. ასეა ყოველთვის: ყოველი სასარგებლო ნივთი შეიძება ბოროტ იარაღად აქციოთ, ისეთ დანად, ურომლისოდაც ვერც შექამ საჭმელს და ისეთ დანადაც, რომლითაც დაიჭრა თავი ან დაჭრა სხვა“.

ნიკო ნიკოლაძე აქვე უარყოფს ვასილ პოლეტიკას ბრალდებას, თითქოს ნიკოლაძე „სახელმწიფო სოციალიზმის“ მომხრე იყოს. **დღეს ყველასთვის ნათელია, რომ სახელმწიფოს შეუზღუდავი ჩარევა ბიზნესის სფეროში სულაც არ აღიქმება სახელმწიფო სოციალიზმად და იგი ფართოდამკვიდრებული პრაქტიკაა**. შესაბამისად ნიკო ნიკოლაძე ამ ყურნალისტთან პოლემიკაშიც მართალი იყო, ისევე, როგორც ნობელების მონოპოლიასთან დაპირისპირებაში.

ნიკო ნიკოლაძის ეს დაპირისპირება მაშინდელ მსოფლიოში საყოველთაოდ ცნობილ ძმები ნობელების მონოპოლიასთან ქართული სა-



სხადან (მარცხნიდან მარჯვნივ) ნიკო ნიკოლაძე, აპაკი ჩხენკელი და ზურაბ ავალიშვილი; დვანან სპირიდონ ქაღია, გიორგი მაჩაბელი და მისაქო წარეთელი (1917 წ.)

ზოგადოებრივი და ეკონომიკური აზრის ძალიან საინტერესო და სასახელო ფურცელია. როცა მართალი იყო, ნიკო ნიკოლაძე არავითარ ავტორიტეტებს ქედს არ უხრიდა. ასევე ძალზე მნიშვნელოვანია ამ მოხსენებაში გამოთქმული ერთი ბრწყინვალე შეგონება: „შეუძლებე-

ლია, მხედველობაში მივიღოთ მხოლოდ დღევანდელი ფაქტები; აუცილებელია ვიხედებოდეთ შორს, განვჭვრიტოთ თუ რა მოხდება დროთა განმავლობაში. ჩვენ მივეჩვიეთ ქედის მოხრას დღევანდლობის წინაშე, ისე, რომ სრულიადაც არ ვფიქრობთ მომავალზე“.

**ჩაუიუე**

130 წლის წინ, 1882 წლის 28 აგვისტოს ნიკო ნიკოლაძემ მოხსენება გააკეთა რუსეთის სამეცნიერო-ტექნიკური საზოგადოების წევრთა ყრილობის IV განყოფილების სხდომაზე, რომლითაც იგი ღიად დაუპირისპირდა ძმები ნობელების კომპანიას, რომელმაც ბაქოს ნავთის გატანის მონოპოლია იგდო ხელთ და სერიოზულ ზიანს აყენებდა ადგილობრივ კომპანიებს.

ნიკოლაძე ამას რუსული პოლიტიკურ-ეკონომიკური პირობების გავლენით ხსნის, რომელთა გამოც რუსეთში, რაც უნდა აიღოთ, მაიორატსა და მონოპოლიაში გადაიზრდება. ნიკოლაძის აზრით, მონოპოლია ნავთის წარმოების დროს კი არ წარმოიშვა, არამედ გადატანის დროს, რომლის სადავეები ხელთ იგდო ნობელების კომპანიამ. ნიკოლაძის დასკვნით, არც ერთი წარმოება არ შეიძლება განვითარდეს და გაძლიერდეს, თუ მას თავს მოვახვევთ მიმოსავლის საშუალებათა მონყობასა და შენახვასაც. მოხსენებაში ნიკოლაძემ დასახა ამ მონოპოლიის აღმოფხვრის გზები, რომელთაგან ერთ-ერთი იყო ბათუმის პორტო-ფრანკოს განვითარება, ყველა მენარმისთვის ისეთივე შეღავათების მინიჭება, რაც ჰქონდა ნობელების კომპანიას. ნიკოლაძემ შეძლო დელეგატთა დარწმუნება თავის სიმართლეში, რაც სერიოზული წარმატება იყო.

**ლიტერატურა:**

1. ნიკო ნიკოლაძე „ვ.ბ. აბრამოვიჩის ინფორმაციის გამო“, თხზულებანი, ტ VIII, ქუთაისი, 2003.
2. ნიკო ნიკოლაძე „დიდი შეცდომა დიდ საქმეში“, თხზულებანი, ტ. VIII, ქუთაისი, 2003.



# შამილის ტყვედნაყოფი ოფიცრის ნააზრობი

1842 წელს მარტში გენერალ-ლეიტენანტ ფეხეს ადიუტანტი ილია ორბელიანი ყაზიყუმუხში დაატყვევეს შამილის ნაიბებმა. რვა თვის საშინელი ტანჯვის შემდეგ იგი განთავისუფლებულ იქნა. მისი ტყვეობის ისტორიას დიდი გახმაურება მოჰყვა მაშინდელი საზოგადოების მხრიდან. ბუნებრივია, რომ ილიკო ორბელიანმა დააკმაყოფილა თანამედროვეთა ცნობისმოყვარეობა და უამბო თავისი თავგადასავალი ვერდერევესკის, რომლის ჩანაწერი „Рассказ офицера, бывшего в плену у Шамиля“ გაზეთმა „კავკაზმა“ (1849 №2-5) დაბეჭდა და შემდეგ დამატებად დაურთო თავის წიგნს „В плену у Шамиля“. ქვემოთ გთავაზობთ ნაწყვეტს ვერდერევესკის აღნიშნული წერილიდან.



დასასრული. დასაწყისი იხ. „ისტორიული მემკვიდრეობა“ №3

ველური მთიელის ასეთმა აზრებმა და ამ უბრალო სანუგეშო სიტყვებმა, რომელიც გამოიმეტა ჩვენთვის ახვერდი მაჰმადმა, ღრმად აგვაღელვებდა. ჩვენ მადლობა გადავუხადეთ ასეთი თანაგრძნობისთვის და ვსთხოვეთ, ეშუამდგომლა შამილის წინაშე ჩვენი ბედის შესამსუბუქებლად.

— თუ შამილი წინად ცუდად გვეპყრობოდა, — ვეუბნები, — ალბათ, იმიტომ, რომ ვაეძულე ბინეთ და უფრო სურათოვნად აგვენერა ჩვენი ტანჯვა-წამება, რათა დაგვერწმუნებინა ჩვენი უფროსობა, ჩვენს უნუგეშო მდგომარეობაში, მალე დაებრუნებინათ შამილის შვილი და სხვები, მაგრამ ეხლა რალად უნდა გვანამებდეს, როდესაც ჩვენ უკვე წერილობით გავგზავნეთ ჩვენი თხოვნა, რატომ არ უნდა გვიმსუბუქებდეს მდგომარეობას? თუ მას ჩვენი გაქცევისა ეშინიან და იმიტომ არ ამოყვევართ ამ ხაროდან, შიმშილით მაინც ნულარ გვხოცავს. ჩვენ ხომ საჭმელის გაუმჯობესებას არ ვთხოვთ, ცოტაოდენი მოგვიმატოს, განა რუსები ასე ეპყრობიან თქვენს ტყვეებს? ტყვეებს ყველას თავთავისი წო-

დებისა და ხარისხის მიხედვით ინახავენ, საკმაო ჯამაგირსაც აძლევენ, ასე რომ, მათ არ იცინან, რა არის გაჭირვება.

— ვიცი, საყვარელო, ვიცი, ძალიან კარგად ვიცი, — მეუბნება ახმედ-მაჰმადი და აღმითქვა: შამილს ვთხოვ, რომ ხინკალი მოგიმატონო.

მაგრამ მართალია ის, რომ შამილმა არც მისი შუამდგომლობა შეინწყნარა: ჩვენი თხოვნა არ შეუსრულდება და მდგომარეობა არ შეგვცვლია. მაგრამ ახვერდი-მაჰმადმა მარტო სიტყვებით კი არ დაამტკიცა თავისი გულკეთილობა. გამოთხოვებისას შამილის ნებართვით მეც და ა-საც ვერცხლის თითო მანეთიანები გვაჩუქა. შიმშილისაგან განანამები ვიყავით და ეს საჩუქარი დიდის მადლობით მივიღეთ. იმ მდგომარეობაში, რომელშიც ჩვენ ვიმყოფებოდით, ეს ორი მანეთი გაცილებით მეტი იყო, ვიდრე ორი ათასი მანეთი სხვა დროს და სხვა პირობებში. რარიგად გვიხაროდა, როგორ ვიმედოვნებდით, რომ კარგი საჭმელით შევიმაგრებდით ჩვენს ძალ-ღონეს და ჩვენი ამხანაგების ჯანმრთელობას, მაგრამ ეს სიხარულიც ამაო გამოდგა: საზიზ-

არმა ყარაულებმა, როდესაც ეს ფული იგდეს ხელთ, დაგვცინეს, ფული ჩაიჯიბეს და ჩვენ გადმოგვიყარეს ათიოდე ჭადის პანია კვერი და ქონის სანთლის ნამცეცა ნაჭერი. ამოდ ვემუდარებოდით, რომ მათ ჩვენთვის ცოტაოდენი ხორცი ეყიდათ, — კედელს ცერცვი შეაყარეო, — გაგონება არც კი უნდოდათ. გაცრუებული იმედები, შიმშილი და გულისწყრომა სულსა და გულს გვიქეჯნიდა, მაგრამ რა უნდა გვექნა!

მეორე დღეს, ახვერდი-მაჰმადი, ჩეჩენთა ცხენოსნებით წავიდა სალაშქროდ და მას შემდეგ აღარც გვინახავს, ვიდრე ილალინის საქმეებს არ მორჩა, სადაც მან დიდად ისახელა თავი.

ჩვენთან სხვა ნაიბებიც დაიარებოდნენ, როგორც მაგალითად ანდიის ყადი, გუმბეთელი აბაქარდიბირი, ტულოხელი ჰაჯი-მურატი, ყიალალელი და სურხაი ანალიელი და ტილითელი კიბით-მაჰმადი და სხვები.

მაისის შუა რიცხვებში მთიელებმა ყაზიყუმუხისკენ დაიჭირეს გეზი. მათ მალე დაედევნა თვითონ შამილი, რომელმაც ჩეჩენთა შუემბისა და ულუ-ბეის განკარგულებაში დასტოვა. ორივეს ისე



ენდობოდა, როგორც საკუთარ მარჯვენას. იმავე თვის ბოლოს დარგოლელებში ხმა დაირხა, რომ რუსები ჩეჩნებზე აპირებენ ლაშქრობასაო.

პირველ ივნისს გენერალი გრაბე შევიდა იჩქერიის ტყეებში. დღითიდღე ზარბაზნების ხმა ძლიერდებოდა. ასე რომ, მათი გრიალი ბოლოს ჩვენამდეც აღწევდა. ისე მოსჩანდა, თითქოს თავისუფლების სხივი აგერ-აგერ ჩვენს დილეგშიც ჩამოანათებდა. მაგრამ მალე იმედი გაგვიქრა, რომ ჩვენები ოდესმე სოფელ დარგომდე მოაღწევდნენ.

ჭაბუკი ჩეჩენი, რომელიც ჩვენთან მკვლელობის გამო იჯდა, დის მზრუნველობის ქვეშ იმყოფებოდა, თითქმის ყოველდღე სამჯერ მაინც ნახულობდა მას ეს და, თან მოჰქონდა საჭმელები. მისგან მალე გავიგეთ დანვრილებით საქმის ნამდვილი ვითარება და სხვადასხვა ამბები, ერთი სიტყვით, თუ რამეს ვტყობილობდით, სულ იმ ქალის წყალობით. **ჭაბუკი დიდად ნაღვლოვდა, რომ რუსებმა სალაშქროდ უხეირო მხარე აირჩიეს, სრულიად უწყლო და უდაბური მხარე; ამოვბდა იმასაც, რუსის ჯარებს სოფელი ბაიანი რომ აერჩიათ სალაშქროდ, მაშინ უსათუოდ გაიმარჯვებდნენ, აქ გაყვანილი გზები ჯარების მოძრაობას ბაბაღვი-ლიბდაო, მაშინ ჩვენც ადვილად მოვახარხებდით გაქცევას აბარ ამ მხრითაო, — და თან მიგვითითა თუ რა გზით და რომელ მხრით შეიძლება და ჩვენი ხსნა, გადაჩინა.** შემდეგ სასონარკვეთილებით ხელი ჩაიქნია და სთქვა:

— ეხლა ამისი იმედი აღარ უნდა გვქონდეს. გადაჭრით შეგვიძლიან ვთქვათ, რომ რუსები დარგოს ვეღარ მოაღწევენ. შამილი დაბრუნდება ყაზიყუმუხიდან, ხელახლად ჩეჩნეთის მფლობელი შეიქნება და, გაქცევაც რომ მოვახერხოთ, მაშინ ჩემი მშობლები, ძმები და დები სიკვდილით დაისჯებიან ჩემ გამოო.

შუემბი და ულუბეი გენერალ

გრაბეს შეხვდნენ იჩქერელებისა და აუხაველების რაზმებით. სხვა მთიელები ვერ მიეშველნენ ან არ უნდოდათ მონაწილეობა მიეღოთ საფათერაკო ბრძოლაში. ჩვენ თითონ დავინახეთ ასამდე ანდიელი, როგორ გულდამშვიდებით ისხდნენ თავისთვის დარგოში. ორივე ნაიბი განუწყვეტლივ უგზავნიდა თხოვნას შამილის ოჯახობას, ანდიში გადასახლდით ანდა დაღესტნის შორეულ მთებშიო. ისინი უთვლიდნენ მას (შამილის ოჯახს):

— ჩვენ, რა თქმა უნდა, უკანასკნელ სისხლის წვეთამდე ვიბრძობლებით, რუსებს არავითარი შესაძლებლობა არ მოეპოვებათ, რომ დარგოს მიაღწიონ, მაგრამ იმასთან ერთად ნურც იმას დავივინყებთ, რომ მტერი ძლიერია, ვინ ითავდებებს, რომ, თუ გენერალი გრაბე მოისურვებს, თავისი არ გაიტანოს, რანაირი მსხვერპლიც არ უნდა მოუვიდეს მას.

ეს საზოგადო აზრი იყო ყველა მთიელისა გენერალ გრაბეს შესახებ და ეს რწმენა ისე აფრთხობდა ჩეჩნებს, რომ თუმცა იმედი ჰქონდათ რუსები დარგოს გზამდე ვერც კი მოაღწევენო, მაგრამ მაინც შიშობდნენ და ოჯახებით იხიზნებოდნენ უფრო მიუვალს და უშიშარს ადგილებში. შამილის ოჯახობაც მთელი თავისი ავლადილებით ანდიში გაიხიზნა.

შამილის ოჯახის გახიზვნის შემდეგ მურიდები შეიკრიბნენ ჩვენი ხაროს თავზე წამოდგმულ სახლში და მოჰყვნენ ბჭობას, რა ვუყოთ ამ ტყვეებს, როდესაც რუსები დღითიდღე გვიახლოვდებიან და თვითეულმა ჩვენგანმა თავის გადარჩენაზე უნდა იფიქროსო.

— რა ექნათ, რა მოვაგვაროთ? — შესძახა შამილის ბიძაშვილმა, სახელოვანმა გიმრელმა აბრაგმა იბრაჰიმმა — რუსები რომ ურტყამენ ჩვენს მუსლიმანებს, მოდი და ჩვენც ამოვუყლიტოთ მათ თავიანთი ერთმორწმუნენი, აი ეს ტყვე ღორები. ამით ჩვენი ძმების შურს ვიძიებთ, ღვთის სასურველ საქმეს ჩავიდენთ და ჩვენს სულს ვაცხოვრებთ კიდევ.

ჩვენ ამკარად გავიგონეთ ეს

სიტყვები. გავიგონეთ ისიც, თუ დარგოელმა ყადმა, როგორ უბრძანა მურიდებს, იარაღი მოამზადეთ და ტყვეები სათითაოდ ამოიყვანეთო. ისე სჩანდა, რომ ჩვენი განკითხვის ჟამმა დაჰკრა, მაგრამ ამ თავადაც სიკვდილმა გვიბრალა და გვერდი აგვიხვია.

ჩვენდა საბედნიეროდ, ამ დროს მურიდებთან მოვიდა ერთი ყაზიყუმუხელი ლტოლვილი, რომელმაც გადასწყვიტა ჩვენი ბედი. როდესაც მან გაიგო მათი განზრახვა ჩვენს შესახებ, წამოდგა და ასეთი წინადადებით მიმართა:

— აბა, რაზე ტყვილა-უბრალოდ უნდა დახოცოთ ეს ტყვეები? განა უკეთესი არ იქნება ჩვენს მლოცველებს ვუთხრათ და ბამბის ტილოს ერთ ძაფში მაგათ ანდიის იქითაც კი გადაიყვანენ. თუ შამილი მოისურვებს მათ გაყიდვას, გაჰყიდის კიდევ და ერთი ათჯერ მეტს აიღებს, ვიდრე ჩვენ წარმოგვიდგენია.

**მურიდებმა დაიჯერეს ეს რჩევა, უბრძანეს ტყვეები ხაროდან ამოვიყვანეთო და მლოცველებს თან გაგვაცოლეს სოფელ ანდისაკან.**

ჰაერზე რომ ამოგვიყვანეს, ჩვენი თვალთ დავინახეთ იჩქერის ტყეში ავარდნილი კვამლის ღრუბლები. ზარბაზნის ხმა უფრო მკაფიოდ ისმოდა. თოფების ერთბაში სროლა გრიალით მიჯირითობდა მთებისკენ.

ჩვენ მოველით ანდიაში. ამ სოფლის მოსახლეობა, გარდა ორმოციოდე კაცისა, რომლებიც სასტიკი მურიდები იყვნენ, ყველანი სიხარულით მოელოდნენ რუსების მოსვლას. მაგრამ ისინიც გულგატეხილები იყვნენ, გენერალმა გრაბემ სალაშქროდ ძალიან ცუდი მხარე აირჩია და ძნელად, რომ დარგომდე მოაღწიოსო.

ანდიელებს ორი მიზეზის გამო ენატრებოდათ რუსების გამარჯვება: ერთი ის იყო, რომ ანდიელები ძალიან ღარიბები არიან და უძნელდებათ ცხოვრების წყაროს აღმოჩენა, რადგანაც მათ ვეღარ შეეძლოთ გაესაღებინათ თავიანთი ნაბდები მას შემდეგ, რაც მათ აუკრძალეს იმ ადგილებში მისვ-



ლა, სადაც რუსის ჯარმა ფეხი შესდგა. ანდიელებს არასოდეს ხვნა-თესვა არ აინტერესებდათ. მათი საქმიანობა მენაბდებოდა იყო. მათი გაკეთებული ნაბადი მთელს კავკასიაში იყო განთქმული. თითო ნაბადში იღებდნენ 5, 10, ხშირად 20 მანეთს, როგორც დაღესტანში, თბილისში, ისე მთელს საქართველოში. აქ ისინი მცირე ფასებში იძენდნენ ბამბულ ქსოვილებს და სხვა ნივთებს, რაც საჭიროა მთიელებისთვის, გადააჰყიდდნენ ხოლმე დაღესტანში ან მთებში და ორჯერ-სამჯერ მეტ ფასს იღებდნენ, ვიდრე თითონ ჰქონდათ გაღებული. აი ამ ფულით ისინი იმარაგებდნენ წლიურ სარჩოს. ამასთან ერთად ისინი აუმჯობესებდნენ და ავრცელებდნენ მეცხვარეობას, როგორც თავიანთი შემოსავლის პირველ წყაროს. ეხლა კი მათი გასაღება შეუძლებელი ხდება, მიწის დამუშავებაც აკრძალული აქვთ და დიდ გაჭირვებას განიცდიან.

**მეორე მიზეზი კიდევ ის არის,** რომ მათ სძულთ შამილი, რომელიც სასტიკად ეპყრობა მათ, ნაკლებად ენდობა და ამ პატივცემული საზოგადოების წევრები ძალიან ბლომად დასაჯა სიკვდილით. მაგრამ მიუხედავად იმისა, რომ სიმკაცრისთვის სძულთ იმამი, იმავე დროს ისინი შიშით ძრწიან და ვერაფერი ვერ უღონიათ. მათ აიძულებთ მხოლოდ რუსების მოსვლა, რომ მათ დაამხონ შამილის ბატონობა და ეს ხალხი იხსნან საცოდავ მდგომარეობიდან.

როდესაც გენერალ გრაბეს უკან დახვევის ამბავი გაიგეს, ისინი მოვიდნენ ჩვენთან და ნალვლიანად გვეუბნებიან:

— ჩვენ თქვენების მოსვლის მოლოდინში ვიყავით, რომ გამოჩენილიყვნენ, მათ ჩვენ თქვენთან ერთად პურმარილით შევხვდებოდით. გარემოებაც ხელს გვიწყობდა: შამილი აქ არ არის და წინააღმდეგობას ვერვინ გაგვინევდა. ალბათ, გენერალს მთლად არ ჰქონდა ჩვენი იმედი: რუსები რომ თუნდა ოდნავად მოახლოვებოდნენ დარგოს, ჩვენ გავიდოდით შესაგებებლად, როგორც მოძმე და

მეგობრები. მაგრამ ვინ უთავდებებდა მათ ჩვენს გამო. ხომ შეიძლებოდა, რომ ჩვენც შევხვდებოდით მათ საშინელს ხეობაში, რომელიც დარგოს ქედიდან მიიმართება, უცბად იარაღზე გაგვეკრა ხელი და დაგვეწყო ხოცვა-ჟლეტა. მაშინ ხომ ისინი საკუთარ სისხლში ჩაიხრჩობოდნენ. ვთქვათ, ხუთი-ექვსი ათასი კაცი დაეკარგათ და მოესწოთ ხეობის დაჭერა. ამასობაში შამილი მოასწრებდა მოსვლას, მწვერვალებიდან ნიშანში ამოიღებდა რუსებს, ზურგიდან ჩეჩნებს მოგისევდათ და ერთსაც არ გაგიშვებდათ ცოცხალს, რომ თქვენი დაღუპვის ამბავი ნაგელთ სადმე. რუსებს ჩერქეზიდან უნდა დაეწყოთ შეტევა დანულისა, არღუნისა და მეხლეთის მიმართულებით. იქ მათ არავითარი დაბრკოლება არ გადაეღობებოდათ წინ, არც ბუნებრივი და არც მოსახლეობის მხრივ. დარგი და ჩეჩნეთი სრულიად უბრძოლველად დაემორჩილებოდათ.

ეს სიტყვები ღრმად აღიბეჭდა ჩემს მახსოვრობაში და შემდეგში, გაქცევის დროს, ან როდესაც გუმბეთში ვიმყოფებოდი, და ბოლოს განთავისუფლების შემდეგ, მე დიდის ყურადღებით დავათვალიერე ყველა გზა და ადგილმდებარეობა, მაშინ დავრწმუნდი, რომ **გუმბეთისა და ანდიის ალბა სრულებით ადვილი საქმე ყოფილა, რომ ჩიჩნეთს არ შეუძლიან დიდხანს გასტანა თავზე დავყივლები მწვერვალებით; რომ თლოხი, თხენუნის საზოგადოების წევრი, აუხვასი და ბოთლუსი, მთელი სივრცე აპარის ძონსუს მარცხენა ნაპირამდე ხელის გაქნევაზე დაგვიმორჩილება, სრულიად პატარა მსხვერპლის გაღებით.** მნიშვნელოვან ადგილებს დავიკავებდით და მაშინ, მართლაც, მტკიცედ მოვიკიდებდით ფეხს მთელს დაღესტანში.

გენერალ გრაბეს უკან დახვევის შემდეგ, ჩვენ კვლავ დარგოში გადაგვრეკეს და ძველ ხაროში ჩაგ-

ვყარეს. რამდენიმე დღის შემდეგ მოვიდა თვითონ შამილიც, რომელიც მოეშურებოდა ჩეჩნეთისა და თავის ოჯახის დასახმარებლად. მას ასე ეგონა, თითქოს ერთი და მეორეც, ისევ სახიფათო მდგომარეობაში იყვნენ ჩაცვენილნი. როდესაც რუსები აღარ დახვედრიან დარგოში, შამილი ნაწყენი დარჩა, ყაზიყუმუხის საქმეებს რად ჩამომამორეთო.

— იქ, — ამბობდა ის, — რუსებს ზურგში მოვექცეოდი, მოვუსპობდი ყველანაირ საშუალებას, რომ მათთვის სურსათი არ მიეშველებინათ და სულ შიმშილით ამოვხოცდი.

მაგრამ შამილს ამ წყენამ მალე გაუარა, დაცხრა და ძალიან ტკბილად მიუალერსა ორივე ნაიბს — შუემბის და ულუბეის, რომელთაც მამაცობისა და ვაჟკაცობის თავის, იჩქერიის ტყეში რუსების ამოწყლელისათვის აჩუქა მათ ჩვენი ორი დროშა, რომლებიც ხელთ იგდო მან ყაზიყუმუხში ასლან-ხანის მეუღლისაგან. ასლან-ხანს თავის დროზე ეს დროშები მიეღო ძღვნად ერევნის გრაფ პასკევიჩისგან, რადგანაც სპარსეთთან ომიანობის დროს ამ ხანმა მთელს დაღესტანში მშვიდობიანობა არ დაარღვია.

დარგოში მისვლისთანავე, ჩვენ დაულალავად შევუდექით ახალ საშუალებათა გამონახვას, რომ ტყვეობიდან როგორმე თავი დაგვეღწია. საბედნიეროდ, ის ახალგაზრდა ჩეჩენი, რომელიც ჩვენთან ერთად იჯდა, ანდიიდან დაბრუნებისას აქ აღარ დაგვეხვედრია. შეუძლებელი იყო მასზე რაიმე იმედი დაგვემყარებინა, არც იმაში, რომ მონაწილეობა მიეღო ჩვენს გაქცევაში და არც იმაში, რომ ყოველ შემთხვევაში ის ჩუმად იქნებოდა. ჩვენ გადავწყვიტეთ გაქცევა, მაგრამ ამისათვის საჭირო იყო, რომ ჯერ ამ ხაროდან ამოვსულიყავით. ამისათვის კი მხოლოდ ერთი საშუალება იყო, — როგორმე გვერდითა კედელი გაგვერღვია. ვახსენეთ ღმერთი და შევუდექით საქმიანობას.

ანდიიდან დაბრუნებისას გზად ერთი ხმელი, მაგარი და წვეტიანი



ჯოხი ვიპოვეთ, ეს ჯოხი ფარულად შევმალე კალთების ქვეშ და ხაროში ისე ჩავიტანე, რომ ყარაულებს არ გაუგიათ. ხაროს ჭერში ეს ჯოხი შევარჭე სანდო ადგილას. — აი, ამ ჯოხის წყალობით გავთხარეთ კედელი. მუშაობა მარჯვედ მიდიოდა. გამოღებულ მინას იქვე ხაროს ძირზე ვფენდით. **რამდენიმე დღის შემდეგ ხვრალი უკვე მზად იყო, ორი-სამი საჟინის მანძილზე, სიმაღლით კი იმოდენა იყო, რომ ხოხვით შეგვკლებოდა გაცოცხება. ჩვენსა და თავისუფლებას შუა მხოლოდ პატარა იატაკილია დაგვრჩენოდა.**

რომ ყარაულები არ მიხვედრილიყვნენ ჩვენს განზრახვას, როდესაც ზოგჯერ ჩვენს ხაროს ათვალთქვებდნენ ხოლმე, ხვრელის თავის დასაფარავად ლასტი დავწანით იმ ფიჩხისაგან, რომელზეც ჩეჩენს ეძინა ხოლმე, შემდეგ ეს ლასტი გავლესეთ თიხით, რომელსაც ვზილავდით ჩვენთვის სასამელად ჩამოშვებულ წყლით.

ჩვენ ისლა დაგვრჩენოდა როგორ და საით გავქცეულიყავით, რომ ჩვენს გარნიზონებამდე მიგვეღწია. აქ ჩვენს შორის უთანხმოებამ იჩინა თავი: ზოგნი ამბობდნენ, უმჯობესია გერზელ აულისკენ გავიქცეთო; ზოგი კიდევ ვნეზაპნოის მიმართულებას ამჯობინებდნენ, მე კი უფრო შორეული გზა ავირჩიე, რომელიც ანდიისა და გუმბეთის მთებს უხვევდნენ. მე ეს აზრი იმიტომ დამეზადა, რომ ჩვენი ყარაულები, როდესაც ჩვენი გაქცევის ამბავს გაიგებდნენ, პირველ ყოვლისა იმ ორ პატარა გზას გაჰყვებოდნენ, რომლებსაც ჩვენების სიმაგრეებამდე მიჰყავდათ. ამნაირად, ჩვენ სამ ჯგუფად გავიყავით. მე მხარი დამიჭირა ზაგორსკიმ და ერთმა ყაზახმა. გერზელ აულის მიმართულება აირჩია ა-მ, მას შეუერთდა პოდპოლკოვნიკი ს-, თავისი ორი მსახურით, ორი ბაზახი, სომეხი და ერთი ქართველი. ყაზახმა შჩედრინმა ორი თავისი ამხანაგით ვნეზაპნოის მიმართულება აირჩია. ამაზე შეთანხმების შემდეგ ჩვენ წილი ვყარეთ, ვინ გავსულიყავით ხარო-

დან პირველად: წილი მე მხვდა და ჩემს თანამოაზრეებს. ყველაფერი მზად იყო. ჩვენ მხოლოდ შესაფერ შემთხვევას ველოდით.

დადგა 22 ივნისის ღამე. ჩამობნელდა. გრიგალი მძვინვარებდა. წვიმის ღვართქაფი ლეკავდა ყველაფერს. ჩვენ გვესმოდა, ჩვენი ხაროს თავსახურზე წვიმა, როგორ შხაპა-შხუპით ეცემოდა. გუშაგები გინებით მოგვმორდნენ და საყარაულოს შეაფარეს თავი. ეს დრო საუკეთესოდ მივიჩინეთ. საერთო ძალით მოვეყეთ უკანასკნელი კედლის გათხრას. შუალამისას ჩვენი ხვრელის მეორე თავი უკვე გარედ გავიდა. სუფთა ჰაერმა სიმხნე შემოგვმატა. ჩვენ ერთმანეთს დავემშვიდობეთ, დავლოცეთ, გადავინერეთ პირჯვარი და დავინყეთ გარედ გამოსვლა.

ერთი ფეხიდან როგორც იყო ბორკილი ჩამოვიხსენი და მისი რგოლი მეორეზე მივაკარი, რადგანაც ვერას დიდებით ვერ მოვახერხე მისი შემოხსნა, გასაღები კი მე არ გამაჩნდა, არც სხვა რამ იარაღი. ტანთ დაფხრენილი პერანგი მეცვა და უხეირო წაღები.

ხვრელიდან გადმოძრომისთანავე გავიარეთ დარგო, ანდიის ხეობაზე მივეშვით, შემდეგ მარცხენივ გაუხვიეთ და უღრან ტყეში შევეყეთ თავი. თვითოეულ ჩვენთანს ორ-ორი ხინკალი და გვექონდა. მაგრამ გზადაგზა სირბილის დროს რაკი და წამდაუნუმ ვეცემოდით, ხან ვფორხილობდით, კვლავ ვეცემოდით — მთელი ეს საცოდავი მარაგიც ხელიდან გამოგვეცალა. ამასობაში წვიმა უფრო და უფრო მატულობდა. ტყეში ისეთი წყვიდადი ჩამონვა, რომ ერთ ნაბიჯზეც კი ვერაფერს გარკვევდით. ჩვენ შევჩერდით. განთიადისას ხელახლა წამოვდექით და გზა აღმოსავლეთისკენ დავიჭირეთ. სულ უგზო-უკვალოდ მივდიოდით, ხან უშველებელ აღმართს შეუდგებოდით, ხან დაღმართზეც ვცურდებოდით. ზოგჯერ იძულებული ვხდებოდით ხის ტოტებს მოვჭიდებოდით, გაქვანებულიყავით და ისე გადავმხტარიყავით ნაპრალის თავს, ან უფსკრულის თავს, ან ძირს ჩავშ-

ვებულებიყავით, იქიდან ხეებისა და ტოტების საშუალებით ისევ მალლა ამოვსულიყავით. სასტიკად დავიქანცეთ. ყოველ ათიოდენ წუთში ჩვენ გვიხდებოდა შესვენება. ნაშუადღევზე მთებში ძლიერი სეტყვა მოვიდა და მძვინვარე გრიგალმა გადაიქროლა. შიმშილმა, ყინვამ და დაღლილობამ ყველაფრის უნარი წაგვართვა. იქვე მინაზე მივეყარენით. მზე ჩავიდა და კვლავ ზარდამცემი წყვიდადი გადაეხურა დედამინას. ჩვენ იძულებულები გავხდით იმავე ადგილიდან ფეხი არ მოგვეცვალა და მთელი ღამე იქ გაგვეთენებინა.

მეორე დღეს წამოვდექით და კვლავ გავუდექით ჩვენს მძიმე გზას. გეზი სულ აღმოსავლეთისკენ გვეჭირა, ანდის ქედისაკენ. შიმშილმა დიდად შეგვანუხა. არაფერი არ იყო, რომ კუჭი დაგვეკმაყოფილებინა. **გამწარებით ბალახს მივხსენით და იმას ვკომვდით. როდესაც ნახევრად დამხალს მძაღვ ღანძილს ნავანყდით, ხარბად დავუნყეთ ჭამა, მებრამ ყელი ამოვვიხანა და დავვისივდა. მალე ანთივამ იჩინა თავი, რამაც ისე გაგვამწარა, რომ ბოლოს წყლის ყლაპვასაც კი გვიშლიდა.**

როგორც იყო მივახსნიეთ მეხელთის გზას, რომელიც ანდიიდან მიდის. აქედან ძირს დავეშვით, აუხის ტყისკენ და მდინარე ლამან-სუს გავყეთ.

როდესაც მდინარის ნაპირს ვუახლოვდებოდით, უეცრივ თვალი მოვკარი, რომ იქვე მახლობლად ოთხი ბიჭი ცხვარს აძობდა. იმათაც შეგვნიშნეს, ასე რომ შეუძლებელი შეიქნა, თავი აგვერიდებინა მათთვის, ამიტომ მიველით მათთან და ჩვეულებრივი მისალეების შემდეგ ვეუბნებით, ასე და ასეა ჩვენი საქმე, ვითომც ჩვენ გამოქცეული ჯარის კაცები ვიყავით და ტაშოვ-აჯიას ვემსახურებოდით, ვითომც ანდის მთებში მის ცხენებს ვაძოვებდით, რომლებიც გამოგვექცნენ, ვითომც გავგეგო, რომ ის ცხენები ეხლა სოფელ აღმაყში ჰყავთ და მათ ნამოსაყვანად მივდიოდით.



პატარა მწყემსები ხინკლით გავიმასპინძლდნენ. დიდის გაჭირვებით და ტკივილებით ვლექავდით და ვყლაპავდით ხინკალს, როგორც იყო ჩვენს მტანჯველს შიმშილს მოვუკალით ჟინიანობა. გამოვეთხოვეთ პატარა მწყემსებს და გზა განვაგრძეთ, ვითომც იმ სოფელში შესასვლელად, რომელიც ჩვენ დავასახელეთ.

ამ შემთხვევამ ჩვენ გაგვამახვილა, რომ შემდეგისათვის უფრო ფრთხილად მოვქცეულიყავით. ამხანაგებს წინადადება მივეცი ყოველი შემთხვევისათვის კეტებით შეიარაღებული ვყოფილიყავით, რომ შეგვძლებოდა რამდენიმე მთიელს მაინც გავსწორებოდით. ასეთი სიფრთხილე, მართლაც, დროული გამოდგა. ის, ის იყო, ძლივას გადავეფარეთ ჩვენს მასპინძელ პატარა მწყემსებს, რომ მეორე ჩეჩენი თავს დამესხა. მე ყველაზე წინ მივიდიოდი. მათ ხანჯლები გაიშიშვლეს და შემომიტიეს. ერთ ნუთში თვალწინ გამიბრინა ჩემი მდგომარეობის საშინელებამ და ყველა იმან, რაც უნდა მოყოლოდა ჩემს შეპყრობას და შემდეგ იმ ამბავს, როდესაც ხელახლა შამილთან წარმადგენდნენ. შამილი ენით გამოუთქმელს ახალ ნამებას მომაყენებდა და ისეთ დილეგში ჩამამწყვდევდა, რომ სამუდამოდ გამოვეთხოვებოდი ნათესაობასაც და ტკბილ სამშობლოსაც.

**მთელის გამძაფრებით ავმართე ის კეტი და ელვის სისწრაფით დავუშვი თავში ერთ-ერთ ჩეჩენთაგანს, რომელიც წინ მოიწევდა. მაგრამ მან თავზე ხელი დაიფარა და შემდეგ ორივენი გაიქცნენ ისე, რომ არც კი გახსენებიათ თავიანთი იარაღი და ის გარემოება, რომ მათ წინ სრულიად უმწეო ადამიანი იდგა, არაქათგამოლეული, რომელიც ფეხზე ძლივს იდგა.**

როდესაც თავი გამანებეს, ისინი მიესივნენ ჩემს ამხანაგებს, რომლებიც შორიასხლოს იდგნენ და, მიუხედავად იმისა, რომ პირობა გქვონდა მიცემული ურთიერთის დახმარებისა, გულგრილ მაყურებლებად თვალს მადევნებდნენ. ჩეჩენებმა სრულიად ადვილად შეიპყრეს ისინი და წინ გაირეკეს.

ჩემი ამხანაგების სიმხდალემ დამარწმუნა, რომ მათი შველის იმედი არ უნდა მქონოდა, ამიტომ ვანებე მეც თავი და მდინარე იმან სუს ნაპირებს გავყე სირბილით. მალე გადავლახე იგი, თვალს გადავეფარე იმ ჩეჩენებს, ერთ გამოქვაბულს წავანყდი, შველი შიგნით და წამოვწეი ძალღონის მოსაკრებად.

პატარა შესვენების შემდეგ კვლავ გზას გაუდექი. ველური ხეხუხუვებით და ნაპრალთა შორის ხეტიალით, როგორც იყო, მივადექი ანდიის უკანასკნელ ფერდობს და გუმბეთის მთას, რომლებიც უვნებლად გადავიარე.

როდესაც სალათის მთის აღმართს შეუდექი (ბურთუნის მახლობლად), კვლავ საშინელმა სეტყვამ წამოუშინა. თუმცა სეტყვამ დიდხანს არ გასტანა, მაგრამ დიდად დამასუსტა და გამაცვივა. მზემ გამოანათა თუ არა, იქვე ფერდაზე წამოვწეი, რომ გავმთბარიყავი.

მაგრამ მეტათ ძვირად დამიჯდა ეს პატარა შესვენება. ამ ფერდობის იქით ცხვრის ფარა გამოშალეს, რომელსაც სდარაჯობდა ხუთმეტოდე კაცი და რამდენიმე ძალლი. მე ჯერ კიდევ ვინეკი და მზეზე გვერდებს ვიხურებდი, რომ ორი პატარა ბიჭი მოვიდა ჩემთან. ერთი მათგანი ლეკურად გამომელაპარაკა:

— შენ ვინა ხარ?

ნამძინარევი ვიყავი და გონზე ადვილად ვერ მოველი. პასუხი არ მიმიცია, წამოვხტი და სირბილით შევიჭერი მახლობელ ტყეში. ბიჭებმა ყვირილი მორთეს. დანარჩენი მწყემსები წამოიშალნენ, დამედევნენ და ძალები მომისიეს.

მთელი ძალღონე მოვიკრიბე, რომ როგორმე თავი დამეღწია მათგან, მაგრამ ვატყობდი, რომ მუხლმა მიღალატა, მე ნაპრალებს გავყე ნაპირ-ნაპირ, რომელთა ძირი ორი საჟინის სიღრმეზე იკარგებოდა. **რა კი ლა ხსნის სხვა იმედი აღარ მქონდა, ავიღე და ნაპრალში გადავეშვი იმ აზრით, რომ თუ ეს უკანასკნელი ნახტომი მარჯვე გამოვიდოდა, მაშინ გადავრჩებოდი, რადგანაც, უეჭველია,**

**მწყემსები თავს აღარ გამოიღებდნენ, რომ თან გადამოლოდნენ.**

მაგრამ თურმე ჩემი წამება ამით არ თავდებოდა, როდესაც ნაპრალის ძირზე წამოვხტი, ვიგრძენი რომ ფეხი საშინლად მღრძობია, მარჯვენა ხელიც ამომვარდნია ბუდიანად, იქვე ჩავცუცქედი, მაგრამ უმალვე გული წამივიდა.

მთიელებმა შორიდან შემოურბინეს ნაპრალს, მომაბრუნეს და იმ ადგილას მიმიყვანეს, სადაც ცხვრის ფარა ჰყავდათ გაშლილი. ამაოდ ვარწმუნებდი, რომ მე ვითომ გამოქცეული ჯარისკაცი ვიყავი და ვცდილობდი, რომ მათთვის გზა-კვალი ამერია. მათ არ სჯეროდათ ჩემი სიტყვა, თურმე მათ ყურამდინაც მოეღწია ჩვენი გაქცევის ამბავს. შამილს თურმე მდევრები ყველგან დაედევნებინა ჩვენთვის, მთელი იჩქერი გადაებრუნებინათ, თვით დიდი ჩეჩენთიც კი, ალბათ ეგონათ, რომ ჩვენ გროზნოსკენ გეზს დავიჭერდით.

**როდესაც მივხვდი, რომ ჩემი განმარტებანი ვერას მიშველის, ავდექი და მათ ქრთამად ასი მანეთი შევაძლიე, იმ პირობით, რომ როგორმე სოფელ ჩერქამდე მივეყვანეთ.** ისინი თითქოს დამთანხმდნენ. ფეხები დამისივდა, როგორც ნალრძობი ადგილი, ისე მთლად, რადგანაც დიდი ხანია რაც წალებს გამოვეთხოვე, მაგრამ იმ იმედით, რომ მალე ჩემს ტანჯვას მოეღებოდა ბოლო, გავმხნევი და ტკივილებს არ ვიმჩნევი.

თუმცა უკუნეთი ღამე იყო და წვიმაც თავისას არ იშლიდა, მაგრამ როდესაც მეხელთის მთაზე ავედი, ადგილმდებარეობამ მიმახვედრა, რომ ჩვენ ბურთუნის მიმართულებით არ მივიდიოდი. ეს ადგილები ჩემს მახსოვრობაში მშვენივრად იყო აღბეჭდილი ჯერ კიდევ 1841 წლიდან, როდესაც გენერალ ფეხეს წინამძღოლობით ჩვენ გავიარეთ სალათის მთები.

— სად მიგყევართ? — შევეკითხე ჩემს გამყოლებს, მთიელებმა არაფერი მიპასუხეს, ეს ცუდ ნიშნად მივიღე.

გათენდა. ჩერქის ნაცვლად ჩემს წინ მეხელთი დავინახე. შორს



ზარბაზნის ხმა გაისმოდა. შემდეგ გავიგე, რომ გენერალ გრაბეს იჩქერის ტყისთვის თავი რომ გაენებებია, ახლა სოფელ ილალისკენ წამოსულიყო, რომელიც მეხელთიდან, ექვსი თუ შვიდი ვერსითაა დაშორებული. ეს მეორედ ვიყავი ასე ახლოს ხსნასთან და ჩემიანებთან. მაგრამ მეორეხელვე უნდა დავშორებოდი ამ სანუკვარ წუთს. ბედს თითქოს განგებ ყველაფერი ისე მოენყო, რომ დასასრული არ ჰქონდა ჩემს ამდენ ახეთქება-ჩამოხეთქებას, დაუსრულებელ აღმართებსა და ხევხუვებში ხეტი-ალს და იმედებიდან ახალ წამებაზე გადასვლას. **მეხელთაში მე კვლავ შემბორკეს და ისევ დარგოს გზას გამიყენეს.**

**ჩვენი გაქცევა მიზეზი შეიძლება იმისა, რომ შამილს მონაწილეობა აღარ მიუღია ილალის ლაშქრობაში. მან მათთან დაკავშირება არ დაუზომინა, რომ ჩვენ შევიპყარით. როდესაც ხმა დაირხა, რომ ჰოდოლოკონიკმა ვნაზანას მშვიდობით მიაღწია, ხოლო მე დარბოში დამაბრუნეს, შამილმა ილალი-ლევისათვისაც მოიტალა, მაგრამ გობალთაში უკვე ამბავი მოუვიდა გენერალ ბრახვის უკან დახვევის შესახებ და შინ დაბრუნდა.**

დარგოში ჩემი ტყვეობის თანამონაწილეებიდან მხოლოდ ცხრა კაცი დამხვდა. გადარჩენილიყო მხოლოდ პოდპოლკოვნიკი ს. თავისი ორი მსახურით. შამილის რისხვა უსაზღვრო იყო. პირველი მისი სიტყვა ის იყო, რომ ჩვენთვის თავები დაეყრევიანებინათ, მაგრამ ჩერქელი მურიდები წამოდგნენ და მოახსენეს:

— თავებს კი დავაყრევიანებთ, მაგრამ აქედან რა გამოვა? განა მთიელი ტყვეები არ გამოიპყარნენ რუსეთის ციხეებიდან? შეიძლება ამ ტყვეების თავში შენი შვილი გამოიმეტონ, ან შენი ძმისწული, ან რამდენიმე კეთილი მუსლიმანი.

შამილმა შესცვალა ბრძანება, მაგრამ ისეთი მძიმე პირობები შეგვიქმნა, რომ სიკვდილი გაცი-

ლებით უმჯობესი იყო. რამდენჯერ მინატრია ჯალათის ნაჯახი. მე სხვებთან ერთად დამბორკეს უზარმაზარი წისქვილის ჯაჭვებით. ეს ჯაჭვები ისე მძიმე იყო, რომ უნებურად უძრავად უნდა ვნოლილიყავი ცარიელ მინაზე, როდესაც საჭმელს გვაძლევდნენ, ჯაჭვებს ქვემოდან ხის ბოძებს შეუდგამდნენ ხოლმე, რადგანაც ყოვლად შეუძლებელი იყო წამოდგომა: არა ერთხელ ვუხმობდი სიკვდილს, როგორც უკანასკნელ ხსნის საყუდელს, კეთილისმყოფელს. ის რაც მაშინ გადამიტანია, ხორციელ და სულიერ ყველა ტანჯვას აღემატება, რაც მანამდე თავს გადამხდენია.

მაგრამ ღმერთი მოწყალეა. მან იცის საზღვარი ჩვენი ტანჯვისა, რომელსაც მაღლით მოგვივლენს ხოლმე, იცის ჩვენი უღელის სიმძიმეც, რომლის იქით ჩვენ მეტს ვერ ვზიდავთ. და აი ეხლაც გამოგვხედა.

**ივლისის დამლევს მოლაპარაკება გაიმართა ტყვეების გაცვლა-გამოცვლის შესახებ.** განთავისუფლების იმედმა კვლავ ფრთა შემასხა და ნახევრად ცოცხალ-მკვდარი ადამიანი ნელში გავსწორდი. ს-ს გაქცევამ შამილს იმედი დაუკარგა, რომ შვილის დაბრუნებას ოდესმე ეღირსებოდა. რაკი-ლა იცოდა, რომ ჩვენს თავში მის შვილს არ გამოიმეტებდნენ, შამილს გაგონებითაც არ უნდოდა გაეგონა კეთილი სიტყვა, ჩვენი განთავისუფლების შესახებ, მაგრამ აქ ბედი დაგვეხმარა. საბედნიეროდ თურმე თბილისში ტყვედ ჰყოლოდათ წაყვანილი ორი ჰაჯი: სალათელი შამხანდარი და სუგრათელი აბდურახმანი, რომლებიც **გულმოდგინედ სთხოვდნენ შამილს, იღონე რამე და ჩვენი თავი ტყვეებზე გადააცვლევიანო. უთვლიდნენ აგრეთვე ჩემზეც. ჩემი ნათესაობაც ფეხზე იდგა და შუამდგომლობას სძრავდა ჩემი უფროსებისა და შამილის წინაშე, სასყიდელს არ დავერიდებითო, ოღონდ ჩვენი ტყვე გამოიხსენითო. ამ გარემოებამ გასტეხა შამილის ჯიუტობა. ჩემს თავში მან მოითხოვა ხსენებული**

**იმ ორი მურიდის განთავისუფლება, აგრეთვე ზედმეტად კიდევ თერთმეტი სხვა კაციც. დანარჩენ ჩემთან მყოფ ტყვეებში სჯერდებოდა თორმეტი ტყვის განთავისუფლებას.**

ასეთი წინადადება არ შეინყნარეს თბილისში. შამილს ჩვენს თავში აღუთქვეს მხოლოდ ცამეტი მურიდის განთავისუფლება, რომელთა შორის ის ორი ჰაჯიც იყო მოხსენებული. შამილი თავისას არ იშლიდა, იქნებ ამ მოლაპარაკებიდან მართლა არაფერი გამოსულიყო, თუ კეთილ ჯემალედინის შუამდგომლობას არ გაეჭრა, როდესაც გაეგო, თუ როგორ ჯიუტობდა შამილი, მან წერილი მისწერა და სასტიკად გაჰკიცხა თავისი მონაფე, შენ შაირათს ჰქადაგებ და ასრულებით კი არ ასრულებო!

— შარიათში სწერია, — ატყობინებდა იგი, — რომ თვითეულ ტყვე მოლაზე შეიძლება ასი ურწმუნოს განთავისუფლება, და რომ, მაშასადამე, ორ მოლაზე, რომლებიც თბილისში ტყვეობას განიცდიან, შენ უყოყმანოდ უნდა მისცე ეს ტყვეები, მოვალე ხარ ასე მოიქცე...

**ამ მოლაპარაკებაში გადიოდა დღეები და ჩვენი ტანჯვა გვტეხავდა, მიხსნეულები უიმედოდ ცას შევყურებდით. დღითი დღე ვსუსტდებოდით, დღითი დღე ველოდით, რომ წამებაში ამოგვხედებოდა სული.**

ხსენებულ ჰახების ნათესავები წამოდგნენ შამილის წინაშე და მოახსენეს:

— ჩვენი ტყვეების სიცოცხლე განსაცდელშია, შეიძლება დაიხოცონ და მაშინ სამუდამოდ უნდა გამოვეთხოვოთ იმედს, ჩვენი ნათესავების ტყვეობიდან განთავისუფლების შესახებ...

როგორც მათი თხოვნა, ისე ჯემალის შუამდგომლობა, რომელიც თითონვე მოვიდა დარგოში და არა ერთხელ გვინახულებდა ხოლმე ჩვენ ხაროში, მე მამხნევებდა და თავდებობას მიწევდა, რომ ხსნა იქნებოდა, ბოლოს გადასწყდა: შამილმა ჩემი თავი გაიმეტა იმ ორს ჰაჯში, ამ ჰაჯების



ნათესავები პირობას სდებდნენ, რომ სიკვდილიდან მიხსნიდნენ, მშვიდობიანად მიმიყვანდნენ გუმბეთში, სადაც მოხდებოდა ტყვეების გაცვლა-გამოცვლა და უკანასკნელი პირობების შესრულება.

ამნაირად, სექტემბერში მე გავემგზავრე გუმბეთის საზოგადოებაში, სოფელ ყაღარში, სადაც საქმიანი მოლაპარაკება გაიმართა. მე დიდად დავალბული ვარ გენერალ-მაიორ ფონ კლუგენაუს მიერ, რომელმაც მამობრივი მზრუნველობა გამიწია, რომ ჩემი ხვედრი შეემსუბუქებინა და მალე გამოვეხსენი ტყვეობიდან. მის გულკეთილობას ჩემს სიცოცხლეში არ დავივიწყებ.

რანამს კლუგენაუმ გაიგო, რომ მე ყაღარში მიმიყვანეს, უმაღვე გამომიგზავნა ფული, ჩაი, შაქარი და სხვა. მე შემეძლო ტანისამოსი შემეძინა. საჭმელ-სასმელი გავიმუმჯობესე. თავისუფლების იმედმა გამამხნევა, ძალღონე შემმატა.

მაგრამ, შევხედოთ, მოლაპარაკებამ მოულოდნელად მკაცრი და არასასურველი მიმართულება მიიღო გენერალ მაიორმა თავადმა არლუთინ-დოლგორუკიმ, რომლის მეოხებითაც სწარმოებდა მოლაპარაკება შამილთან, ბრძანება გასცა, რომ ჩემს თავში მხოლოდ ერთ ჰაჯის გაიმეტებდნენ და რომ ამითი უნდა მოთავებულიყო მოლაპარაკება. სხვების ხსენება სულაც არ ყოფილა. შამილს სასტიკად ეწყინა ასეთი წინადადება, მოვიდა ჩემთან და მეუბნება:

— მე ერთი კაცი არ მენანება, დაე, ის ერთი დაილუპოს თბილისში, მეორეს კი აქ ტანჯვაში ამოხდეს სული.

ეს რომ სთქვა, ბრძანება გასცა, რომ ისევ დარგოში წავყვანეთ. სასონარკვეთილებით ეს ამბავი შევატყობინე გენერალ-ფონ-კლუგენაუს. მე ვიცოდი რომ პირველ წინადადების თანახმად შურში მოიყვანეს ცამეტი მურიდი ჩვენზე გადასაცვლელად. მე ვთხოვდი კლუგენაუს, იქნებ მოახერხოთ და როგორმე ამ მთიელების რიცხვს დაუმატოთ აგრეთვე

ცხრა ქალი, რომლებიც ტყვედ ახულოში წაიყვანეთ, და ამჟამად თემირ-ხან-შურში გყავთ დამწყვდეული-მეთქი.

— ამასთან ერთად, — დავასკვნინდი ჩემს შუამდგომლობაში, — **შეატყობინეთ შამილს, რომ ეს იქნებოდა თქვენი უკანასკნელი წინადადება. თუ შამილი ამაზე არ დასთანხმდება, მაშინ ხელს ჩავიქნევ და მთელს იმედს მარტო ღმერთს მივანდობ.**

**მაგრამ შამილის ბრძანება უბრალო სიტყვა არ იყო და ჩვენ ისევ დარგოს ხაროში გვიკრეს თავი. ამის შემდეგ არც შამილი და არც ჯემალ-ედინი აღარ გვინახავს. ისინი წავიდნენ ჩეჩნეთში, საიდანაც ამ დროს ყიზლარისკენ აწყობდნენ თარეშს.** შემდეგ წავიდნენ სოფლე შელში, სადაც შამილმა მესამედ იქორწინა ყაზიყუმუხელ აბდულას ქალიშვილზე. ეს აბდულა ჯერ კიდევ ერთმოლოვის დროს სახანოდან გამოსულიყო და ჩეჩნეთში გადასახლებულიყო. შამილთან დანათესავების შემდეგ იგი ერთი უძლიერესი და უბატოცვემულესი კაცი შეიქნა მთელს ჩეჩნეთში.

დარგში კვლავ ძველ ხაროში მომთავეს, იმავე უზარმაზარი ჯაჭვებით კინალამ სული ამომხადეს. სხეულის ტკივილებს დაერთო სულის საშინელი შფოთვა, ნალველი. ასე გაიარა თხუთმეტმა დღემ. ბოლოს შამილით დაბრუნდა დარგოში ჩეჩნეთიდან ჯემალ-ედინთან ერთად. სწორედ ამ დროს მან მიიღო წერილი გენერალ ფონ კლუგენაუსგან, რომელშიც იგი სწორედ იმ წინადადებით მიმართავდა შამილს, რომელიც თვითონ მე შევადგინე ჩემს მიწერილს ბარათში.

— მე მოვალე ვარ, — სწერდა კლუგენაუ შამილს, — დავიცვა ის ქალები, რომელთა ქმრებიც შენ შემოგვწინრენ.

ამ წერილმა და ჯემალის რჩევამ გასჭრა და შამილმა გადასწყვიტა მიეღო ფონ-კლუგენაუს წინადადება. ბოლოს, როგორც იყო, დადგა ეს მარად კურთხეული განთავისუფლების საათიც. ერთ საჭამოს ჯემალ-ედინი გაბრწყინებულ

ლი სახით მოვიდა ჩვენთან და ალტაცებით მეუბნება:

— ხვალ შენს სამშობლოში იქნები.

მეორე დღესაც მინახულა, თავისთან წამიყვანა და ჩაით გამიმასპინძლდა. შემდეგ ერთად წავედით შამილთან, რომელმაც გზა დამილოცა და მითხრა:

— ეხლა ჩვენ მეგობრები ვართ, ნათესავები... როდესაც გინდოდეს, მოდი სტუმრად. შენ აქ ჩემთან არავითარი საფრთხე არ გელის და ისე მიგიღებ, როგორც საკუთარ შვილს...

ასე მეგონა, დედამინაც ფეხქვეშ გამიქრა, თითქოს ცაში დავფრენდი. სიხარულმა გამომაცოცხლა. ბევრი რამ გადავიტანე გზაში, სიცივე, უტანსაცემლობა, უფესსაცემლობა, ქარბუქები, რომლებიც გზადაგზა თავს გვატყდებოდნენ გუმბეთამდე. მაგრამ რა მოსატანი იყო ყველა ეს, რაც ჩვენ გადავიტანეთ უკვე განვლილ ცხრა თვის მანძილზე. ეს მეოთხედ მივდიოდი ამ გზით, რომელსაც ანდიდან გუმბეთამდე მიყვავდით, მეოთხედ მივდიოდი ამ გზით, მაგრამ სულ სხვადასხვა გრძნობებით და განცდებით: წინად ხან იმედის სხივი მალეღვებდა, იქნებ მართლა თავი დააღწიო ტყვეობის მარწუხებსა-მეთქი, ხან მიმუხთლებდა ბედი და ისევ სატანჯველში მაგდებდა, ახალ-ახალ წამების გოლგოთაზე ასასვლელად. ეხლა კი მე თავისუფალი ადამიანი ვიყავი: უკან დავტოვე ყოველივე უბედურება, ტანჯვა-წამება, წინ კი სიხარული მელოდა, ბედნიერება და ახალი ცხოვრება ჩემს უტკბეს ნათესავთა შორის.

**და აი, ამ გრძნობებით აღელვებული, თბილი, მხურვალე ლოცვების აღვლენელი მე შევხვდი 28 ნოემბერს, სალათის მთებზე რუსის კომანდას. მათ ჩემზე გადასაცვლელად მოეყვანათ ცამეტი მურიდი და ზემოდ მოხსენებული ქალები, რომ თავის მხრით აქედან ჩვენი თავი ჩაებარებინათ რუსებისათვის სამშვიდობოზე გასაყვანად, მშობლიური კერის სახილველად.**





# შაშილი – თურქეთის სულთნისა და ინგლისელი კოლონიზატორების მოკავშირე

## მამხილაბელი დოკუმენტები

**1837 წ. 21 თებერვალი — თურქეთის მცხოვრებთა სარჩივარი როზანს მოუზარებ ჩოლოყავერის მიმართ, რომელმაც არ მიიღო სათანადო ზომები შაშილის ბანდებისგან მათ დასაცავად. სამის თემის ჩაღმა პირიქითის და გომენარტ თურქთ საზოგადოების უმდაბლესი მოხსენება.**

ამავე თებერვლის ოცს რიცხვსა მივიღეთ ჩვენ უებარი სამართლით ცნობა ისევე ჩვენის პირიქითელის თემის კაცისაგან, სახელდობრივ ლანიში ბორდიკისაგან, რომელიც ყოფილიყო ქისტეთში და აჩარა და ჭანჩი, სადაცა ენახა ურიცხვი ლეკისა და ქისტის ჯარი, სამ პირათ წამოსული ჩვენს სამს თემზედ, ჩვენის სოფლების ასაკლებად და წასახდენად, ჩვენის დანაშთომის სოფლებისა. და ამასთანავე მოგახსენებთ, რომელ ჩვენ ამდენ მტრებთა სადილობადინ სავლელი მეტი აღარა აქვს, ჩვენც ამგვარმა გაჭირვებულმა საქმემა გაგვაბედვინა ხუთის კაცის თუშის გამოგზავნა, სამნი თელავის ნაჩაღნიკთან — ჩვენი უბედურების საცნობელად და ორიცა თქვენს მაღალ აღმატებულებასთან პირდაპირ, ამა ჩვენის სამის თემისაგან აზრითა, რომელითაცა გთხოვთ ჩვენს ამდენ საცოდაობას და ქრისტიანეთ დაღუპვისათვის პატრონობა და მამობრივი მფარველობა მოილოთ და ჯარიც მოგვაშველოთ საჩქაროდ.

ამაზდა გარდა, ჩვენო ხელმწიფე და პატრონო, ჩვენი მეორე მოხსენება და ვედრება ეს გახლავთ რომა ჩვენის ორი სოფლის დახოცვა და დატყვევებისა მიზეზი ჩვენი მოურავი მიხეილ ჩოლოყოვი არის. ესე რომელ გავლილს დეკემბრის ოცდა ათსა შემოვიდა ლეკის ჯარი და ქისტისა, ჩვენის მოურავისაგან შემორიგებული იმ სოფლებითგან — ჩვენს სოფლებს



იმაშ შაშილი

— დიკლოსა და შანაქოში. იანვრის პირველში საჩქაროთ გამოგზავნეთ კაცი ჩვენს მოურავ მიხეილ ჩოლოყოვთან მოსამველებლად დიკლოსა და შანაქოსათვის. რა გავიდა იანვრის ოთხი დღე მოემატა ლეკის ჯარსა და მსწრაფლადვე გამოგზავნეთ კაცი. ჯარების მომატება და შემწყვეთევა და ციხეებში და სახლებში. რა ვნახეთ ჩვენის მოურაველობა, მესამეთაც გამოგზავნეთ ექვს იანვარს შევიწროება და იქამდინ მიხვენა, თუ სამსა და ოთხსა დღესა არ მოგვეშველები უთუოდ ამოგვწყვეტენო და ტყვეთ წაგვასხამენო, რა მოვიდნენ ჩვენი გამოგზავნილი კაცი გაუწყრა: როგორ ბე-

დავთ აგრე ჩქარ ჩქარა მოსვლას რომ მანუხებთო. დაიჭირა და მრავალი სცემა იმა გამოგზავნილთ ჩვენთან თუშებთ, რა იმედი გადვინყვიტეთ ჩვენის მოურავისაგან მოურველებლობაზედ, რაოდენიცა შეიძლებოდა ვზოცეთ ლეკნი ციხეებიდგან და სახლებითგან. რა მოგვცეს ცეცხლები, რაც თოფის ამღებნი თუშნი იყვნენ, მანამ ერთიან არ დაიხოცნენ, თავიანთ ცოლშვილი არ დაანებეს. როდესაც გაგვტყუეს, მამაკაცი გასწყვიტეს, დედაკაცი და ყმანვილები ტყვეთ წაასხეს ორასი სული, მკვდარი და ცოცხალი. რაოდენი ქონება წაიღეს — ამისი მოხსენება შეუძლებელი არის, გავბედავთ თქვენს მაღალ აღმატებულებასთან ჩვენის მწუხარების მოხსენებასა და განგიცხადებთ: ჩვენი დახოცვა და დატყვევება ყოველივე ჩვენის მოურავის მიხეილ ჩოლოყოვისაგან მოხდა ესრეთ რომელ, როდესაც ოცდა ათს დეკემბერს ჯარი შემოვიდა დიკლოში, ოთხჯერ ვაცნობეთ რათამ მოგვეშველებოდა, რომელმანცა, თვით მიხეილ ჩოლოყოვმან, ორასი შეყრილი თუში გზიდამ დააბრუნა, საჭირო არ არისო და გამოგზავნილი კაციცა გაგვილახა. მერე თორმეტი დღე უძელით დიკლომ და შანაქომ. რატომ არ მოგვეშველა? თუში იყო აღვანში, მრავალნი კახნიც მომზადებულნი. თქვენსმეტს იანვარს მოვიდა თუშეთში ჩვენი მოურავი, როდესაც ორივე სოფლები დამწვარი

დახოცილი და ტყვეთ ნაყვანილი იყვნენ.

თქვენო მაღალაღმატებულე-ბავ! შევიტყვევით ვითომც ჩვენ მოურავს გამარჯვების და ლეკების დახოცვისა წარმოედგინოს წინაშე თქვენსა. ესე ხმა. ჩვენთვის დიდათ საწუხარი არის და ამისთვის გავბედეთ დაწვრილებით მოხსენება. თორმეტს იანვრამდის, მანამ დიკლოსა და შანაქოსა აიღებდნენ და მამაკაცი დაიხოცებოდნენ, ბევრი ლეკი მოვკალით, თუმცა ექვსმეტს რიცხვსა იანვრისასა გადმოვიდა ჩვენი მოურავი, ძალათ ნაჩაღნიკისაგან გამოგზავნილი, რაოდენიმე ასის კაცით და დადგა ათს ვერსზედ, სანამ ლეკი ჯარი შემამდგარი იყო ჩვენ სოფლებზედ. ჩვენის მოურავის იქ ყოფნაში თორმეტი დღე გვადგა ლეკის ჯარი. ამ ხსენებულს თორმეტს დღეში მოურავისაგან და არც იმის მოყვანილის კაცისაგან არავითარი ომი არ მომხდარა და არც ლეკი მომკვდარა. გამარჯვებას როგორ ბედავს, უკეთუ ჩვენის მოურავისაგან შემწეობა გექონოდა ან გაემარჯვნა, მაშ მზევლები რალათ მიგვაცემინა, დღესაც დაღისტანში ტყვეთ არიან!

ახლა ჩვენი უკანასკნელი თხოვა და მოხსენება ეს არის: ამდენის სულის ხალხისა დახოცვისა და ტყვეობის მიზეზი ჩვენი მოურავი მიხეილ ჩოლოყოვი არის და მთავრობის მომტყუებელი. „ქისტეთი შევირიგეო“ — საჩუქარი დაურიგა. მისგან შერიგებულთ ქისტთ, უმეტესათ დაგვხოცეს და დაგვატყვევეს, სადაც ახლა ისევ ისინი არიან შეყრილნი ლეკებითურთ ჩვენზედ წასახდენად.

თქვენო მაღალ აღმატებულე-ბავ! ვკვირობთ, რას მიზეზისათვის მოგვცა ხელმწიფის ყმანი და ქრისტიანენი სულნი ესეოდენსა დახოცვასა და ტყვეობაში? რაოდენთა სულთა უნდა თავისი სარწმუნოება დააგდონ! და ან ვილაცა გვაქვს შეძლება მათის დახსნისა ტყვეობიდან, რომელიცა არცა მეფეთა დროთა და არცა რუსეთის მთავრობაში არ წამხვდარვართ. დიდოცა, ლეკიც და ქისტიც

გუნიზი, დაღესტანი, დაახლოებით 1910 წ.



მრავალჯერ ყოფილან გამდგარი, რომ ჩვენთვის არავის რა დაუკლიათ რა და არც წამხდარვართ. ეს უბედურება მოურავისაგან მოგვევლინა, თავ შეუდებულობის გამო, ამისთვის ვითხოვთ თქვენის მაღალ აღმატებულებისაგან, რომელ საჭიროებისათვის ჩვენ ის მოგვცეთ და დაგვინიშნოთ ასეთი კაცი მოურავად, რომ იყოს მცოდნე ჩვენის ჩვეულებისა და აქაურის გარემოებისა, რომელმანცა გაამაგროს თუშეთი და ამაზე მეტად აღარ წახდეს. ჩაღმა გომენარი და პირიქითის თემებით მოგახსენებთ.

**ჩელზ-სა წელსა თებერვლის კა-სა რიცხვსა.**

\*\*\*

**1837 წ. 27 თებერვალი — თუშეთის მცხოვრებთა საჩივარი ჭარ-ბელაქნის ოლქის უფროსს, გენერალ-მაიორ, თავად სეპარსამიძეს მოურავ ჩოლოყაევის მიმართ, რომელმაც არ მიიღო ზომები შამილის ბანდებისგან მათ დასაცავად.**

**ჩაღმა თუშების მიერ მოხსენება.**


ოცდა ათს დეკემბრის თვისასა შემოვიდა რა ჯარი ლეკისა სოფელსა დიკლოსა და შანაქოსა,

რასაც დროს ჯარი შემოვიდა, მაშინვე კაცი გამოგზავნეთ მოურავს მიხეილს ჩოლოყოვთან შესატყობინებლად და ეცნობებინათ კიდევ რომელ, რათა წამოსულიყო ჩვენს მოსაშველებლათ და არ წამოსულიყო. კიდევ ოთხი დღის შემდგომ გამოგზავნეთ კაცი კიდევ მოურავთან, მოგვეშველეთ თორემ აგვიკლეს ლეკებმა. რომ არ მოვიდა ვენი მოურავი თორმეტ დღემდინ უძელით; თორმეტ დღეში ოთხჯერ კაცი გაუგზავნეთ მოურავს და კიდევ არ მოვიდა. რაკი აღარ მოვიდა, მაშინ ერთიანათ მოგვცეს ცეცხლი და სულ ერთიანად აგვიკლეს, რომელიც ორასი სული კვდარი და ტყვე ნაყვანილი არის. საქონელი, სახლიც ავეჯეულობა სულ ერთიანთან წაიღეს, და ეგრეთვე სახლებიც დაგვინვეს. თუმცა ჩვენი მოურავი გადმოვიდა მეთექვსმეტე დღეს, მაშინ სულ ერთიან წახდენილ ვიყავით მის ლეკთაგან. ჩვენი საჩივარი ეს გახლამთ: ამ ჩვენს დაწვასა-დაღუპვასა სულ ერთიან ჩვენს მოურავს ვაბრალებთ. აი ამ სახით, როდესაც ჩვენი მეორე კაცი მიუვიდა, მაშინ შეყარა წოვა თუშნი ორასი მეტი და ეს თუშნი გზიდამ დაებრუნებინა — საჭირო არ არისო იქ ჯარის გაგზავნაო. როდესაც ჩვენი ჯარი შემოვიდა,



იქიდან დაწყებული, ვიდრე თექვესმეტს იანვრამდინ, როგორც კახეთში არ იყო თოვლი, ისე თავზერამთვენს ხანსაც ჩვენ ლეკებს უძელით, იმ თქვენ ხანში რომ მოენდომებინა, მაშინვე ჯარით მოვიდოდა, ლეკებსაც დავამარცხებდით. თუმცა ჩვენი მოურავი გადმოვიდა რამდენიმე კაცი, მაგრამ ისიც ნაჩაღნიკს გამაგედო ძალათ. ან კი რისთვის მოვიდა. მინამ მხევალი არ მივეცი თქსი სული, მინამ სოფლის შანოქოდამ ჯარი არ გავიდა, ჩვენი ექსი მხევლის მიცემა ვირჩიეთ, მინამ სოფლის შანაქოს ერთიან ნახდენას. მთელი ერთი თვე გვედგა ის იმტოლა დიდი ჯარი. და იმასთან კიდევ მოგახსენებთ თქვენს ბრწყინვალეობას, რომელ როცა ჩვენ კაცი გამოვგზავნეთ მოურავთან მოსაშველებლათ.

მოშველების მაგივრად ის კაცებიც დაგვილახა და როდესაც მოურავი მოვიდა, მაშინ არცარა ომი მომხდარა და არცარა დახოცილა არც ჩვენგან და არც იმათკენ. რაც ლეკები დაგხოცეთ მინამ მოურავი მოვიდოდა. ციხეებში ვიყავით სახლებში გამაგრებულნი და ისე ვხოცდით. თქვენ ბრწყინვალეობას მოგახსენებთ, თუშეთის კლიტე დიკლო და შანაქო იყო. ეს სოფლები ნახდა. თუ ერთი ღონისძიება არ მოგვეცა, დანარჩომი ხალხს, ჩაღმას და გომენარს თემებს, არ შეგვიძლიან იქ დადგომა, რადგან ჩვენმა მოურავმა მიხეილ ჩოლოყომა იმისთანას უბედურებაში მიგვცა და მთავრობაც მოუტყუა, რომელ ქრისტები შევირიგეო. თვით იმ ქისტებმა უარესი გვიყვეს და იმათი ჯარიც ბევრი იყო. უკანასკნელნი ჩვენი მოხსენება ეს არის თქვენ ბრწყინვალეობასთან, რომ თავრობასთან გვიშუამავლო და მოწყალება მიიღოთ, რომელ ასეთი კაცი მოგვცენ, რომ ჩვენი მოვლა შეეძლოს, რომელიც თავის დღეში თუშეთი ასრე არ ნახდენილა უპატრონობით. და მასაც გთხოვთ, ჩვენი ესრეთი უპატრონობითი ნახდენა თავრობას აცნობოთ. ჩვენ აღმორჩეულნი თუშის სა-



**შაჰილის ჰარამის ბაზა (1843-1844 წ.წ.), რომელიც რუსულმა დაზვერვამ გაშინ ჩაიგდო ხელთ, როცა შაჰილმა ის თურქეთის სულთანს გაუგზავნა.**

ზოგადობისაგან ხელს ვანერთ: ივანე მოზაშვილი, გიორგი მგელიშვილი, ბეყო შარეძე, გაზა ქიტიშვილი, ნაყიდა გიორგიშვილი. რადგანაც მათ წერა არ იცოდნენ, მათის თხოვნით და ხელის ჩამორთმევით ხელს ვანერ მე ივანე ოქრომჭედლიშვილი.

**წელსა ჩელზ თებერვლის (იზ)**

\*\*\*

**1836 წ. 1 მაისი. — სამხედრო მინისტრ ჩარნიშვიის მიმართვა კავკასიის კორაჟის უფროსს მთიელთა შორის ინგლისელი ემისარების საქმიანობის აღსაკვეთად გადამწყვეტი ზომების მიღების შესახებ, №238**

**საიდუმლოდ**

შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროზე მოქმედი რაზმის მეთაურმა, გენერალ მაიორმა რაევსკიმ, მისთვის მიცემული ბრძანების შესაბამისად, წარმომიდგინა ან განსვენებული გენერალ-ლეიტენანტ ველიამინოვისადმი შეტყობინება მათ მიერ წინასწარი ზომების მიღების თაობაზე მოსალოდნელ ექსპედიციასთან დაკავშირებით, და თქვენი უდიდებულესობისადმი პატაკი მათ მიერ შეგროვებული ცნობების თაობაზე, რომელიც მთიელთა შორის

მყოფი ინგლისელი აგენტებს შეეხება. ეს ცნობები შეესაბამება ყველა თანამედროვე ცნობას, ჩვენამდე მოღწეულს ამ აგენტთა მოქმედებისა და ძიების თაობაზე, წარმოადგენს ახალ მტკიცებულებებს ამ ადამიანთა უტყუარ საქციელისა მათი დანაშაულებრივი ჩანაფიქრის კვალდაკვალ და რამდენადაც მათ წინააღმდეგ აქამდე გატარებული ღონისძიებები უშედეგო იყო, მეფე-იმპერატორმა მიმართა გენერალ-მაიორ რაევსკის მიერ შემოთავაზებულ უკიდურეს ზომებს, რომლებიც უნდა იქნას მოყვანილი სისრულეში შემდეგი მიზეზების გამო:

1. აღნიშნულ აგენტებს ეცნობოთ, რომ მთებიდან დაბრუნებისთვის ეძლევათ ორთვიანი ვადა, რომლის გასვლის შემდეგ, თუ ისინი ამ წესს დაარღვევენ, ჩაითვლებიან საზოგადოებრივი წესრიგის დამრღვევებად და მათ კანონი არ დაიცავს, ისინი ჩაითვლებიან დამნაშავეებად. იმპერატორის კაცთმოყვარეობიდან გამომდინარე, მათი ცოცხლად შეპყრობის შემთხვევაში დაწესებულია მნიშვნელოვანი ჯილდოები, დაახლოებით 500 ჩერვონეცი თითოეულზე;

2. იმისათვის, რომ აგენტებს მთებში დამალვის გაფიქრების საშუალება კი არ მიეცეთ, აღ-



ნიშნული ვადის დამთავრებისთანავე მათ შესახებ გავავრცელოთ განცხადებები;

3. თუკი აგენტთა შორის ვინმე ცოცხლად იქნება შეპყრობილი, ჩამოერთვას მას ჩვენება მთებში მისი საქმიანობის თაობაზე, იმ წესებზე და მეთოდებზე, რომელთაც ისინი იყენებენ თავიანთი ჩანაფიქრის განსახორციელებლად. მანამდე კი გენერალ-მაიორი რაევსკი განკარგულებას გასცემს მათი უმკაცრესი დაცვის ქვეშ ყოლის თაობაზე, ვიდრე არ მიიღებს ზემოდან სათანადო მითითებებს.

გენერალ-მაიორ რაევსკისათვის ამ უდიდესი როლის დაკისრების გამო, პატივი მაქვს, გაცნობოთ პირადად, ამასთან უმორჩილესად გთხოვთ, გარკვეული თანხა გაიღოთ ამ საქმის გასაკეთებლად.

\*\*\*

**1840 წ. 20 ივლისი — შავი ზღვისპირეთისა და კავკასიის საზოგადოებრივი მოქმედებათა შურნაღიდან.**

**13-დან 20 ივლისამდე**

შავი ზღვისპირეთის სანაპირო ზოლის პირველი განყოფილების უფროსი, კონტრ-ადმირალი სერებრიაკოვი თავის 28 ივნისის №1357 პატაკში იტყობინება, რომ მასთან მისულმა ერთმა მთიელმა განუცხადა, რომ კონტრაბანდუ-

ლი ხომალდი ივნისის პირველ რიცხვებში მიადგა ნაპირს ტუაფსესა და პიზუაპეს შორის, მოგუბსოს ხეობაში და ნაპირზე გადმოსხნა ორი ინგლისელი, რომლებიც გაჩერდნენ ხამბულატ-ოლის სახლში.

ვლადისლავსკის კომენდანტი, პოლკ. შიროკოვი 4 ივლისის №640 შეტყობინებაში აღნიშნავს, რომ, ლაზების ცნობით, შამილმა დაკარგა შატოელებისადმი ნდობა, ნამოვიდა მათგან თავისი ოჯახით ივნისის დასაწყისში ჩეჩნეთის სოფ. დაჩუბარიაპიში და, რაკი არც ჩეჩნებს და ყარაბულახებს ენდობოდა, იქაც მცირე ხნით დარჩენას აპირებდა. მას განზრახული აქვს მრავალი ადგილი მოიაროს და ააფორიაქოს ადგილობრივი მცხოვრებლები. შატოელებისგან მან 300 თოფი წამოიღო, მას თან ახლდა მხოლოდ 20 მიურიდი...

\*\*\*

**1840 წ. 29 სექტემბერი — შავი ზღვისპირეთისა და კავკასიის საზოგადოებრივი მოქმედებათა შურნაღიდან.**

**21-დან 28 სექტემბრამდე**

ჩრდილოეთ და მთიან დაღესტანში ჯარების მეთაური, გენერალ-მაიორ კლიუკი-ფონ-კლუგენაუ მოახსენებს 9 სექტემბრიდან, რომ 8-ში ღამით შამილი თავისი ჯგუფით მდინარის მარჯვენა ნაპირს გაუყვავა სოფ. ახატლოში და გაეშურა გიმრისკენ. ქვეითები კი იქედან გაგზავნა ჩერკატის გავლით, სადაც მათ უნდა შეერთებოდნენ სხვა მთიელები.

მას ასევე უნდოდა სოფ. უნცუკულის განადგურება, თუკი ის ნებაყოფლობით არ დანებდებოდა. სხვა მიღებული ცნობებით, მათ გიმრი დაიკავეს იმავე რიცხვებში; მისი მიზანი ნამდვილად იყო, თავს დასხმოდა ავარიის სოფლებს. ამ ცნობების მიღების შემდეგ გენერალ-მაიორმა კლიუკიმ მიიღო ზომები, რომ შებრძოლებოდა მას აფშერონის პოლკის რვა ასეულით.

კავკასიის ხაზის მარცხენა ფლანგის უფროსი, გენერალ-მაიორი ოლშინსკი 9 სექტემბერს იტყობინება, რომ შამილმა გიმრში წასვლის წინ განიზრახა, გაეძარცვა ყველა იმ ჩერქეზთა სახლები და ბალები, წაერთმია მათთვის ქონება, ვინც ჩვენს მხარეს გადმოვიდა, მაგრამ მოსახლეობამ მათ ამის განხორციელების საშუალება არ მისცა. შამილი იძულებული გახდა, გადაედო თავისი განზრახვის სისრულეში მოყვანა გიმრიდან დაბრუნებამდე.

\*\*\*

**1840 წ. 26 ნოემბერი — შავი ზღვისპირეთისა და კავკასიის საზოგადოებრივი მოქმედებათა შურნაღიდან თურქეთიდან შავსუბთა მეთაურის მიერ ორი ძველმისა და 20 თურქის ჩამოყვანის თაობაზე**

მარჯვენა ფლანგის უფროსი გენერალ-მაიორი ზასი 18 ნოემბერს იტყობინება, რომ შავსუგებთან დაბრუნდა მათი მეთაური კაზაერასოვი, რომელმაც თან მოიყვანა 20 თურქი და დიდი კალიბრის 2 ქვემეხი, რომელთაგან ერთი დაზიანებული იყო, მეორე კი კარგ მდგომარეობაში. შავსუგები მიმართავენ აბაჯეხებს, საერთო ძალით შეუტიონ მდ. შავსუგთან გენერალ-ადიუტანტ გრაბეს სიმაგრეს.

წ

# ფოტოები, არასოდეს კველდება...

ცნობილი და სახელოვანი ადამიანების საოჯახო ალბომების დათვალიერება არასოდესაა მოსაწყენი, მითუმეტეს, თუ იქ ისეთ ძველ ფოტოებს ვაწყდებით, რომლებიც არა მხოლოდ საკუთარი ოჯახის, არამედ, შეიძლება ითქვას, საზოგადო ისტორიას ქმნის...

დღევანდელი ჩვენი სტუმარი გახლავთ ძალიან ცნობილი ადამიანი, მხატვარი **გივი თოიბა**. მისი საოჯახო ალბომის დათვალიერებისას ბევრ ისტორიულ ფოტოს ვაწყდები...

ბატონი გივის პაპა დიდი მხატვარი მოსე თოიბეა. მოსე თოიბე თავის დროზე ილია რეპინის სახელოსნოში სწავლობდა და საქარ-



მოსე თოიბა და გივი თოიბა კველ თბილისში ეტიუჯო



მხატვარი გომი თაგორაშვილი, კოტე კიკნაძე (წარმწერი), გომი თოიბა, ნიკოლოზ კანდელაკის ძალიშვილი, ნიკოლოზ კანდელაკი, ირაკლი თოიბა, ილო კერესელიძე, ქვემოთ — გივი თოიბა და გივი თოიბა.



სტუმრად ლადო გუდიაშვილთან — ნიკოლოზ ჩერაქიანი, დინარა ნოდია, ბურაბ (ხიტა) ქუთათელაძე, ლადო გუდიაშვილი, გივი თოიძე, ზურაბ ნარაძე, თინათინა ფრიაკა

თველოსა და ყოფილი საბჭოთა კავშირის პირველი სახალხო მხატვარი და სსრკ სამხატვრო აკადემიის წევრი იყო. როგორც ბატონი გივი იხსენებს, იგი დიდ დროს ატარებდა პაპასთან, პაპაც ბევრ რამეს ასწავლიდა პატარა გივის — როგორ უნდა ეხატა, როგორ დაუფლებოდა ფუნჯის ხელოვნებას და ა. შ. ბატონი გივი აღნიშნავს, რომ პაპა მასში რაღაც საკუთარს, შეიძლება ითქვას, თავის თავსაც კი ხედავდა, გივის ხელოვნებაში კი — იმ თავისებურებებს, რომლებიც მხოლოდ თოიძეებს ახასიათებთ. ერთხელ მას ჩემი ეტიუდები მიუტანეს, იხსენებს ბატონი გივი, როცა მოსე პაპას ამ ნამუშევრებისთვის დაუხედავს, უთქვამს: თავისუფლად ვიტყვოდი, რომ ეს ჩემი ნამუშევრები იყო.

ძალზედ დიდი იყო პაპის გავლენა პატარა გივიზე. ამის თაობაზე ბატონი გივი თოიძე აღნიშნავს: „თუ კი რამ ვიცი, ყველაფერი მოსე თოიძემ მასწავლა, დღეს ვინც

ვარ და რასაც წარმოვადგენ, ესეც მისი დამსახურებაა, მიყვარდა მასთან ერთად სეირნობა თბილისის ქუჩებში და „დაბახანის“ ხატვა. როცა პაპა გარდაიცვალა, ყველანი ერთად ვიყავით, მაგრამ მე არავინ მივუშვი მასთან. ჩემი ხელით გავაპატიოსნე პაპაჩემი და ამით თითქოს რაღაც მცირედით მაინც მადლობა გადავუხადე ჩემთვის განეული ღვანლისა და სიყვარულისთვის“.

ბატონი გივი არც თავის სახელოვან ბიძებს ივინყებს: გამოჩენილ მოქანდაკე გოგი თოიძესა და ასევე ცნობილ მხატვარ ირაკლი თოიძეს.

„ბიძაჩემი, გოგი თოიძე, ცნობილი მოქანდაკის, ნიკოლოზ კანდელაკის, მოსწავლე გახლდათ. კანდელაკის მსგავსი მოქანდაკე მსოფლიოში რამდენიმე შეიძლება არსებობდეს. ერთხელ მან სახლში მიგვიწვია, განსაკუთრებული არაფერი ხდებოდა, უბრალო სადილი იყო. ამ დროს მას მეგობრებიც ესტუმრნენ და უბრალო

სადილი ნადიმად გადაიქცა. ჩემი ორივე ბიძა იქ იმყოფებოდა და შექეიფებულებმა სამახსოვრო ფოტოებიც გადავიღეთ. მაშინდელი საუკეთესო მხატვარ-მოქანდაკეები ჩემთვის უფროსი თაობის მეგობრები არიან, რითაც ძალიან ვამაყობ. მე მათგან ბევრი რამ ვისწავლე“, — აღნიშნავს ბატონი გივი.

„რაც შეეხება ბიძაჩემ ირაკლის, საქართველოსა და საბჭოთა კავშირში ცნობილი იყო თავისი ნამუშევრებით. არაერთგზის მიენიჭა სხვადასხვა ჯილდო და ორდენი, მაგრამ 1941-45 წლებში მისმა ნამუშევარმა „დედა სამშობლო გიხმობს!“ მას მსოფლიოში გაუთქვა სახელი“, — ამაყად აცხადებს ბატონი გოგი.

„მხატვრები ხშირად ვიკრიბებოდით ბატონ ლადო გუდიაშვილთან, ვსაუბრობდით, ბევრ რამეს ვსწავლობდით მისგან. გუდიაშვილსაც უყვარდა, ბევრი სტუმარი რომ ჰყავდა ხოლმე შინ. არასოდეს იშურებდა არც თავს



ელენე ახვლედიანი



გივი თოიძე ეტიუდზე სიღნაღში

და არც საკუთარ ცოდნასა და გამოცდილებას, ახალბედა მხატვრისთვის. ისიც მსჯელობდა ჩვენსავით და ამ მსჯელობაში ჭეშმარიტება იზადებოდა. საუკეთესო ქართველი მხატვრების დიდი ნაწილი ბატონი ლადოს მეგობრები და მისი მოსწავლეები არიან“.

ბატონი გივი თოიძე ასევე დიდი სიყვარულით იხსენებს ქალბატონ ელენე ახვლედიანს და მას მოფერებით „ელიჩკათი“ იხსენიებს:

„ელენე ახვლედიანმა ქართველ მხატვართა ჯგუფი შექმნა, იმ დროისათვის მე სულ ახალი დამთავრებული მქონდა სამხატვრო აკადემია. ერთი სიტყვით, ქალბატონ ელენეს უნახავს ჩემი ნამუშევრები და ამ ჯგუფში მიმიწვია. დავდიოდით მთელი საქართველოს მასშტაბით და ვხატავდით, ახალ ნამუშევრებს ვქმნიდით. მამაკაცებიდან პეტრე ბლიოტკინი, ლეოპოლდ ძაძამიძე, ტრდატი და მე ვიყავით, მანდილოსნებიდან კი — ნატუსია ფალავანდიშვილი, ცისია შანშიაშვილი, ქალბატონი ელიჩკა და სხვანი. ერთხელაც, გადაწყდა და სიღნაღ-

ში წავედით — შესანიშნავი იყო, უმშვენიერესი პეიზაჟი იშლებოდა, დილით გავდიოდით და საღამოს გვიან შემოვდიოდით შინ. მამაკაცები პირველ სართულზე ვიყავით, ქალბატონები კი — მეორეზე. მოსვენება გვინდოდა, მაგრამ ისე ხდებოდა, რომ ქალბატონები გვიანობამდე ხმაურობდნენ, თან ზემოთ-ქვემოთ გაუთავებლად დადიოდნენ და ხმამალლა საუბრობდნენ. ყოველ ღამით ერთი და იგივე მეორდებოდა. ჯერ ბლიოტკინი ან რომელიმე იტყოდა, რომ ხვალ აუცილებლად ეტყოდა საყვედურს ელენეს, მაგრამ ელიჩკას დანახვაზე ფერი მისდიოდათ და უკანვე ბრუნდებოდნენ ოთახში, რადგან ქალბატონ ელიჩკას საოცრად კეთილი გული, მაგრამ ფეთქებადი ხასიათი ჰქონდა. ერთხელაც მე ვუთხარი ერთ-ერთ ქალბატონს, — რას დადიხართ და ხმაურობთ ამდენს-მეთქი და, ეტყობა, მან ეს ამბავი ელენეს უთხრა. გათენდა, პირს ვიბან, მეორე სართულიდან კი ვილაც მეჩხუბება, ზემოთ ავიხედე და ელიჩკა შემრჩა. გავბ-

რაზდი, აქ გამჩერებელი აღარ ვარ-თქო, მივაძახე და შევბრუნდი ოთახში, დავინყე ნივთების ჩალაგება. ცოტა ხანში ელიჩკამ მიხმო. რას ჩადიხარო, — მეუბნება, ამათთან გინდა დამტოვო და ხუმრობა-ხუმრობით დამიყოლია, რომ დავრჩენილიყავი. შემდეგ კი ისევ სამუშაოდ წავედით. ქალბატონმა ელიჩკამ თქვა — გვიმ კარგად იცის კახეთიო და მან წაგვიყვანოსო. მეც მეტი რა მინდოდა, მძლოლს ვუთხარი, სადაც გეტყვი, იქ წადი-მეთქი და ღვინის ქარხანაში წავედით. აქაც წავკინკლავდით მე და ქალბატონი ელიჩკა. მე ვუთხარი, თქვენ მშრომელების დახატვა გნებავთ და ამათზე მშრომელ ხალხს სად ვნახავთ-მეთქი. მოკლედ, დამსაჯა კიდევ, ერთი მეღვინე კაცი ამოარჩია და ეს უნდა დახატო, მითხრა. კი, ბატონო-მეთქი, ვუთხარი. შემდეგ წნორში ჩავედით, ტიბაანში. იქაც ბევრი ღვინის ქარხანაა და ერთი სიტყვით, იმ დღეს კარგად შექეფიანებულები დავბრუნდით უკან“.

იკა კახიანი

ნონა გაფრინდაშვილი:

# ჩემს სსოვრებაში ვერ მოქაზნიან ვერაფერს, ჩითას შეიძლება ზიანი მიაყენონ ჩემს სახელს

1962 წელს, ზუსტად 50 წლის წინათ, ქართული პრესა ამაყად იუნყებოდა: „დღეს, შუადღისას ელვის სისწრაფით გავრცელდა ნონა გაფრინდაშვილის დიდი გამარჯვების ამბავი. საჭადრაკო სამყარო აღტაცებით შეეგება მსოფლიოს ახალ ჩემპიონს“.

ბრწყინვალე ტრიუმფი, რომელსაც შემდეგ ბევრი სხვა წარმატებაც მოჰყვა, სპორტის დიდოსტატს შეუქცევადი წინსვლის ნიშანსვეტად ექცა; 1965, 1969, 1972 და 1975 წლებში ქალბატონი ნონა ისევ დაეუფლა მსოფლიოს პირველობას...

თუ რა სირთულეებს უკავშირდებოდა ეს ყველაფერი და როგორი იყო გზა, პირველი ნაბიჯებიდან დიდების მწვერვალამდე, ამას ჩვენი მკითხველი უფრო დეტალურად თავად ნონა გაფრინდაშვილისგან შეიტყობს.



— ზუგდიდში, სადაც დავიბადე და გავიზარდე, ასე ვთქვათ, საჭადრაკო გარემო არ იყო; არ არსებობდა არც წრე და არც რამე სხვა სახის დაწესებულება, სადაც შეიძლებოდა, ბავშვი მიგეყვანა და დაუფლებოდა სპორტის ამ სახეობას. ოჯახში ოთხი უფროსი ძმა მყავდა და, რასაც ისინი თამაშობდნენ, მეც იმით ვერთობოდი. ასე ვისწავლე ჭადრაკი; დროთა განმავლობაში ძმებთან თამაშით რაღაცას მივალწიე. ბოლო ადგილზე არასდროს გავდიოდი. ეს საქმე მიყვარდა და მაინტერესებდა, ამიტომ, რასაც ვაკეთებდი, დიდი მონდომებით ვუდგებოდი.

1953 წელს (თარიღი თუ სწორად მახსოვს) ზუგდიდის გუნდს უნდა მიეღო მონაწილეობა საქართველოს ჩემპიონატში, რომელიც ბათუმში ტარდებოდა. გუნდში სჭირდებოდათ გოგო, ხოლო ჩემი ერთ-ერთი ძმა, თამაზი, უნდა ყოფილიყო პირველი დაფა ამავდევ გუნდში. მათ იცოდნენ, რომ მე ჭადრაკს ვთამაშობდი, ამიტომ დაინყეს მოლაპარაკება ჩემს მშობლებთან ტურნირზე გასაშვებად. საბოლოო ჯამში მე წავედი

შეჯიბრებაზე და ჩემი ძმა დარჩა, იმიტომ, რომ იმ წელიწადს დაამთავრა სკოლა და, ვინაიდან უმაღლესში ჩასაბარებლად ემზადებოდა, ვერ მოიცალა.

სანამ ბათუმში ჩავიდოდით, მატარებელში ჩემს თანაგუნდელებს ვეთამაშე და, გადაჭარბებაში ნუ ჩამომართმევთ, მაგრამ გაოცებულები დარჩნენ. ვერ წარმოედგინათ, რომ უკვე გარკვეული დონე მქონდა. ჯამში ზუგდიდის გუნდი კარგად გამოვიდა იმ ჩემპიონატზე, მეხუთე ადგილი დაიკავა და მეც კარგად ვითამაშე. მაშინ მომაქცია ყურადღება მწვრთნელმა ვახტანგ ქარსელაძემ, რომელიც მაშინ პიონერთა სასახლეში ჭადრაკის კაბინეტის ხელმძღვანელი იყო. მან შეუთვალა ჩემს მშობლებს, გავეშვი თბილისში, არა და, მანამდე ჩემი დეიდა და ბიძაც სთხოვდნენ დედას და მამას იმავეს (ისინიც თბილისში ცხოვრობდნენ), მაგრამ მშობლებს უჭირდათ გაშვება.

1954 წელს აღმოვჩნდი თბილისში და პიონერთა სასახლეში დავინყე სიარული. ჩემი პირველი მწვრთნელი იყო ვახტანგ ქარსე-

ლაძე. 1955 წელს უკვე თბილისის ჩემპიონატი მოვიგე დიდებში, 1956 წელს კი ყველაფერი მოვიგე, რისი მოგებაც შეიძლებოდა.

— პირველი თქვენი მასშტაბური გამარჯვება, ალბათ, მაინც მსოფლიო ჩემპიონობა იყო.

— პირველი ყველაზე დიდი გამარჯვება იყო პრეტენდენტთა ტურნირის მოგება 1961 წელს. საერთოდ, საბჭოთა კავშირის ჩემპიონატი თავისი შემადგენლობით იყო ძალიან ძლიერი. იქიდან გასვლა არ იყო ადვილი, მაგრამ მთავარ მიზანს მივალწიე მოვხვდი რა ოთხეულში 1961 წლის საზონათმორისო ტურნირში თამაშის უფლება მოვიპოვე. ასე მსოფლიო ჩემპიონი გავხდი...

— საბჭოთა სპორტსმენებს საზღვარგარეთ გასვლაზე გარკვეული შეზღუდვები ჰქონდათ. საინტერესოა, რამდენად კონკურენტული იყო ჩვენი საჭადრაკო





სკოლა დასავლურ სკოლებთან, ვთქვათ ამერიკულთან ან ევროპულთან...

— კონკურენტული კი არა, საბჭოთა სკოლა ყველაძე ძლიერი იყო მსოფლიოში.

რისგან შეიქმნა ქართული ფენომენი? ჩვენი წარმატებების ხარჯზე...

**მსოფლიო ჩემპიონად გახდომის შემდეგ დავიწყებ გამოსვლა ვაჟთა ტურნირებში. დღევანდელისგან განსხვავებით ეს იყო წრიული 10-12 კაციანი ტურნირები სადაც ყველა ერთმანეთს სვდებოდა. რეგლამენტი იყო 5 საათიანი, თუ პარტია არ დამთავრდებოდა, იმ ღამესვე 2 საათი უნდა გვეთამაშა გადადებული პარტია და თუ კიდევ არ დამთავრდებოდა, მეორე დღეს ახალი პარტიის დაწყებამდე დილით 2 საათი უნდა გვეთამაშა. კაცები ერთმანეთში ჩქარ ყაიბს აკეთებდნენ და 2-3 დღიან დასვენებას ღებულობდნენ, მაშინ, როცა ყოველი მათგანი ჩემთან ბოლომდე იბრძოდა პრესტიჟისთვის და ეს პრობლემა მძიმედ იბრძოდა. თუმცა კალიან მაღა პატივისცემით მოჰყრობა დაიწყეს ჩემ მიმართ — როგორც მოჭადრაკის მიმართ.**



— დასაწყისში თქვენ თქვით, რომ, როცა ჭადრაკში პირველ ნაბიჯებს დგამდით, შესაბამისი გარემო არ გქონდათ. დღეს რა პირობები აქვთ ახალგაზრდა მოჭადრაკეებს? რამდენად პერსპექტიულია საერთოდ საქართველოში სპორტის ეს სახეობა?

— იმაზე უკეთესი პირობები და გარემო, როგორც მე მქონდა საწყის ეტაპზე, დღეს ნამდვილად არსებობს, მაგრამ სხვა საკითხია, რამდენად არის ეს საკმარისი. ფაქტია, რომ სახელმწიფო ვერ აფი-

ნანსებს ამ ყველაფერს და მშობელს თვითონ უწევს ბავშვის სწავლაში ფულის გადახდა. თავის მხრივ, მწვრთნელიც ხომ მიზეზურულ ანაზღაურებაზე ვერ იმუშავებს?! აქედან გამომდინარე, ცხადია, პრობლემები უამრავია და ეს რომ მოგვარდეს, უწინარესად, სახელმწიფოს უნდა ჰქონდეს საკითხისადმი სწორი მიდგომა.

— რადგან სახელმწიფოს მიდგომა ახსენეთ, წინა ხელისუფლებამ ბათუმში თქვენი სახელობის საჭადრაკო კლუბი გააუქმა. როგორ ფიქრობთ, ეს ყველაფერი თქვენს პოლიტიკურ შეხედულებებს უკავშირდება?

— კლუბი მდებარეობდა ბულვარში, სადაც მე პირველად ვითამაშე, ამიტომ დაარქვეს მას ჩემი სახელი. ახლა იმ ბულვარში ყველაფერი აღებულია და ინფრასტრუქტურაც რალაცნაირად გადააკეთ-გადმოაკეთეს, მაგრამ, სანამ ეს მოხდებოდა, მანამდეც მიუღებელი ვიყავი წინა ხელისუფლებისთვის; მე მათ წინააღმდეგ აქტიურად გამოვდიოდი, აქედან გამომდინარე, არ მიკვირს, რაც მოხდა. ის უფრო მიკვირს, რომ ჭადრაკის სასახლეს დღემდე შეუნარჩუნდა ჩემი სახელი.

**სამწუხარო ისაა, რომ სააკაშვილმა და მისმა გარე-**

**კალიან არასასიამოვნოა გამოეთხოვო მსოფლიო ჩემპიონის წოდებას. მაგრამ გულახდილად უნდა ითქვას, რომ ეს წოდება გადადის ღირსეულ ხელში, საქართველოს უაღრესად ნიჭიერი წარმომადგენლის — ნონა გაფრინდაშვილის ხელში. სულითა და გულით ვულოცავ ნონას და ვუსურვებ მას შემდგომ წარმატებას.**

**ე. ბიკოვა,**  
მსოფლიო ექს-ჩემპიონი ჭადრაკში.  
1962 წ.

მოცვამ სპორტი განსადა პოლიტიზირებული. ეს კეთდება მათი მოსვლის პირველივე დღიდან და საბოლოოდ ამ მიზანმიმართულმა პოლიტიკამ, გუნებრივია, საკუთარი კვალი დატოვა. არაერთი ადამიანისგან, მათ შორის ცნობილუბისგანაც გამიგონია, რა ესაქმებათ პოლიტიკაში მსახიობებს, მწერლებს, სპორტსმენებს და ა.შ. პოლიტიკაში კი არ გვესაქმება, სამართლიანობა გვინდა და ვიბრძვით ისეთი ქვეყნისთვის, რომელშიც ადამიანები უდანაშაულოდ არ დაისჯებიან. სპორტსმენს პირს ხომ ვერ ამოუკერავ? მას თავისი მოსაზრება აქვს, შეხედულება, პოზიცია. ადამიანი მოვლენების განვითარებას ხომ უნდა უყურებდეს და აფასებდეს?! ჩვენთან რა ხდება — **საქმარისი იყო, რაჭიმის პროვანდან არ გამოსდგომოდი, უკვე ალმაცარად გიყურებდნენ და მათთვის მიუღებელი ხდებოდი.** ცოტა უფრო აქტიური ქმედების შემთხვევაში კი საერთოდ მტრად გაცხადებდნენ. თქვენ წარმოიდგინეთ, ნონა გაფრინდაშვილი, რომ მტერი იქნება... ჩემს ცხოვრებაში ვერ მომიძებნიან ვერაფერს, რითიც შეიძლება რამე ზიანი მიაყენონ ჩემს სახელს.

— **პირადად თქვენი საწინააღმდეგო რა ჰქონდა წინა ხელილუფლებას?**

— ის, რომ აზრს გამოვთქვამდი, არ მომწონდა და ვაპროტესტებდი მათ პოლიტიკას. ეს იყო ჩვენი უბედურება. წარმოიდგინეთ, ფაქტობრივად, ერთადერთი ქვეყანა ვართ ჩვენ, რომელსაც სპორტის აკადემია არ აქვს. სხვათა შორის, მეგონა, ის ტერიტორია გაყიდული იყო და რამდენიმე დღის წინ შემთხვევით გავიგე, რომ არ ყოფილა გაყიდული.

— **ე. ი. ჯერ კიდევ სახელმწიფოს საკუთრებაა?**

— ალბათ, მაგრამ შენობა და ის არაჩვეულებრივი სპორტული მოედნები, რომლებიც გაკეთდა კო-



მუნისტების დროს, განადგურებულია მთლიანად. ეს გააკეთეს იმისთვის, რომ ხალხს არ ებრძოლა მის დასაბრუნებლად, რომ არ ყოფილიყო პროტესტი. ანალოგიურად მოიქცნენ პარლამენტის შენობის შიდა ინტერიერის დემონტაჟის დროსაც, — ფაქტობრივად, ამოძირკვეს და მიწასთან გაასწორეს ყველაფერი, რის შედეგადაც სახელმწიფომ განიცადა უდიდესი მატერიალური ზარალი. აქ საუბარია რამდენიმე მილიონზე, რაც საჭიროა იმისთვის, რომ აღდგეს ის განადგურებული შენობა და პარლამენტმა შეძლოს ნორმალურად ფუნქციონირება.

— **თქვენი აზრით, რა მიზნით გააუქმა ხელისუფლებამ სპორტის აკადემია? ბოლო წლებში ანალოგიური გადანყვეტილება მიიღეს რამდენიმე სამეცნიერო და საგანმანათლებლო ინსტიტუტთან დაკავშირებითაც.**

— სახალხო კრებაში ხშირად ვმსჯელობდით ამაზე. უბრალოდ, გენოციდი მოუწყვეს თავიანთ ხალხს. მთელი ამათი პოლიტიკის არსი და დედააზრი ის იყო, რომ ჩვენ ვართ განვითარებადი ქვეყანა, რომ ჩვენ არ გვჭირდება განათლება და ა.შ. ნახეთ, პროფესორებს რა უქნეს: ვინც კი ნამდვილი პროფესიონალი და მცოდნე

იყო, ისე მოიშორეს, ისე გაყარეს, თითქოს ამ ადამიანებს აქამდე არაფერი გაუკეთებიათ. ლომის წილი შეიტანა თავის დროზე ამაში თავისუფლების ინსტიტუტმა. ძალიან კარგად მახსოვს იგივე თუთბერიძე, რომელიც გამოვიდა და დაემუქრა პროფესორს, ნიშანი არ დამინერა, მე მაგას ვაჩვენებ სეირსო. დღეს ის თუთბერიძე პროფესორი.

**წარმოდგენაც მიჭირს, რა შედეგებამდე შეიძლება მივიდეთ, თუ ეს ყველაფერი ძირულად არ შეიცვალა. ჩვენ არ გვიქნება განათლება, არ გვიქნება მინიმალური ცოდნაც კი, რაც მოცდამართე საუკუნეში სჭირდება ადამიანს, ვიქნებით მომსახურე პირსონალის როლში. ეს იყო ამათი გეგმა. ამიტომ დღეს, როცა საბედნიეროდ, ხელილუფლება შეცვლილია, როცა არსებობს საშუალება, რომ ხალხმა რეალურად მიიღოს მონაწილეობა ქვეყნის მართვაში, ყველამ უნდა იფიქროს გამოსავალზე.** უწინარესად, ცხადია, ეს ეხება მმართველ გუნდს და იმედს ვიტოვებ, ახალ მთავრობას ამის შესვენება ხშირად არ დასჭირდება.

ესაუბრა ჯაბა ჟვანია



# «ოგონიოკის» თასი — სერგო კოტრიკაძეს

ეს იყო ნახევარი საუკუნის წინ. დამთავრდა დიდი საფეხბურთო სეზონი, შეჯამებულია ყველა შედეგი, გადაცემულია პრიზები. ყურნალ „ოგონიოკის“ რედაქციამ პრიზი მიაკუთვნა სეზონის საუკეთესო მეკარეს, ახალგაზრდა თბილისელ ფეხბურთელს — სერგო კოტრიკაძეს. მან მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი თავისი გუნდის წარმატებას, რისთვისაც საბჭოთა კავშირის ოლიმპიურ ნაკრებში შეიყვანეს.

მაშინ ახალგაზრდა მეკარე სერგო კოტრიკაძეზე ყურნალ „ოგონიოკი“ დაიბეჭდა ნარკვევი, რომელსაც, ვფიქრობთ, დღესაც ინტერესით გაეცნობა მკითხველი.



## ამჟამად - კოტრიკაძე

ზოგჯერ ძნელია, საფეხბურთო ბრძოლის დუღილში აღმოაჩინო საერთო შინაარსი, თამაშის რიგი, რაიმე კანონზომიერება, მაგრამ არაზუსტი პასი თუ უხერხული დარტყმა თვალში ეცემა მაყურებელს და გუგუნს იწვევს ტრიბუნებზე. ასეთი შეცდომა ბევრია, მაგრამ ისინი წარმავალია, ისინი შეიძლება თამაშის მსვლელობაში გამოასწორო და დაივიწყო, თუ საფრთხემ გაიარა. მხოლოდ მეკარის შეცდომებია საბედისწერო. იგი, როგორც მენაღმე, არ შეიძლება ცდებოდეს. არ არის უფრო პასუხსაგები და უფრო ძნელი როლი ფეხბურთში, ვიდრე მეკარის როლი. იგი გუნდის პირველი მცველია და მისი უკანასკნელი იმედი მას შემდეგ, რაც ყველა შეცდომა და ბურთი უღმობლად მიექანება კარისკენ. ეს მეკარის თამაშს რომანტიკულს ხდის და მოითხოვს მისგან გამბედაობას, სიმტკიცეს, მოსაზრებულობასა და გამჭრიახობას. ტყუილად კი არ მღერიან:

**ჰეი, მეკარე,  
მზად იყავ ბრძოლისათვის,  
კართან გულაგად ხარ  
დაყენებული...**

ჩემს სიცოცხლეში ასობით მეკარე მინახავს სოხუმსა და სანტიაგოში, კიმრსა და სტოკჰოლმში, ჭაბუკთა მატჩებში და მსოფლიოს ჩემპიონატებზე. ისინი ერთმანეთისაგან განსხვავდებიან კლასით, მანერით, ტემპერამენტით, მაგრამ

ერთმანეთს ჰგვანან თამაშის შინაარსით. ისინი ყველანი ზუსტად უნდა არჩევდნენ ადგილს კარში, გრძობდნენ შტანკებს ისე, რომ არ უყურებდნენ მათ, უნდა ხტოდნენ, ბურთზე გამოდიოდნენ, ჰაერში იჭერდნენ მას, ხოლო უკანასკნელ წამს ფეხებში უვარდებოდნენ ფორვარდს.

მაღალი ტექნიკა და თავდაჭერილობა მაღალი ოსტატობის გადამწყვეტი პირობებია.

**ბრძოლის ყველაზე დაძაბულ მომენტებშიც კი მოედანზე მოთამაშეთა ნერვები ისე არ არის დაძაბული, როგორც მეკარის ნერვები, ეს სიმებია, რომლებიც მზად არის, ჟღერდეს სპორტული სრულყოფილობის უმაღლეს ნოტებზე, მაგრამ რომლებიც შეიძლება კიდევაც განყდეს, თუ მეტისმეტად დაჭიმე.** მსახიობი, სცენაზე რომ გამოდის, ყოველთვის ღელავს, გამოცდილი მსახიობიც კი. მან თავისი როლი ისე უნდა შეასრულოს, რომ დარბაზში მყოფ მაყურებელთაგან ვერავინ ვერ იგრძნოს სიყალბე, არაბუნებრიობა, ხელოვნურობა.

მეკარის სცენა კარია, რომელშიც ყოველი სანტიმეტრი დაცული უნდა იყოს ბურთებისგან. მეკარე მას იცავს მრავალი ათასი მაყურებლის თვალწინ და, ოსტატობას რომ უჩვენებს, არ შეიძლება სიყალბე დაუშვას. **მეკარის სიყალბე გოლია. ფლოზად ნერვებს, მათი გატონ-პატრონი იყო და „დაბეჭდილი“ გყავდეს — ეს დიდი ხელოვნებაა.** მაგრამ თავდაჭერი-

ლობა სრულებითაც არ გამოირიცხავს ღელვას, რომელიც ყოველ სპორტსმენს, ყოველ მოთამაშეს სჩვევია. უფრო მეტიც: ღელვა უნარჩუნებს მას ცხოველმოქმედების იმ ზომას, რომელიც ეხმარება მეკარეს ხელოვნების ყველა რთული ილეთის შესრულებაში.

მე მომიხდა მენახა სახელგანთქმული ბრაზილიელი მეკარე ჟილმარი უბრალო, სრულიად უმნიშვნელო ამხანაგურ თამაშში. ეს იყო ამ ზაფხულს ჩილის პატარა ქალაქ ვინია-დელმარში წყნარი ოკეანის ნაპირზე მსოფლიო ჩემპიონატის დაწყებამდე რამდენიმე დღით ადრე. ბრაზილიელები თამაშობდნენ უკანასკნელ საკონტროლო მატჩს ადგილობრივ კლუბ „ვერტონთან“, რომლის ფეხბურთელები ყველაფერში ჩამოუვარდებოდნენ ბრაზილიელ ვირტუოზებს, მაგრამ ჟილმარი მაინც ღელავდა: მეკარის ხელთათმანებს თითქოს თითებს აგლეჯდა და სულ მუდამ ცმუკავდა ადგილზე. იქვე კარის ბაღეს უკან მდგომი მწვრთნელი მარეირა ჩაულაპარაკებდა ხოლმე:

მშვიდად, მშვიდად...

ჟილმარი ხელებს დაუშვებდა, თითქოს მოეშვებოდა, შემდეგ კი კვლავ იწყებდა ცმუკვას და ხელთათმანებისათვის თითქოს თითების წაგლეჯას.

მე მეჩვენებოდა, რომ მწვრთნელის სიტყვები ზედმეტი იყო და მეკარეს არ შევლოდა. მე ვუთხარი ეს მარეირას და მან ღიმილით ამიხსნა, რომ ცდილობს, კორექტირება შეი-



ტანოს ჟილმარის ოდნავ ღელვაში, მისცეს მას საჭირო განწყობა. მაგრამ მეტი არა, თორემ ის ხომ მხურვალესისხლიანი ბრაზილიელია.

ეს ეპიზოდი გამახსენდა, როცა ამას წინათ თბილისის „დინამოს“ სტადიონზე ვუყურებდი სერგო კოტრიკაძის თამაშს. იგი ისე იქცეოდა, როგორც ჟილმარი, ერთი შეხედვით იმ ოდნავი მღელვარებით, რომელიც, ეტყობა, ეხმარებოდა მას, ჯეროვნად განწყობილიყო. ხოლო მატჩი სერიოზული, ბევრის გადაწყვეტი იყო თბილისელ და კიეველ თანაკლუბელთა მეტოქეობაში, მწვავე, მოულოდნელი და საშიში დარტყმებით აღსავსე, განსაკუთრებით იმ ფლანგიდან, რომელზეც ვ. ლობანოვსკი მოქმედებდა.

**ბევრჯერ მინახავს ამ ახალგაზრდა, ტანადი, ტიპიკარ-მენტიანი მკაპრის თამაში. იგი ყოველთვის იპყრობდა ყურადღებას არა მარტო თავისი ორბანიჯაშულოებითა და მაღალი შემსრულაბლოებითი ოსტატობით, არამედ სიფიცხითაც, რომელიც ეხმარებოდა, შეეძინა თამაშის განსაკუთრებული, მიმზიდველი ნახატი.**

სერგო კოტრიკაძეს შესაძლებლობა ჰქონდა, არა მარტო დაჰკვირვებოდა მარდანიას თუ იაშინს, პირავეის თუ მასლაჩენკოს მოქმედებას, არამედ კიდევაც ესწავლა მათგან საჯარიმო მოედანზე თამაშის ტექნიკა და ტაქტიკაც.

თუმცაღა, დროა, წარმოგიდგინოთ ახალგაზრდა მეკარე.

ეზოში თამაში აკრძალეს. მეტისმეტად ბევრი მინა ჩაამტვრია და ბევრი სუფთა თეთრეული დაალაქავა ბურთმა. საჭირო გახდა ქუჩაში გადასვლა. იქ მეტი სიმშვიდეა.

სოფელ დაბლაციხიდან ჩამოსული შავგვრემანი, თმახუჭუჭა მოზარდი გმირულად იქცეოდა: ასფალტზე ან ქვაფენილზე ფეხებში უვარდებოდა მეგობრებს, რომლებიც ცდილობდნენ, შეეგდოთ ბურთი წარმოსახულ კარში.

ერთხელ ქუჩაში ჩაიარა სახელგანთქმულმა დინამოელმა მეკარემ დოროხოვმა. იგი განზე გადგა და აკვირდებოდა ბიჭუნების თამაშს — „ეზო ეზოს წინააღმდეგ“. მოეწონა მათი აზარტი, მათი ცდები — მიე-



ბაძათ თვით პაიჭაძისათვის, მაგრამ ყველაზე მეტად მოეწონა ბიჭუნა, ცარციტი მონიშნულ კარს რომ იცავდა.

— რა გქვია?

— სერიოჟა კოტრიკაძე.

— ხვალ მოდი ოცდამეთხუთმეტე სკოლაში, იქ ნამდვილ მოედანზე, ბალახზე ვითამაშებთ.

... ახლა, როცა სერიოჟა 26 წლისაა, იგი მხოლოდ ღიმილით იხსენებს იმ გრძნობას, ჭაბუკის გულის იმ თრთოლვას, რომელიც მაშინ მოსვენებას არ აძლევდა არც დღისით, არც ღამით და „მსოფლიოს მთელი ამაოება“ დაჩრდილია.

**35-ე სკოლაში იმ წლებში თავს უყრიდნენ ნიჭიერ, ფხვრუთის მოყვარულ ბიჭუნებს, ასწავლიდნენ მათ ბურთის ფლოვის ტექნიკას, ტაქტიკის საფუძვლებს, თვალყურს ადევნებდნენ მათ სწორ ფიზიკურ განვითარებას. მაგრამ ყოველივე ეს ერთი პირობით იყო — თუ ყველა საგანში წარმატება ეძნეობოდათ.**

სერიოჟა კოტრიკაძე 35-ე სკოლაში გადავიდა და სწავლობდა მეკარეთა ჯგუფში, რომელსაც დოროხოვი ხელმძღვანელობდა. მეცადინეობა მიმდინარეობდა ლენინის სახელობის სტადიონზე. დაჭერაზე წვრთნას გადიოდნენ აგურის კედლიდან არეკლილი ბურთებით. რაც უფრო ძლიერია დარტყმა, მით უფ-

რო მოულოდნელია არეკვლა, მით უფრო ძნელია ბურთის დაჭერა. შემდეგ გადიოდნენ წვრთნას, თუ როგორი იყო რეაქცია ბურთის ფრენაზე: ძლიერი, მოულოდნელი დარტყმები ხდებოდა მეკარის ზურგს უკნიდან, თანაც სხვადასხვა კუთხით და სხვადასხვა სიმაღლეზე. დასასრულ დოროხოვი თოკით დაჰკიდებდა ხოლმე ბურთს ორ მეტრზე მოსწავლეებისაგან, მიწის ზემოთ ნახევარ მეტრზე, და წინადადებას აძლევდა ბიჭებს სცემოდნენ ხოლმე ვითომ დარტყმით ნატყორცნ ბურთს.

ერთი სიტყვით, ეს იყო ფეხბურთის სკოლა სწავლების ყველა იმ კანონის მიხედვით, რომლებიც მაშინ არსებობდა. იქ მაშინ სწავლობდნენ მ. მესხი, შ. იამანიძე, ზ. კალოვეი, ა. ჭყუასელი.

**სერიოჟა კოტრიკაძე ოსტატობის ციცაბო კიბეზე საფხვრიდან საფხვრზე აღიწოდა, და არც ერთი საფხვრი იოლი არ ეჩვენებოდა.**

განსაკუთრებით დაახსოვდა მატჩი, რომელიც 1957 წლის გაზაფხულზე ითამაშეს. თბილისელები მოსკოვის „დინამოს“ ფეხბურთელებს იღებდნენ. პირველად ჩადგა სერიოჟა ძირითადი შემადგენლობის კარში, იმიტომ, რომ იმ დღეს სხვა მოთამაშე არ იყო. და როგორც კი გაისმა სასტვენის ხმა, მან დაინახა ვ. შაბროვი, გ. ფედოსოვი, ა. მა-



მედოვი. სერიოზა ღელავდა, ცმუკავდა, განუწყვეტლივ ისწორებდა სვიტერს, ცდილობდა, გეტრები აენია, თუმცა ეს სრულეებითაც არ იყო საჭირო. **და აი მოფრინავს მაღალი კიდული ბურთი. სერიოზა სწორად გაინახარია, კარიდან გამოვიდა და ნახტომით ეფეჭურა აილო იგი. ეს ისა ლამაზი იყო, რომ ტრიზუნაზე ტაშმა იბრიალა, კოტრიკაძე კი ოდნავ მოეშვა. რამდენიმე წუთის შემდეგ იგი კვლავ გამოვიდა კარიდან, ფახეზი ჩაუვარდა ალექსი მამედოვს და ისინა ბუნდი თითქოს გარღვეული გოლისაგან. კვლავ გაისმა მხურვალე ტაში. და ყოველთვის ტრიზუნაში ამოვიდა ბუნდი და რწმენას განუხატავდა მამედოვს.**



მას შემდეგ ფეხბურთის ბევრმა წყალმა ჩაიარა. ვინ არ უშენდა სერგო კოტრიკაძის კარს! იყვნენ ინგლისელებიც — კევანი და ბობი სმიტი, ფრანგები კოპა და პიანტონი, ავსტრიელები — ჰოფი და ნემეცი, აქ იყვნენ, აგრეთვე, ირანელები, ბელგიელები, ლუქსემბურგელები, ბრაზილიელები, კუბელები, ბოლივიელები, ეკვადორელები, კოსტარიკელები. ყველას ვერ ჩამოთვლი!

მეკარეს დაახლოვდა წარუმატებლობა, რომელიც ინგლისში განიცადა. ეს იყო ორი წლის წინათ, როცა თბილისელები სსრ კავშირის თასის ფინალში სანყენი წაგების შემდეგ ბრიტანეთის კუნძულებზე გაფრინდნენ. სამი მატჩიდან დინამოელებმა ორი წააგეს. ხოლო ერთი ფრედ დაამთავრეს, მაგრამ სამივე თამაშში ზუსტად ხუთ-ხუთი ბურთი გაუშვეს თავიანთ კარში.

თბილისელთა კარის ეს ხუთბალიანი შერყევა გაკვეთილი იყო არა მარტო და არა იმდენად ახალგაზრდა მეკარისთვის, რომელმაც მატჩები საერთოდ კარგად ჩაატარა, რამდენადაც მთელი გუნდისათვის, რომელმაც იგრძნო, რომ დაცვა როგორღაც მოიკოჭლებდა. დამცველთა უსისტემო თამაშის ჟანგი სჭამდა თავდაცვას.

ავადმყოფობის დასაძლევად საჭირო იყო დიაგნოზის დასმა და მკურნალობის ფორმის განსაზღვრა.

ვუბრუნდები კვლავ მატჩს კიეველებთან. ახლა უკვე ყველაფერი სხვაგვარად იყო. დამცველები შესანიშნავად მოქმედებდნენ. ბრაზილიურ სისტემაზე გადასვლამ ხელი შეუწყო ნიჭიერ მოთამაშეთა გამოვლინებას.

შეიცვალა მეკარის თამაშიც. ეს თამაში როგორღაც ფლანგებისკენ არის მიბრუნებული. ახლა პირდაპირი იერიშები ნაკლებია. „სტოპერები“ გ. ჩოხელი და ხურცილავა სათოფეზე არ უშვებენ ფორვარდებს. იერიშები კიდევზე მიმდინარეობს: იქიდან არის დარტყმები კარის გასწვრივ, მზაკვრული გადაცემები, კიდული ბურთები, იქიდან უნდა ელოდე უსიამოვნებას, განსაკუთრებით მაშინ, როცა მოდის ჩაჭრილი ბურთი, იგი კუთხურიც რომ იყოს.

ახლა „ხმელი ფოთლით“ ბევრი ფორვარდი სარგებლობს, მაგრამ მას შესანიშნავად ასრულებს ვალერი ლობანოვსკი. მისი ბურთების დაჭერა ძნელია.

რატომ?  
სერიოზა ერთ წამს დაფიქრდა და თქვა:

**— გჭერიათ ოდესმე ხელში ცოცხალი თევზი? აი ასეა ლობანოვსკის ბურთებიც.**

დაახ, ჩაჭრილი ბურთები ახლა ძალიან გავრცელებულია. კოტრიკაძემ ეს ნახა არიკაში და სანტ-იაგოში. მან ნახა შესანიშნავი მეკარეების — იუგოსლავ შოშკიჩის, ჩილი-

ელ ესკუტის და ბრაზილიელ ჟილმარის თამაში. თავიანთი გუნდების კარს რომ იცავდნენ, ისინი თითქოს ლექციებს უკითხავდნენ ტრიზუნაზე მჯდომ კოტრიკაძეს და იგი ყურადღებით „ისმენდა“ ამ ლექციებს და ბევრ რამეს მიხვდა.

ახლა იგი სხვანაირად უყურებს თამაშს საჯაროდ მოედნის ფარგლებში. კარიდან გამოსვლათა რიცხვი შემცირდა.

— დატვირთვა შემცირდა, — ამბობს სერიოზა, — მაგრამ სიფხიზლე უნდა გაძლიერდეს, თორემ... გახსოვთ, ბრაზილიელებმა როგორ გაიტანეს ბურთი ჩილიელთა კარში?

და თვალწინ წარმომიდგას საინტერესო ორთაბრძოლის სურათი, როცა ლეგენდარულმა გარინჩამ უჩვენა არა მარტო თავისი შესანიშნავი ფინტები, რომელთა შემდეგ განზე გარბოდნენ სანჩესი და ნოვარო, არამედ, აგრეთვე, ძლიერი, შორი და, რაც მთავარია, მოულოდნელი დარტყმები კარის კუთხეებში. ერთ-ერთი ასეთი ბურთი ესკუტიმ გაუშვა, ხოლო კოტრიკაძემ დაიხსომა...

სეზონი დამთავრებულია. სერიოზა სტუდენტთა აუდიტორიაშია. მას ცოტადა დარჩა: ინვარში უნივერსიტეტს ამთავრებს. მომავალ ზაფხულში კი მრავალი მოვლენა მოსალოდნელი. მათგან მთავარია ოლიმპიურ ნაკრებში თამაში.

**ა. პერაქანოვი**



# ქართული სოფელი გუგინ, ანუ წინ ნაპედით თუ უკან

## გაზეთი «სოფლის სსოპკაბა»

### სიტყვა გაზეთი მექანიზატორებზე

— ავითვისოთ 370 ჰექტარი ახალი მიწა, 15-ძალიანი ტრაქტორის დატვირთვა ავიყვანოთ 700 ჰექტრამდე, ჰექტარი ფართობის დამუშავება გავაიაფოთ 50 კაპიკით, ტრაქტორების რემონტის წლიური გეგმა 10 დეკემბრამდე შევასრულოთ, სეზონის დაწყებიდან ორი თვით ადრე შევაკეთოთ მოსავლის ასაღები ტექნიკა, დაფზოგოთ 13.000 კილოგრამი სანვავ-საცხები მასალა...

ასეთ წინადადებებს აყენებდნენ გურჯაანელი მექანიზატორები თავიანთ შეკრებაზე, როცა ისინი სიღნაღელ თანამოსაქმეთა პატრიოტულ თაოსნობას განიხილავდნენ. მათ მხურვალედ მოიწონეს ეს ინიციატივა და გააჩაღეს ბრძოლა შვიდწლედის მეხუთე წელს ახალი შრომითი წარმატებებისათვის. თუმცა არც მიმდინარე წელი ყოფილა უნაყოფო. მექანიზატორებმა რაიონის 19 კოლმეურნეობასა და საბჭოთა მეურნეობაში დაამუშავეს 32.767 ჰექტარი (რბილ ხვნაზე გადაყვანით), რაც წლიური გეგმის 131 პროცენტს შეადგენს. ამ დიდ საქმეში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ტრაქტორისტმა ალექსი აბაზაშვილმა. იგი კარგა ხანია „დტ-54“ მარკის ტრაქტორით მუყაითი შრომის მაგალითს იძლევა, ბეჯითი ტრაქტორისტი თავისი აგრეგატის ყოველ წვრილმანს ხუთი თითივით იცნობს, კარგი დასტაქარივით იცის, რომელ ნაწილს რა „სატკივარი“ აქვს. თუ რამე დაზიანდა, რკინის გოლიათის „მკურნალობაც“ ეხერხება.

— მთელს კოლექტივში თითოთი საჩვენებელია ალექსი, — გვითხრეს „საქსოფლტექნიკის“ რაიგანყოფილებაში, — მას წლიური გეგ-

მა 220 პროცენტით აქვს შესრულებული, 811 ჰექტარის ნაცვლად მოხნა 1.844 ჰექტარი ფართობი (რბილ ხვნაზე გადაყვანით), ამავე დროს დაზოგა 616 კილოგრამი სანვავ-საცხები მასალა. მომავალში ალექსი დიდად გაზრდის თავისი მექანიზმის წარმადობას, რბილ ხვნაზე გადაყვანით მოხნავს 2.000 ჰექტარს, დაზოგავს 1.000 კილოგრამამდე სანვავ-საცხებ მასალას. ყოველივე ამას ა. აბაზაშვილი მიუაღწევს 1963 წელს — შვიდწლედის მეხუთე წელს.

მის მხარდამხარ შრომითს ვახტზე დგანან ტრაქტორისტები: არჩილ ზავრაშვილი, გურამ ჭანყოშვილი. მათმა რკინის რაშებმა ჩინებულად მოიხადეს ვალი. წინ კი ახალი ზღუდეებია და მექანიზატორებს ტრაქტორები სრულ მზადყოფნაში აქვთ.

ეს წარმატებანი ციდან არ ჩამოცვენილა, იგი ალალმართალი შრომით მოიპოვეს მექანიზატორებმა და მომავალშიც ასეთივე სამაგალითონი იქნებიან თავიანთ კოლექტივში.

მოწინავე მექანიზატორთა ეს ჯგუფი „საქსოფლტექნიკის“ გურჯაანის სატრაქტორო პარკის დიდი კოლექტივის მცირე ნაწილია, მაგრამ მთელი ხომ ნაწილებისგან შედგება. ჯგუფის წარმატებაში მთელი კოლექტივის წარმატება მოჩანს. სატრაქტორო პარკმა მიმდინარე წლის ტრაქტორების რემონტის გეგმა 20 დღით ადრე შეასრულა. ახლა აქ მომავალი წლის ანგარიშში მუშაობენ.

**მ. ხარებავა.**  
გურჯაანის რაიონი.

### მისაბაძი მაგალითი

ყაზბეგის რაიონის კოლმეურნეები პატრიოტული შეგნების მისა-

ბაძ მაგალითებს იძლევიან, ისინი თავიანთ ჭარბ პროდუქტებს სახელმწიფოს აბარებენ.

**ვლადიმერ ზაგაშვილმა (მახარაძის სახელობის კოლმეურნეობა) სახელმწიფოს მიჰყიდა 1.200 კილოგრამი ხორცი, ვაჟა ქუშაშვილმა (სნო) — 1,500 კილოგრამი, ცნობილმა გორისციხელმა მეცხვარემ იულია ჩქარეულმა სახელმწიფოს 1.300 კილოგრამი ხორცი მიჰყიდა.**

ასევე დიდი რაოდენობით მიჰყიდეს სახელმწიფოს ხორცი პავლე მარსაგიშვილმა, პავლე წიკლაურმა (სნოს კოლმეურნეობა) და სხვებმა.

### უპატაკებენ საეპოგლოს

ბარაქიანი „ოქროს რთველი“ ჰქონდათ ბათუმის რაიონის სოფელ ახალშენის საყრდენ-საჩვენებელ კოლმეურნეობაში. აქაურმა მეცისტრუსეებმა სამშობლოს მისცეს 92 ტონა ნაყოფი, გეგმა კი 70 ტონას ითვალისწინებდა.

**რ. ჩაჩუა**

\*\*\*

მაიაკოვსკის რაიონის ვარციხის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობაში წელს 50 ჰექტარზე უნდა გაეშენებინათ ახალი ზვარი. ვარციხელები გეგმას არ დასჯერდნენ — 70 ჰექტარზე გადაიჭიმა ახალი ვენახი.

**მ. ცერცვაძე.**

\*\*\*

ცხაკაიას სამმართველომ გადაჭარბებით შეასრულა ხორცის დამზადების წლიური გეგმა; დამზადებას ჩაბარდა 23 ათასამდე ცენტნერი ხორცი.

განსაკუთრებით ისახელებს თავი ცხაკაიასა და ჩხორონყუს რაიონების მშრომელებმა, რომლებ-



მაც გადაჭარბებით შეასრულეს ხორცის, რძისა და კვერცხის დამზადების წლიური გეგმები.

\*\*\*

ნაგომრის კოლმეურნეობა „საქართველოს“ მშრომელებმა მონოდებით მიმართეს მახარაძის საწარმოო სამმართველოს მეჩაიებს 1963 წლის 1 იანვრისათვის დაემთავრებინათ ჩაის პლანტაციების შემოდგომა-ზამთრის საშუალებები.

ჩვენმა კოლმეურნეობამ პირნათლად შეასრულა დაპირება. 20 დეკემბრისათვის დავამთავრეთ პლანტაციების მსუბუქი შებარვა, შევიტანეთ მინერალური სასუქები, შევაკეთეთ სადრენაჟო ქსელი, გავაშენეთ 3,7 ჰექტარი ახალი პლანტაცია და სხვ.

ჩვენი მიზანია შვიდწლედის მე-

ხუთე წელს სამშობლოს მივცეთ 1.120 ტონა „მწვანე ოქრო“.

**უ. სარიშვილი,**  
მახარაძის სამმართველოს  
ნაგომრის კოლმეურნეობის  
თავმჯდომარე.

### მექანიზატორთა წარმატება

რესპუბლიკური გაერთიანება „საქსოფლტექნიკის“ განყოფილებებისა და სამანქანო-სამელიორაციო სადგურების კოლექტივებმა 25 დეკემბრისათვის გადაჭარბებით შეასრულეს საწარმო-სამეურნეო საქმიანობის წლიური გეგმა.

მექანიზებულ სამუშაოთა გეგმა შესრულებულია 111 პროცენტით, რბილ ხვნაზე გადაყვანით დამუშავებულია 890 ათასი ჰექტარი, ნაცვლად გეგმით გათვალისწინე-

ბული 800 ათასი ჰექტარისა, სარემონტო სახელოსნოებმა საწარმოო გეგმები 109,4 პროცენტით შეასრულეს (საქდესი).

### მისაბაძი მავალითი

გალის რაიონის მშრომელებს თავიანთი წვლილი შეაქვთ ქვეყნის სიუხვის თასში და ჭარბ პროდუქტებს სახელმწიფოს აბარებენ.

სოფელ პირველი გალის კოლმეურნეობა „ნარინჯოვანის“ ნევრმა ნიკოლოზ აბაშიამ დამზადებას ჩააბარა 1,138 კილოგრამი ხორცი.

ჩხორონყუს რაიონის კოლმეურნეობმა რომანოზ ადამიამ (კირცხი) სახელმწიფოს მიჰყიდა 456 კილოგრამი ხორცი, პატიკო ჟვანია (მუხური) — 1.045, მიხეილ სიჭინავამ (ლესიჭინე) 925, არსენ ბელქანიამ (ნაფიჩხოვო) — 522, ხოლო შალვა სიჭინავამ (კირცხი) 542 კილოგრამი ხორცი.

## გამოცდილების ოქროს მარცვლები

### მოგვითხრობენ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის დეკანოზის პლენუმის მონაწილენი

ჩვენი ქვეყნის გმირულ მატრიანეში განსაკუთრებულ ადგილს დაიკავენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის ნოემბრის პლენუმი. 19-20 დეკემბერს ნოემბრის პლენუმის შედეგებზე, ჩვენი რესპუბლიკის ეკონომიკის განვითარებასა და სახალხო მეურნეობისადმი პარტიული ხელმძღვანელობის გარდაქმნაში საქართველოს პარტიული ორგანიზაციის ამოცანებზე იმსჯელა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა. სკკპ ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის ნევრობის კანდიდატის, საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის ვ.პ. მყავანაძის მოხსენების შემდეგ გაიმართა კამათი და აზრთა გაცვლა-გამოცვლა. პლენუმის მონაწილეებმა მოგვითხრეს ჩვენი რესპუბლიკის სოფლის მეურნეობაში მრავალი ძვირფასი თაოსნობის შესახებ. ქვემოთ ვაქვეყნებთ კამათის ზოგიერთი მონაწილის სიტყვას.

### ჩვენი ყამირი

#### ვ. ჯაყელი, მახარაძის საწარმოო სამმართველოს უფროსი:

ჩვენი ზონის კოლმეურნეობები ყოველწლიურად ორ მილიონ მანეთს (ახალი ფულით) ხარჯავდნენ თივის შესაძენად. ამიტომ გადავწყვიტეთ ბოლო მოგველო ასეთი გამფლანგველობა-უყაირათობისათვის. შევუდექით ტყე-ბუჩქნარების ამოძირკვას, ჭაობების დაშრობას და ამგვარად წარ-

მოებაში ჩავაყენეთ ახალი სახნავ-სათესი მიწები, რომლებზედაც ითესება ისეთი ძვირფასი საკვები კულტურები, როგორც სიმინდი და ბარდაა.

ყამირის მოსავალმა საშუალება მოგვცა უკვე 1962 წელს მილიონ 200 ათას მანეთამდე შეგვემცირებინა თივის შესაძენი ხარჯები. ამ ახლო მომავალში საზოგადოებრივი მეურნეობის სამსახურში ჩავაყენებთ კიდევ 4.000 ჰექტარ მიტოვებულ მიწებს, რითაც სავსებით

გავთავისუფლებით პირუტყვის საკვების შესასყიდი ხარჯებისაგან. ამით ჩვენს მეცხოველეობას მეურნეობის მაღალრენტაბელურ დარგად ვაქცევთ.

საკვები რესურსების ზრდის დიდი რეზერვია საშუალებდო კულტურების, პირველ რიგში, ბარდის თესვა. გაზაფხულზე ას ჰექტარზე დავთესეთ ბარდა და დავრწმუნდით ამ კულტურის დიდ ეფექტიანობაში. შემოდგომაზე ბარდა დავთესეთ 1.240 ჰექტარზე და ვფიქრობთ, ბარდის ნათესების ფართობი 2.000 ჰექტარამდე ავიყვანოთ. ამრიგად, ერთსა და იმავე ფართობზე ბარდისა და სიმინდის ორ მოსავალს მივიღებთ.

ამხანაგი ვ. ჯაყელი პლენუმის მონაწილეებს აცნობებს, რომ მახარაძის კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების საწარმოო სამმართველოს ზონის კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა ვადაზე ადრე შეასრულეს სოფლის მეურნეობის პროდუქტების დამზადების დარგში ნაკისრი ყველა ვალდებულება.

— ნოემბრის ისტორიული პლე-



ნუმის გადანყვეტილებებს ჩვენი ზონის კოლმეურნეები და საბჭოთა მეურნეობების მუშაკები, — დაასკვნის ამხანაგი ჯაყელი, — ახალი შემოქმედებითი ინიციატივით, ახალი საქმეებით უპასუხებენ 1963 წლის უხვი მოსავლისათვის ბრძოლაში.

### 40 ტონა ჩაი 4,5 ჰექტარზე

ლ. სასნოკია, ზუგდიდის სანარმოო სამმართველოს სოფელ ახალსოფლის ლენინის სახელობის კოლმეურნეობის მერგოლური, სოციალისტური შრომის გმირი:

მონაწილეობა მივიღე სკკპ ცენტრალური კომიტეტის ნოემბრის პლენუმის მუშაობაში.


როცა პლენუმიდან კოლმეურნეობაში დავბრუნდი და არტელის წევრთა კრებას პლენუმის შესახებ ვუამბე, გადავწყვიტე მეტი წვლილი შეგვეტანა კომუნისტური სიუხვის შექმნის საქმეში. 1963 წელს მთელს კოლმეურნეობაში ჰექტარზე საშუალოდ მოიკრიფება არანაკლები 5.500 კილოგრამი ჩაის მწვანე ფოთოლი.

ჩემმა რგოლმა, რომელსაც მოსავლელად მიჩენილი აქვს 4,5 ჰექტარი პლანტაცია, გადაწყვიტა სკკპ ცენტრალური კომიტეტის ნოემბრის პლენუმის აღსანიშნავად მოკრიფოს 40 ათასი კილოგრამი ჩაის მწვანე ფოთოლი. პირადად მე გადავწყვიტე ჩემთვის გაპიროვნებულ 0,4 ჰექტარზე მივიღო 6 ათასი კილოგრამი ჩაი.

კოლმეურნეობამ გადანყვიტა, ახალი მიწების ათვისების ხარჯზე არტელში გაადიდოს სიმინდის წარმოება და საკუთარი წარმოების მარცვლეულით მთლიანად დააკმაყოფილოს საზოგადოებრივი პირუტყვის მოთხოვნილება.

ახლა ვაჯამებთ სასოფლო-სამეურნეო წლის შედეგებს, ვავლენთ რეზერვებს, რომლებიც ჩვენ საკმაოდ გვაქვს. დიდი მუშაობა დაგვჭირდება, რათა მთელი რეზერვები გამოვიყენოთ ჩვენს ქვეყანაში კომუნისტური სიუხვის შექმნისათვის.

## 1962 წლის ნობათი



### ჰექტარზე 48 ცენტნერი ხორბალი

ე. ლუკმასოვი, სიღნაღის სანარმოო სამმართველოს სოფელ ულიანოვკის კოლმეურნეობის თავმჯდომარე:

ჩვენი წლევანდელი გამოცდილება გვასწავლის, რომ არავითარი გვალვა საშიში არ არის იქ, სადაც უზრუნველყოფილია ნიადაგისა და ნათესების კარგი მოვლა.

მთელი ჩვენი „საიდუმლოება“ გამოიხატება შეუპოვარ, ბეჯით შრომასა და აგრონესების ზუსტად განხორციელებაში.

და აი ჩვენი შედეგებიც. ხანგრძლივი გვალვის მიუხედავად, სარეკორდო მოსავალი მივიღეთ, გავუსწარით მთელს ჩვენს ქვეყანაში ცნობილ კოლმეურნეობას, რომლის თავმჯდომარეა სოციალისტური შრომის გმირი ნ. კავუნი.

შვიდასი ჰექტარი ფართობის თითოეულ ჰექტარზე მოვიყვანეთ 28,7 ცენტნერი ხორბალი. პროგრესული ჯიშის „უფხო-1“-ის ხორბლის მოსავალმა ექვსასი ჰექტარი ფართობის თითოეულ ჰექტარზე 30 ცენტნერი მარცვალის შეადგინა.

ცალკეულ ნაკვეთებზე, სადაც წინამორბედი სიმინდი იყო, ჰექტარზე 48 ცენტნერი მარცვალის მოვიყვანეთ.

ჩვენ სახელმწიფოს მივყიდეთ ერთიანად მეტი ხორბალი, ვიდრე გეგმით იყო გათვალისწინებული — ნაცვლად 320-ისა, 3.200 ცენტნერი.

ყანებში კარგად იმუშავეს კომბაინერებმა: ა. მაგაევმა და პ. პოზდნიაკოვმა, რომლებმაც მოსავალი უდანაკარგოდ აიღეს და მხოლოდ დამატებითი ანაზღაურების სახით ორ-ორი ათასი კილოგრამი ხორბალი მიიღეს.

ჩვენმა მონინავე მწველავებმა ა. სემენოვამ, ა. დოროხოვამ, ფ. პაპიროვამ, რომლებმაც თვითიველ ფურზე 3,500 კილოგრამი რძე მოწველეს, დამატებითი ანაზღაურების სახით სამ-სამი ტონა რძე მიიღეს.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის ნოემბრის პლენუმის გადანყვეტილებებით აღფრთოვანებულმა ჩვენი არტელის კოლმეურნეებმა გადაწყვიტეს, 1963 წელს გაცილებით უკეთეს შედეგებს მიაღწიონ. ამ მიზნით საშემოდგომო პურეული დავთესეთ 800 ჰექტარზე პირველი და მეორე რეპროდუქციის „უფხო-1“-ის თესლით.

მომავალ, 1963 წელს დავიპყრობთ პირველ ზღუდეს მეცხოველეობაში — ყოველ ას ჰექტარ სახნავზე სახელმწიფოს მივყიდით 75 ცენტნერ ხორცს. ამ მიზ-





ნით გასასუქებლად დავაყენეთ ხუთასი ლორი.

ტყე-ბუჩქნარისაგან ვნმენდთ და ვიყენებთ ახალ მინებს. მანქანები ბევრი გვაქვს, არც სამეურნეო გემები და ინიციატივა გვაკლია, კონკრეტული ხელმძღვანელობაც გვექნება და მჯერა, რომ ჩვენ მალე გადავწყვეტთ სიუხვის შექმნის პრობლემას.

## ნაბალა ჯიშები - დამატებითი რეპარტი

**რ. ბუნიშვილი**, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პარტორგი გორის სამმართველოში:

გორის ზონა საქართველოს მეხილეობის ცენტრია. 1965 წლისათვის ჩვენ 16.550 ჰექტარი ახალი ბაღები უნდა გავაშენოთ და სამშობლოს მართო საზოგადოებრივი მეურნეობიდან 120 ათას ტონაზე მეტი ხილი მივცეთ.

მაგრამ ხეხილმა მსხმოიარობა რომ დაინყოს, დიდი დროა საჭირო. სკრის მეხილეობის საცდელ სადგურში გამონახეს ახალ ბაღებში ხილის დამატებითი მოსავლის დაჩქარებულად მიღების ხერხი. ეს არის ხეხილის ბაღებში ნაგალა ჯიშის ხეხილის გამორგვა, რომლებიც მსხმოიარობაში ჩვეულებრივ სხვებზე გაცილებით ადრე შედიან.

მაგალითად, სკრაში ხუთ ჰექტარზე გააშენეს თესლოვანი ჯიშის ხეხილი, რომელიც მსხმოიარობაში 1968 წელს შევა. რიგთაშო-

რისებში ატმის ხეები დარგეს და უკვე წელს მიიღეს ატმის მოსავალი. ასეთსავე შედეგებს მივიღებთ, თუ რიგთაშორისებში ნაგალა ჯიშის თესლოვან ხეხილს დავრგავთ.

ჩვენ დახმარება უნდა გაგვენიოს ნერგების მოწოდებით. მაშინ გორის ზონის კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები ჩვენს ქვეყანას უკვე სულ ახლო მომავალში მისცემენ ათასობით ტონა დამატებით ხილს.

## ასე გზრდით სახალსო დოგლათს

**ა. თხილაიშვილი**, საქართველოს კომპარტიის აჭარის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი:

აჭარის კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები დიდ მუშაობას ეწევიან ტყეებისა და ველური ბუჩქნარით დაფარული მიწების ათვისებისათვის. შვიდწინების დარჩენილი სამი წლის განმავლობაში ჩაის პლანტაციების ფართობი ოცი პროცენტით უნდა გაიზარდოს, ციტრუსებისა — 13 პროცენტით, ვენახისა — 24,7 პროცენტით, ხეხილის ბაღებისა — 24 პროცენტით და დაფნის პლანტაციებისა — 60,6 პროცენტით. ჩვენი სოფლის საზოგადოებრივი მეურნეობის ზრდის ასეთი დაჩქარებული ტემპები გაუგონარი რამ არის ჩვენი რესპუბლიკის სინამდვილისათვის.

აჭარის კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების სანარმოო სამმართველოები და სოფლის მეურნეობის მშრომელები

ყველაფერს აკეთებენ, რათა საზოგადოებრივმა მეურნეობამ სოფლად ნამყვანი ადგილი დაიკავოს. აჭარელმა მეჩაიებმა ჩაის მწვანე ფოთლის საშუალო საჰექტარო მოსავლიანობის ისეთ დონეს მიანდნენ, რომლის მსგავსი მსოფლიოში არავის აქვს და არც ჰქონია — ჰექტარზე საშუალოდ 5.071 კილოგრამი ფოთოლი მიიღეს. დიდი ყურადღება მიექცა საკარმიდამო ნაკვეთების ნორმების მოწესრიგებას. მონინავე კოლმეურნეთა ინიციატივით მცირდება კოლმეურნეთა პირად სარგებლობაში არსებული პირუტყვის გაბერილი ნორმები. ბევრი რამ კეთდება მონინავეთა გამოცდილების გასავრცელებლად, მეცნიერების მიღწევების დასანერგავად. აჭარის პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციები ამჟამად მთელ რიგ ღონისძიებებს ახორციელებენ მთაგორიანი ზონის კოლმეურნეობათა ეკონომიკის განსამტკიცებლად.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის ნოემბრის პლენუმი გვასწავლის, თუ როგორ განვამტკიცოთ და განვავითაროთ სოფლის ეკონომიკა, რა უნდა გავაკეთოთ კონკრეტულად. პლენუმის გადაწყვეტილებათა განხორციელებით ჩვენ შევძლებთ მზარდი წვლილი შევიტანოთ ჩვენს ქვეყანაში პროდუქტების სიუხვის შექმნის საქმეში.

## ვიყენებთ მიტოვებულ მიწებს

**ი. ჩინაძე**, საქართველოს კომპარტიის სამხრეთ ოსეთის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი:

სამხრეთ ოსეთის კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები კარგად ეგებებიან 1963 წელს. საშემოდგომო თესვა ძირითადად ოქტომბერში დავამთავრეთ. ამ სამუშაოს ასე ადრე დამთავრება ჩვენში არავის ახსოვს. ჯეჯილები შესანიშნავია და თოვლის ქვეშ კარგ მდგომარეობაშიც ხვდებიან.

ამ შემოდგომით დავამუშავეთ მთელი ჩვენი ბალ-ვენახები. დროზე მოვათავეთ ნიადაგის გადამარგვა. წინათ ეს ჩვენში როდი კეთდებოდა.

1962		თელავის საგანკონტროლო სოფელ სანიორის კოლმეურნეობა სახეხს		1963	
ახალ ზღვებას.					
პროდუქტები	1962 წ. (შაბიურად)		1963 წ. (ვალდებულებით)		საშუალო მოსავალი (ცენტნერთობით), წველაობა (კილოგრამობით).
	ფართობი (ჰექტარობით), ფურცლის სულაობა	საშუალო მოსავალი (ცენტნერთობით), წველაობა (კილოგრამობით).	ფართობი (ჰექტარობით), ფურცლის სულაობა.	საშუალო მოსავალი (ცენტნერთობით), წველაობა (კილოგრამობით).	
ვენახი	105.3	90.2	117	100	
სიმინე	150	40.1	150	50	
რძე	95	1.140	135	1.500	
ხორცი		სახელმწიფოს ვიყენებთ 257 ცანა.		სახელმწიფოს ვიყენებთ 270 ცანა.	



გიაგობობთ ჩვენი სოფლის მეურ-  
ნეობის მშრომელთა საინტერესო  
შემოქმედებითს ინიციატივაზე.  
ორმოცი ათასი ჰექტარი სახნავად  
გამოსადეგი მიწიდან 15 ათასი  
ჰექტარი მიტოვებული და ჩამო-  
წერილი იყო. ახლა ჩვენ მტკიცედ  
გადავწყვიტეთ, ახალი სიცოცხლე  
ჩავბეროთ ამ თითქოსდა მკვდარ  
მიწებს.

შემოდგომაზე უკვე ავითვისეთ  
ათასი ჰექტარი, ხოლო გა-  
ზაფხულზე კიდევ ავითვისებთ  
2.000 ჰექტარს. ამ მიწებზე ვრგ-  
ავთ ტყემაღს — გამძლე და ამტან  
კულტურას, რომელიც, როგორც  
გამოცდილებამ გვიჩვენა, შესა-  
ნიშნავად იხარებს ჩვენს მიტოვე-

ბულ, უვარგის მიწებზეც, თითქ-  
მის არ საჭიროებს მოვლასა და  
მკურნალობას, უხვ მოსავალსაც  
იძლევა.

ტყემაღლი დიდი შემოსავლიანი  
კულტურაა. სახელმწიფო ტყე-  
მაღლი იმდენსავეს იძლევა, რამ-  
დენსაც ვაშლში. მისი მასობრივად  
გაშენება კოლმეურნეობათა შე-  
მოსავალსაც გაადიდებს და საშუ-  
ალებას მოგვცემს, დატვირთოთ  
ცხინვალის საკონსერვო ქარხანა.

გამოცდილებამ გვიჩვენა, რომ  
ჩვენი მთაგორიანი ოლქის პირო-  
ბებში კარგ მოსავალს იძლევა ისე-  
თი კულტურა, როგორც არის ნი-  
ორი. ზნაურის რაიონის კოლმეურ-  
ნეები, რომლებიც ნიორს თავიანთ

საკარმიდამო ნაკვეთებში რგავენ,  
დიდ შემოსავალსაც იღებენ. ამი-  
ტომ ჩვენ გადავწყვიტეთ, გავადი-  
დოთ ნიორის ფართობები. ამ შე-  
მოდგომაზე ნიორი 97 ჰექტარზე  
დავრგეთ. ვფიქრობთ, მთელი მო-  
სავალი სათესლედ შევინახოთ და  
გაზაფხულზე დავრგოთ 700 ჰექ-  
ტარი. ნიორის მოსავალს იღებენ  
არა უგვიანეს შუა ივნისისა. ჩვენ  
გადავწყვიტეთ ამ ფართობზე ნივ-  
რის აღების შემდეგ ბარდა დავთე-  
სოთ და მოსავალი შემოდგომაზე  
ავილოთ. ამრიგად, ერთსა და იმა-  
ვე ფართობზე ჩვენ, მთაგორიან  
ოსეთშიც ორ მოსავალს მოვიყ-  
ვანთ. ნიორის კულტივაცია მექანი-  
ზებული იქნება.

# ამინდის გაგონების ხალხური ნიშნები



**მოსალოდნელი ამინდის გამოსაცნობად ხალხური ნიშნები ჩვენი  
ხალხის რამდენიმე თაობის მიერ საუკუნეთა მანძილზე  
დაგროვილი გამოცდილებაა, ბუნებაზე ხანგრძლივი  
დაკვირვების თავისებური ისტორიული მასალაა.  
მოგვყავს ყველაზე უფრო დამახასიათებელი ნიშნები.**

\*თუ საღამოს მზე ღრუბლებში  
არ ჩაიმალა, მეორე დღეს კარგი  
ამინდი იქნება, ხოლო თუ ღრუბ-  
ლებში მოექცა, ცუდი ამინდი ან  
ღრუბლიანი დღეა მოსალოდნე-  
ლი.

\*საღამოს ნითელი მწუხრი ქა-  
რის მომასწავებელია, ღია-ყვითე-  
ლი — წვიმისა. თუ მზე ლივლი-  
ვებს და ჰაერში მყუდროებაა, ჭე-  
ქა-ქუხილის ნიშანია.

\*თუ მთვარის გარშემო ნითელი  
წრე გამოჩნდება, რომელიც ცოტა-  
ათი ფართოვდება და მალეც ქრე-  
ბა, ნათელი, მზიანი ამინდია სავა-  
რაუდებელი. ორი ასეთი წრე ან  
ერთი, მაგრამ მკრთალი, ძლიერი  
ყინვის მომასწავებელია.

\*თუ მთვარე მკრთალი ან მქრქ-  
ალია, წვიმა მოვა, კარგი ამინდი  
დადგება.

\*თუ მერცხალი დაბლა-დაბლა  
ფრინავს, წვიმის ან ქარის მომას-  
წავებელია.

\*თუ მუხამ ბევრი რკო გამოის-

ხა, მკაცრი ზამთარია მოსალოდ-  
ნელი.

\*თუ მილიდან ამომავალი კვამ-  
ლი უქარო ამინდშიც მიწაზე წვე-  
ბა, ზამთარში თოვლი მოვა, ხოლო  
ზაფხულში — წვიმა.

\*თუ კვამლი პირდაპირ ზევით  
მიიწევს, ცუდი, მაგრამ უქარო  
ამინდიც რომ იყოს, კარგი ამინდი  
დადგება.

\*თუ სარკმელი ან ფანჯრის  
ჩარჩოები სუსხის დროს ორთქ-  
ლიანდება, სითბოა მოსალოდნე-  
ლი, ხოლო ზაფხულში — ნოტიო  
ამინდის ან ავდრის ნიშანია.

\*როცა წინილები რომელიმე და-  
ხურულ ადგილას გროვდებიან ან  
კრუხის ფრთებქვეშ იბუდებენ,  
ცუდ ამინდს უნდა ველოდეთ.

\*თუ ქათმები ან სხვა ფრინვე-  
ლები ტანს ხანგრძლივად იქექა-  
ვენ, ავდრის ნიშანია.

\*ძლიერი ყინვის დროს მამალი  
თუ ადრე ყივის, თბილ ან ზომიერ  
ამინდს უნდა ველოდეთ.

\*როცა იხვეები წყალში თქაფუ-  
ნობენ და ყვიტყვიტებენ, აუცი-  
ლებლად წვიმა იქნება.

\*კატა თუ თბილ ღუმელზე წვე-  
ბა, სიცივეა მოსალოდნელი.

\*ძალღები თუ მიწაზე გორაო-  
ბენ, წვიმას უნდა ველოდეთ.

\*წვიმის წინ თევზი ანკესს უფ-  
რო ადვილად ეგება, ქარის წინ —  
იშვიათად ან სულ არა.

\*როცა ცხვრები ერთმანეთს  
რქებს უჯახუნებენ, — ქარის ნი-  
შანია.

\*ხარები კუდს ზურგზე შემოი-  
დებენ ძლიერი ქარის წინ.

\*ღორები დათბობის წინ იფხა-  
ნებიან. როცა ჭყვირიან, ავდრის  
მოახლოებას გრძნობენ. თუ ჩა-  
ლა-ბულას ეზიდებიან, ქარიშხა-  
ლია მოსალოდნელი.

\*თუ ცხენი ფთხვინავს, ავდრის  
მოახლოებას გრძნობს, თუ ფრუ-  
ტუნებს, წვიმას უნდა ველოდეთ.

\*ადრე გაზაფხულზე ყვავები  
თუ ბანაობენ, დათბება.

\*თუ ნისლი ძირს ეშვება და მი-  
წაზე წვება, კარგი ამინდი იქნება.

\*თუ ღრუბლები დაბლა მისცუ-  
რავენ, აცივდება.

\*წვიმის წვეთებს თუ დიდ-დიდი  
ბუშტულები აქვს, ნოტიო ან ცუ-  
დი ამინდი გახანგრძლივდება.





## **სამეცნიერო-კულტურული ფორუმი «ილია ჭავჭავაძის დღეები სანკტ-პეტერბურგში. დაბადებიდან 175 წლისთავთან დაკავშირებით» 25 ნოემბერი, 2012წელი**

პატივცემულო მეგობრებო!  
მოგესალმებით სამეცნიერო-კულტურულ ფორუმზე „ილია ჭავჭავაძის დღეები სანკტ-პეტერბურგში“. თქვენი შეხვედრა დროულად და ძალიან საშურ ინიციატივად მიმაჩნია.

ფორუმი ეძღვნება ილია ჭავჭავაძის დაბადებიდან 175 წლისთავს. ქართველი ხალხის ამ ბუმბერაზი შვილის — სახელმწიფო მოღვაწის, პოეტის, მოაზროვნისა და მეცენატის — სახელი და მთელი ცხოვრება მჭიდროდაა დაკავშირებული რუსეთთან. აქ, სანკტ-პეტერბურგის უნივერსიტეტში,

მიიღო მან განათლება, ჩამოყალიბდა პიროვნებად. თავისი შემოქმედებით, მრავალმხრივი მოღვაწეობით ილია ჭავჭავაძემ ჭეშმარიტად ფასდაუდებელი წვლილი შეიტანა რუსული კულტურის განვითარებაში, საუკუნეებით განმტკიცებული ჩვენი ხალხების მეგობრობისა და კეთილმეზობლობის საუკეთესო ტრადიციების შენარჩუნებასა და გამდიდრებაში.

მნიშვნელოვანია, რომ რუსეთისა და საქართველოს მოქალაქეთა დღევანდელი თაობები პატივს მიაგებენ წინაპრების ხსოვნას,

ბევრს აკეთებენ ჰუმანური კონტაქტების, ადამიანებს შორის გულწრფელი, მიმდობი ურთიერთობების გასამყარებლად, ხელს უწყობენ სახალხო დიპლომატიის ინსტიტუტების განვითარებას.

დარწმუნებული ვარ, თქვენი ფორუმი კონსტრუქციული გზით წარიმართება, გამოიწვევს ფართო საზოგადოებრივ რეზონანსს და მის მონაწილეებს დაამახსოვრდებათ საინტერესო, შინაარსიანი დისკუსიებით.

გისურვებთ ნაყოფიერ მუშაობას და ყოველივე კარგს.

**ვლადიმერ კუტინი**